

ბრძოლა ჰართლენდისთვის გრძელდება

A2



"მზრუნველი თავყრილობა"

A5



კინოსპექტაკლი ზაფხულში, კინოსპექტაკლი ზამთარში

A7


# 24 საათი

www.24saati.ge

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 13 ივლისი, 2006 წელი. №155 (1307)

ფასი 50 თეთრი



"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## ამბები

ახალი კოალიცია თუ ახალი რევოლუცია?

A2

## სამართალი

ომბუდსმენის რეკომენდაცია ჯანდაცვის მინისტრს

A4

## საზოგადოება

სოციალური დახმარება "ჩაქრილი" პროფესორებისათვის

A5

## რევიუ

ტრადიციული კულტურები

A7


საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 13/07 | 14/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 36 |
| ბათუმი | 36 | 32 |
| სოხუმი | 34 | 32 |
| ქუთაისი | 37 | 37 |
| გორი | 30 | 33 |
| თელავი | 33 | 35 |
| ონი | 25 | 30 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7700 |
| ევრო | 2.2575 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2683 |
| რუბლი | 0.0659 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# მაქსიმუმი რთულ მდგომარეობაში

## ბუშმა სანქტ-პეტერბურგში საქართველო უნდა დაიცვას

დევიდ ჯ. სმიტი

*სპეციალურად "24 საათისათვის"*

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გასული კვირის ვიზიტი ვაშინგტონში - თეთრი სახლის დადგმის თვალსაჩინო ნაწილი იყო. ეს სანკტ-პეტერბურგში 15-17 ივლისს დაგეგმილი "დიდი რვიანის" სამიტის წინ ამერიკის საქართველოსადმი მხარდაჭერის სერიოზული გზავნილი იყო. აშკარაა, კრემლმა ეს სიგნალი კარგად გაიგო და მომავალ კვირას ფრთხილად დაელოდება იმის გარკვევას, თუ რა ადგილი უკავია საქართველოს აშშ-ს პრიორიტეტებში. ამერიკის პრეზიდენტმა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრისას, იგი ამ "მესიჯის" სიცხადეში უნდა დაარწმუნოს.

გაგრძელება A3 გვერდზე



# "სხვა მიმართულება"

## რუსეთი საქართველოს როკის გვირაბით სარგებლობას ურჩევს

*რუსეთმა ფორმულირება შეცვალა - ლარსის გამშვები პუნქტი არა "შეკეთების მიზნით", არამედ რუსეთში მისი გავლით თითქოსდა ტერორისტებისა და იარაღის შეღწევის მიზეზით გადაიკეტა. ამგვარ განცხადებებს ქართული მხარის აღშფოთება მოჰყვა. რუსეთის ხელისუფლება კვლავ ავრცელებს ცნობებს ქართული მხარის მიერ დაგეგმილი პროვოკაციების შესახებ. შეშფოთება შექმნილი ვითარებით ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემაც გამოთქვა.*

**"ზემო ლარსის დაკეტვის აუცილებლობა იმით იყო გამოწვეული, რომ ეს სასაზღვრო გადასასვლელი არაერთხელ იქნა გამოყენებული ტრანსნაციონალური კრიმინალური დაჯგუფებების მიერ რუსეთში ნარკოტიკების, ბოევიკებისა და იარაღის შეტანისათვის, მათ შორის ტერორისტული მიზნებით. ეს ყველაფერი ბოლო დროსაც ხდებოდა,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხაილ კამინინმა.

მან აღნიშნა, რომ **"რუსულ მხარეს ესმის ის სიძნელეები, რომელიც მოსახლეობას და საქონლის მწარმოებლებს ექმნება, მათ შორის სომხეთში, და მდგომარეობის გამოსწორების გზებს ეძებს"**.

კამინინმა იმედი გამოთქვა, რომ ქართული მხარე **"ამ დროებით ზომას გაგებით მოეკიდება და ხელს არ შეუშლის რუსეთ-საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობის გამოყენებას სხვა მიმართულებებით"**. "სხვა მიმართულებებში" როკის გვირაბი იგულისხმება, რომლის გავლითაც მგზავრებისა და ტვირთების გატარებაზე ქართული მხარე უარს ამბობს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლის განცხადებას **"რეგიონში უკანონო ქმედების ლეგალიზაციის დაუფარავ მცდელობად"** აფასებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბოიკოტი დემოკრატიულ პროცესს

სალომე ზურაბიშვილი

მთელი ეს პერიოდი არ ვიმყოფებოდი საქართველოში. ამიტომ ვალდებულად ვთვლი თავს, რომ ჩემი პოზიცია გავაცნო საზოგადოებას.

ხელისუფლებამ, რომელიც ყველამ ერთად ავირჩიეთ და რომელსაც მიეცა მანდატი, საქართველოში აეშენებინა დემოკრატიული სახელმწიფო, უდავოდ გადაუხვია ამ სწორ გზას და უღალატა თავისი ამომრჩევლის მიერ გამოხატულ ნებას. სადაც უნდა აეშენებინა დემოკრატია, გამოაცხადა დიალოგის ბოიკოტი; სადაც სასამართლო რეფორმა უნდა ჩაეტარებინა, იქ უსამართლობა დაიწყო; სადაც სიტყვის თავისუფლებას ველოდებოდით, თავისუფალი მედია შეიზღუდა. რაც მთავარია, ამდენი შეცდომის დაშვებით, ამდენი ტყუილით, არჩეული კურსისა და ამომრჩევლის ამდენი ღალატით, დაუდევრობით და არაკომპეტენტურობით ახალი შესაძლებლობა მისცა იმ ძალებს, რომლებიც რევოლუციის დროს საზოგადოებამ კატეგორიულად და სამუდამოდ მოიშორა პოლიტიკური ცხოვრებიდან.

ამით ხელისუფლება აძლევს საშუალებას, ვიტყოდი უფლებას, ოპოზიციას, რომ თვითონაც თავის მხრივ ბოიკოტი, სარკისებურად, გამოუცხადოს ტელეარხს, არჩევნებს, პარლამენტს...

რა გამოდის? რომ ორივე ერთად, დაწყვილებულნი - პოზიციაც, რომელმაც თითქოს რეფორმატორული კურსი აიღო და ოპოზიციაც, რომლის დიდი ნაწილი არც არასდროს ყოფილა შევარდნაძის წინააღმდეგ და არც დემოკრატიული რევოლუციის მომხრე, ორივე ერთად სინამდვილეში ბოიკოტს უცხადებენ არა ამა თუ იმ არხს, ან ამა თუ იმ არჩევნებს, არამედ დემოკრატიის მთავარ ინსტიტუტებს და შლიან დემოკრატიულ პორცესს. ეს გვინდოდა?!

ხელისუფლებაში, უკვე დიდი ხანია შევამჩნიეთ, რომ ის "შევარდნაძისეული ძალები" არასდროს არ გამქრალა. ოპოზიციაში კი ეს ძალები,

გაგრძელება A3 გვერდზე



# გამოსვლა გაერო-ში სტატუს-კვოს წინააღმდეგ

## ნინო ბურჯანაძე სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლას ითხოვს

11 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ თხოვნით მიმართა გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრებს, რომ აფხაზეთში დსთ-ს ეგიდით განთავსებული რუსი სამშვიდობოები საერთაშორისო ძალებით შეიცვალოს. ასეთი ნაბიჯის აუცილებლობას ნინო ბურჯანაძე იმით ასაბუთებს, რომ სამშვიდობოების საკითხს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის დარეგულირების საქმეში, რუსი ცისფერჩაფხუტიანები კი ოფიციალურად აცხადებენ, რომ აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეებს იცავენ და ამდენად, ნეიტრალურები ვერ იქნებიან.

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბოლო 14 წლის განმავლობაში მხარეებმა კონფლიქტის მოგვარების საკითხში ვერანაირ წინსვლას ვერ მიაღწიეს, ხოლო სტატუს-კვო საქართველოსთვის კატეგორიულად მიუღებელია. ბურჯანაძის განცხადებით, საქართველომ მოამზადა სამშვიდობო გეგმა და "საგზაო რუკა" აფხაზეთისთვის და მზად არის, მომავალშიც მჭიდროდ ითანამშრომლოს გაერო-სთან. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, რუსეთი ნეგატიურ როლს თამაშობს სამშვიდობო პროცესში, რადგან სტატუს-კვოს შენარჩუნებას ცდილობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პროკურატურა მოწმისა და დაზარალებულის წინააღმდეგ

## სანდრო გირგვლიანის საქმის ახალი დეტალები

ინგა ალავიძე

*"ვთქვი, ის, რაც განვაცხადე სასამართლო პროცესზე და რაც რეალურად მოხდა, ეჭვი არ მეპარება, საქმეს რეალური მსვლელობა მიეცემა," - ეს იმედიანი განცხადება გააკეთა, გუშინწინ, 8-საათიანი დაკითხვის შემდეგ, თბილისის პროკურატურიდან გამოსულმა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტის ერთ-ერთმა მთავარმა მოწმემ და ამავდროულად, დაზარალებულმა ლევან ბუხაიძემ.*

გაგრძელება A4 გვერდზე




*მოთხოვნა უცვლელია.*

# "ანტისამიტი" დიდ სამიტამდე

*"დიდო შვიდეულო", გვიშველე! - მიმართავს თავისუფალი მსოფლიოს ლიდერებს რუსეთის ოპოზიცია.*

სოფო ბუკია

ოპოზიციური კონფერენციის "სხვა რუსეთის" მონაწილეებმა მოუწოდეს "დიდი შვიდეულის" ქვეყნების ლიდერებს, ზეწოლა მოახდინონ რუსეთის პრეზიდენტზე. მიმართვაში, რომელიც გუშინ კონფერენციის მსვლელობის დროს მიიღეს და, რომელიც პუტინის ერთ-ერთმა მთავარმა ოპოზიციონერმა გარი კასპაროვმა წაიკითხა, აღნიშნულია, რომ რუსეთში სასტიკად ირღვევა ადამიანის უფლებები და პეტერბურგის სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე "ფართომასშტაბიანი რეპრესიების კამპანია გაჩაღდა".

მიმართვის ავტორები შიშობენ, რომ თუ "დიდი შვიდეული" რუსეთში პოლიტიკური რეპრესიების თემას გვერდს აუვლის, სამიტის დასრულების შემდეგ რუსული ოპოზიცია ხელისუფლების მხრიდან წარმოუდგენელი დევნის ქვეშ მოექცევა.

კონფერენციის მონაწილეები თავისუფალი მსოფლიოს ლიდერებს სთხოვენ პუტინზე ზეგავლენის მოხდენას, რათა ამ უკანასკნელმა პოლიტიკური შეხედულების გამო დაკავებული ადამიანები გაათავისუფლოს და ოპოზიციის დევნა შეწყვიტოს.

კონფერენცია "სხვა რუსეთი" პირველი საერთო ოპოზიციური ფორუმი გახდა რუსეთში, სადაც მიწვეულნი იყვნენ, ასევე, "დიდი რვიანის" ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლები.

კრემლი ოპოზიციურ თავყრილობას იმთავითვე მტრულად შეხვდა და კონფერენციას "ანტისამიტიც" კი შეარქვა. კრემლში დარწმუნებულები არიან, რომ ოპოზიციას განზრახული აქვს, სანკტ-პეტერბურგში "დიდი რვიანის" სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში რუსეთის იმიჯი შელახოს.

კონფერენციის ორგანიზატორები თავადაც არ უარყოფენ, რომ კონფერენციის გამართვის დროდ სპეციალურად შეარჩიეს ივლისი, ადგილად კი პეტერბურგი. "ჩვენ ხმა უნდა მივაწვდინოთ დიდი შვიდეულის" ქვეყნებს, თუ რა ხდება რუსეთში," - აცხადებენ ისინი.

კონფერენცია "სხვა რუსეთის" პირველივე დღე საკმაოდ საინტერესო მოვლენებით დაიწყო - კონფერენციის მსვლელობის დროს თავს დაესხნენ "ნაციონალურ-დემოკრატიული კავშირის" თავმჯდომარეს მიხაილ კასიანოვს და ასევე დააკავეს "ნაციონალ-ბოლშევიკური პარტიის" ოთხი აქტივისტი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "სხვა მიმართულება"

პირველი გვერდიდან

სამინისტროს განცხადებით, რუსეთის საგარეო უწყების განცხადება, "ზემო ლარსის" გამშვებ პუნქტზე შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით **"შემაშფოთებელი, უსაფუძვლო და ლოგიკას მოკლებულია"**, და **"ცინიზმის ყოველგვარ ზღვარს სცილდება"**, ვინაიდან მოსკოვი უარს ამბობს ორივე მხარის მიერ კონტროლირებადი გამშვები პუნქტის გამოყენებაზე და თბილისს **"არალეგიტიმური გამშვები პუნქტის გამოყენებას სთავაზობს"**.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ასევე **"ყოვლად უკანონო ბრალდებად"** მიიჩნევს რუსული მხარის მტკიცებას იმის თაობაზე, თითქოს "ზემო ლარსის" გამშვები პუნქტით ბოევიკების, ტრანსნაციონალური იარაღისა და ნარკოტიკების გადაადგილება ხდებოდა. ქართული მხარის განმარტებით, ორივე მხარის შესაბამისი უწყებების საქმიანობა **"მსგავსი ფაქტების არანაირ საბაბს არ იძლევა"** და ამგვარი ფაქტების შესახებ რუსულ მხარეს ქართულისათვის პრეტენზიები არასოდეს გამოუთქვამს.

საქართველოს საგარეო უწყება მიიჩნევს, რომ რუსული მხარის განმარტება 1993 წლის 8 ოქტომბერს საბაჟო საზღვარზე გამშვები პუნქტის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების დებულებების ცალმხრივად, ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად დარღვევა **"უხეში ქმედების გამართლების არგუმენტად ვერანაირად ვერ გამოდგება"**. ქართული მხარე მიიჩნევს, რომ ზემო ლარსზე არსებული მდგომარეობაზე მოსკოვის განმარტებები და ქმედებები **"სხვა ქვეყნის მოქალაქეებს მიზანმიმართულად უბიძგებს საზღვრის უკანონო დარღვევისაკენ"**, რასაც ქართული მხარე **"არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს"**.

სასაზღვრო პუნქტის დაკეტვის პარალელურად, რუსული მედია უშიშროების ფედერალურ სამსახურზე დაყრდნობით აქვეყნებს ცნობას საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებებისათვის მზადების შესახებ.

სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, უშიშროების სამსახურის "ნდობის ტელეფონზე" უცნობმა პირმა დარეკა და განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება პროვოკაციას გეგმავს. კერძოდ, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე თითქოს 15-20 ქართველი უნდა მოკლან და მათი მკვლელობა რუსეთის სამშვიდობოებს დააბრალონ. "ეფესბეს" ანონიმი ინფორმატორი აცხადებს, რომ ეს გამოყენებული იქნება "დიდი რვიანის" სამიტის მსვლელობისას შეიარაღებული კონფლიქტის დასაწყებად.

რუსეთის უშიშროების ფედფერალურმა სამსახურმა ეს "საიდუმლო" ცნობა არა მხოლოდ მედია-საშუალებებს, არამედ კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობასაც მიაწოდა.

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მეთაურის თეიმურაზ მამსუროვის განცხადებით, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში, ჩრდილოეთ ოსეთი მზად არის, დაეხმაროს "სამხრეთ ოსეთს". მამსუროვის თქმით, მთავრობა ვერ შეაჩერებს მოხალისეებს, რომლებიც რეალური საფრთხის შემთხვევაში, თავად გამოთქვამენ "მოძმე სამხრეთ ოსეთისთვის" დახმარების გაწევის სურვილს.

გუშინვე ცნობილი გახდა 11 ივლისს ოსი შეიარაღებული პირების მიერ კონფლიქტის ზონაში ეუთო-ს ორი სამხედრო დამკვირვებლის დაკავების ფაქტი. ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ დე გუხტმა ამ ფაქტთან დაკავშირებით უკიდურესი შეშფოთება გამოთქვა.

ეუთო-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ორი სამხედრო დამკვირვებელი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ჩვეულებრივ პატრულირებას ახორციელებდა, როდესაც ერთ-ერთ საგუშაგოზე მათ ოსური ეროვნების შეიარაღებულმა პირებმა ალყა შემოარტყეს. ისინი საგუშაგოზე თითქმის ერთი საათი გააჩერეს და არ აძლევდნენ შტაბთან დაკავშირების საშუალებას.

შემდეგ დამკვირვებლები ბადრაგის თანხლებით ცხინვალში წაიყვანეს, მოგვიანებით კი გაათავისუფლეს. **"ეს იყო უიარაღო დიპლომატიური პირების მიმართ შეიარაღებული მუქარის უკიდურესად სერიოზული ინციდენტი,"** - განაცხადა დე გუხტმა.

მისი თქმით, **"ის ფაქტი, რომ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ოფიცრები შეიჭრნენ ეუთო-ს მანქანაში სამხედრო დამკვირვებლების ცხინვალში გადაყვანის მიზნით, საყოველთაოდ აღიარებული დიპლომატიური პრაქტიკის უხეში დარღვევაა"**. დე გუხტმა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებისაგან მოითხოვა განმარტება და იმისი პირობაც, რომ ასეთი ქმედებები აღარ განმეორდება.

გარდა ამისა, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე იმედოვნებს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ერთადერთი საავტომობილო გზა, რომელიც 8 ივლისს ჩაიკეტა, მალე გაიხსნება. **"ისედაც რთული ვითარება კიდევ უფრო რთულდება,"** - აღნიშნავს დე გუხტი.

იგი მიესალმება საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებას, 14 ივლისამდე მისცეს მოქალაქეებს უფლება, საქართველოს ტერიტორიაზე არაოფიციალური გამშვები პუნქტიდან შევიდნენ.

ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარე მოუწოდებს კონფლიქტის მხარეებს, შეინარჩუნონ სიმშვიდე და არ მიიღონ ზომები, რომლებიც სიტუაციის გართულებას შეუწყობს ხელს.

*24 საათი*

**FRANCK PROVOST**
**Paris**

**ფრანგული თმის სალონი-ს ფილიალი საქართველოში**

**აცხადებს კონკურსს პროფესიონალი ხელოსნების მიღებაზე**
**მოთხოვნები:**

**-არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილების მქონე სტილისტები, 20დან-40 წლამდე**
**ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით**
**ტელ.: (995 77) 99 55 22**
**(995 99) 26 77 97**
**(995 99) 14 30 06**
**გამოხმაურების საბოლოო ვადაა: 20 ივლისი**

***International School of Economics***
**მიიღეთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლება!**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა - ინგლისურენოვანი მაგისტრატურა.

საქართველოს მთავრობის, მსოფლიო ბანკის, BP-ს, SIDA-ს, და სხვა დონორების დახმარებით სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია.

სასწავლო პროცესს წარმართავენ დასავლეთის ცნობილი უნივერსიტეტების პროფესორები.

იჩქარეთ, საბუთების მიღება 15 ივლისამდე.

მისამართი: თსუ I კორპუსი, ოთახი 220, ტელ. 22 11 17. www.iset.tsu.ge

ღია კარის დღე გაიმართება 11 ივლისს, 17 საათზე, თსუ I კორპუსის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში.

# ბრძოლა ჰართლენდისთვის გრძელდება

## ამერიკულ-ავღანური მოლაპარაკებები და საფრთხის ქვეშ მდგარი აშშ-ს პოზიციები ცენტრალურ აზიაში

ხათუნა ბაბიევი

*თალიბების დაჯგუფების გააქტიურება ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ნარკოვაჭრობა, ავღანური პრობლემების მოსაგვარებლად ნატო-ს როლის გაფართოება და აშშ-ს სამხედრო ბაზები ცენტრალური აზიის ქვეყნებში - ეს ის მთავარი თემებია, რომლებიც ქაბულში აშშ-ს თავდაცვის მდივნის დონალდ რამსფელდის მოულოდნელი ვიზიტის დროს განიხილეს.*



*ავღანეთის პრეზიდენტმა საერთაშორისო საზოგადოებას "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის" ტაქტიკის გადახედვა სთხოვა.*

მიმდინარე წლის მაისში თალიბთა დაჯგუფების გააქტიურებამ სერიოზული შეშფოთება არამარტო ავღანეთის ხელისუფლებაში, არამედ ოფიციალურ ვაშინგტონშიც გამოიწვია. ქვეყნის სამხრეთ ნაწილში თალიბთა სამხედრო ოპერაციებს მაისში დაახლოებით 700 ადამიანი ემსხვერპლა. თუმცა, როგორც მოლაპარაკებებზე გაირკვა, ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რათა მომძლავრებული რადიკალური დაჯგუფების ქმედებები შესუსტდეს მაინც. ჰამიდ კარზაის თქმით, აუცილებელია არმიისა და პოლიციის გაძლიერება და დახმარების მოცულობის ზრდა, რომელიც ავღანეთის პროვინციული ხელისუფლებებისთვისაა განკუთვნილი. გარდა ამისა, ავღანეთის პრეზიდენტმა საერთაშორისო საზოგადოებას "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის" ტაქტიკის გადახედვაც სთხოვა.

ავღანეთის სამხრეთ ნაწილში თალიბთა წინააღმდეგ ოპერაციებში დაახლოებით 10 ათასი ამერიკელი სამხედრო მონაწილეობს. გარდა ამისა, ამერიკას მოკავშირე ბრიტანეთიც ეხმარება, რომელიც უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაზრდის ავღანეთში დისლოცირებული სამხედროების რიცხვს. როგორც დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა დენ ბრაუნმა აღნიშნა, ოფიციალური ლონდონი დამატებით 900 სამხედრო პირს გაგზავნის და ბრიტანული კონტინგენტის წევრთა რაოდენობას ავღანეთში 4 500-მდე გაზრდის.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის სასწრაფოდ მოგვარებასაც აშშ ითხოვს - ნარკოვაჭრობასთან ბრძოლაა. ამ მიზნით, დონალდ რამსფელდმა ავღანეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გარდა, ევროპასაც მოუწოდა, შეიმუშაოს ნარკოდინების წინააღმდეგ "გენერალური გეგმა". როგორც ცნობილია, უკანასკნელ ხანს მკვეთრად გაიზარდა ნარკოდინების მოცულობა ავღანეთიდან ევროპულ და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. არასტაბილური გარემო და ფართომასშტაბიანი ნარკოვაჭრობა კი პირდაპირ ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან, რადგან ამგვარი გზით მიღებული ფინანსები მთლიანად თალიბთა მოქმედებას ხმარდება. სწორედ ამიტომ, ავღანეთში პრობლემების უფრო ეფექტიანად დაძლევის მიზნით, აშშ-მ ნატო-ს როლის გაფართოება მოითხოვა.

გარდა ამისა, მოლაპარაკებებზე დონალდ რამსფელდი და ჰამიდ კარზაი ცენტრალური აზიის ქვეყნებში აშშ-ს სამხედრო ბაზებსაც შეეხნენ. როგორც აშშ-ს თავდაცვის მდივანმა აღნიშნა, ოფიციალური ვაშინგტონი ამ გეოგრაფიულ არეალში უახლოეს მომავალში ახალი სამხედრო ბაზების გახსნას არ გეგმავს. თუმცა, აქ საქმე ცოტა უფრო რთულადაა, რადგან აშშ-ს ხელსაყრელი პირობები უკვე არსებულ ბაზებთან დაკავშირებითაც არ უნდა ჰქონდეს. აშშ-მ სამხედრო ბაზა უზბეკეთში ჯერ კიდევ გასულ წელს გააუქმა, ხოლო ამჟამად ეჭვის ქვეშ უკვე ყირგიზეთში განთავსებული ბაზის არსებობაც დგება, რასაც ყირგიზული მხარე დიპლომატიური ნორმების დარღვევით ხსნის. როგორც ყირგიზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, სპეცსამსახურების ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბიშკეკიდან ორი ამერიკელი დიპლომატის გაწვევის შესახებაა მიღებული გადაწყვეტილება.

**"დიპლომატიური ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის თანახმად, ყირგიზეთში მყოფი ორი ამერიკელი დიპლომატის მოქმედება ქვეყნის ინტერესებს ეწინააღმდეგება და ოფიციალური ვაშინგტონი ვალდებულია, გაიწვიოს ისინი. ეს გადაწყვეტილება სანდო ფაქტებს ემყარება, რომლებიც ჩვენმა სპეცსამსახურებმა მოგვაწოდეს. პერსონა ნონ გრატად გამოცხადებული პირები არაერთხელ არიან ეჭვმიტანილნი სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევაში, რაც დიპლომატის სტატუსსა და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება,"** - ნათქვამია ყირგიზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. თუმცა, დიპლომატიური ეტიკეტი მაინც დაცულია და დამატებულია, რომ ყირგიზეთი ამერიკასთან ურთიერთობების განვითარებით კვლავინდებურად დაინტერესებულია, მაგრამ ეს არ უნდა ცილდებოდეს ორი თანასწორუფლებიანი სუვერენული სახელმწიფოს თანამშრომლობის ფარგლებს.

რაც შეეხება იმ ორ ამერიკელ დიპლომატს, რომლებიც ყირგიზეთის სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებებში არიან ეჭვმიტანილნი, მათი ვინაობის დასახელებისაგან ყირგიზული ოფიციალური მხარე თავს იკავებდა. თუმცა, კონფიდენციალური ინფორმაცია ყირგიზეთის საინფორმაციო სამსახურებმა გაამჟღავნეს. საქმე ეხება აშშ-ს ელჩის მეორე მრჩეველს ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში პოლ პოლიტესსა და საელჩოს თანამშრომელს კაკა კიმარს.

საელჩოს თანამშრომლების პერსონა ნონ გრატად გამოცხადებასთან დაკავშირებით განცხადება ყირგიზეთში აშშ-ს საელჩომაც გააკეთა და განაცხადა, რომ დიპლომატები ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებთან კავშირში არიან ბრალდებულნი.

**"ეს შეიძლება საელჩოს დაშინების მცდელობად შეფასდეს, რითაც სამოქალაქო საზოგადოებას გაჩუმებას აიძულებენ. ამის მიუხედავად, ამერიკის შეერთებული შტატები გააგრძელებს ურთიერთობას ყირგიზული საზოგადოების ყველა ფენასთან, როგორც ოფიციალურ ხელისუფლებასთან, ასევე ოპოზიციასთან, არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებთან... აშშ მხარს უჭერს ყირგიზეთთან კონსტრუქციული ურთიერთობების განვითარებას. რთული წარმოსადგენია, რამდენად უნდა შედიოდეს ყირგიზეთის გრძელვადიან ინტერესებში ამერიკელი დიპლომატების უსაფუძვლო გამოდევნა ქვეყნიდან,"** - აღნიშნულია აშშ-ს საელჩოს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

# "ანტისამიტი" დიდ სამიტამდე

პირველი გვერდიდან

გუშინ კი, კონფერენციის მეორე დღეს, სასტიკად სცემეს პარტია "როდინას" ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი სერგეი გლაზევი, რომელიც კონფერენციაზე დასასწრებად მიდიოდა.

დეპუტატის ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ გლაზევს კონფერენციაზე რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ მოხსენება უნდა წაეკითხა.

გარდა ამისა, პარტია "როდინას" ერთ-ერთი წევრი, ეკონომისტი მიხაილ დელიაგინი მშობლიური პარტიის რიგებიდან მხოლოდ იმიტომ გარიცხეს, რომ გლაზევზე იღბლიანი აღმოჩნდა და კონფერენციაზე დასწრება შეძლო. "დელიაგინი არ დაემორჩილა პარტიის ხელმძღვანელობას და კონფერენციას დაესწრო. ის აღარ ირიცხება "როდინას" რიგებში," - ასეთი ვერდიქტი გამოუტანეს დელიაგინს.

ოპოზიციური კონფერენციის შესახებ საკუთარი აზრი გამოთქვა პრეზიდენტმა პუტინმაც.

კანადის ტელევიზიასთან საუბრის დროს რუსეთის კონსტიტუციის გარანტმა აღნიშნა, რომ ოპოზიციურ კონფერენციაში მონაწილეობით უცხო ქვეყნების ოფიციალური პირები ცდილობენ, რუსეთის შიდა პოლიტიკურ ძალთა ბალანსზე გავლენა მოახდინონ.

"ზუსტად არ ვიცი, რა არის ეს კონფერენცია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტები ცდილობენ, ეს კონფერენცია საკუთარი პოლიტიკური მიზნების პოპულარიზაციისთვის გამოიყენონ. ცხადია, ეს ყველაფერი სახელმწიფო დუმის მოახლოებული არჩევნების გამო ხდება," - აცხადებს პუტინი.

"დიდი რვიანის" წევრმა ხუთმა ქვეყანამ რუსული ოპოზიციის კონფერენციაზე საკუთარი წარმომადგენლები მიავლინა. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბერრი ლოუენკრონი, რომელიც ფორუმს "სხვა რუსეთი" დაესწრო, გაზეთ "კომერსანტთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ ეს არ უნდა იყოს აღქმული, როგორც არამეგობრული ჟესტი.

"სხვა რუსეთის" გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე პრეზიდენტ პუტინის თანაშემწემ იგორ შუვალოვმა აღნიშნა, რომ "დიდი რვიანის" ქვეყნების ოფიციალურ პირთა დასწრება ოპოზიციის სამიტზე კრემლის მიერ აღიქმებოდა, როგორც არაკეთილმეგობრული ნაბიჯი.

საინტერესოა, რომ კონფერენციაზე, რომელიც საერთოოპოზიციურ ფორუმად უნდა ქცეულიყო, მონაწილეობა არ მიიღეს მთელმა რიგმა ოპოზიციურმა პარტიებმა.

"იაბლოკოს" კონფერენციაზე ერთადერთი წევრი - მაქსიმ რეზნიკი წარმოადგენდა.

სანკტ-პეტერბურგში ოპოზიციურ თავყრილობაზე დასასწრებად არ ჩავიდნენ არც "სპს"-ის წევრები, თუმცა, თავდაპირველად ფორუმში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს. როგორც "სპს"-ის ლიდერი ნიკიტა ბელიხი აცხადებს, კონფერენციაზე დაუსწრებლობა მისი პარტიის კრემლისადმი კეთილგანწყობაზე არ მიუთითებს. "ჩვენ თავიდან გვითხრეს, რომ ეს უბრალოდ ოპოზიციონერთათვის საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება იქნებოდა. მერე აღმოჩნდა, რომ კონფერენციაზე საერთოოპოზიციური დეკლარაცია უნდა მიეღოთ, სადაც გაცხადებული იქნებოდა ოპოზიციურ ძალთა კონსოლიდაცია. ჩვენ არ ვართ მზად ლიმონოვთან ("ნაციონალ-ბოლშევიკური პარტიის" ლიდერი) და ანპილოვთან ("ტრუდოვაია როსიას" ლიდერი) კონსოლიდაციისთვის," - განმარტა ბელიხმა.

# ახალი კოალიცია თუ ახალი რევოლუცია?

კიევის ცენტრალური მოედანი კვლავ გაივსო დროშებითა და კარვებით. უკრაინელები ქუჩაში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მხარდასაჭერად გამოვიდნენ. იულია ტიმოშენკოს ბლოკმა საკუთარი მხარდამჭერების სრული მობილიზაცია გამოაცხადა. "ნარინჯისფერი პრინცესა" პარლამენტში შექმნილი ახალი უმრავლესობის არალეგიტიმურად ცნობას, უმაღლესი რადას დათხოვნასა და ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ითხოვს.

ქუჩაში გამოვიდნენ "რეგიონების პარტიისა" და მათი ლიდერის ვიქტორ იანუკოვიჩის მხარდამჭერებიც.

იულია ტიმოშენკოს ბლოკმა გუშინ კიევის სასამართლოში ოთხი სარჩელი შეიტანა. ტიმოშენკოს ბლოკი სასამართლოსგან უკრაინის უმაღლეს რადაში "რეგიონების", "სოციალისტური" და "კომუნისტური" პარტიების მიერ შექმნილი ახალი უმრავლესობის უკანონოდ ცნობას მოითხოვს.

სარჩელში "ნარინჯისფერი" კოალიციის დაშლის, ახალი ანტიკრიზისული უმრავლესობის ფორმირების, ალექსანდრ მოროზის უმაღლესი რადას სპიკერად არჩევისა და სხვა პროცედურების უკანონობა იურიდიულად არის დასაბუთებული.




*იულია ტიმოშენკო ახალ ბრძოლას იწყებს.*

უკრაინის უმაღლეს რადაში გასულ კვირას "რეგიონების პარტიამ", "სოციალისტურმა" და "კომუნისტურმა" პარტიებმა ახალი ანტიკრიზისული კოალიცია ჩამოაყალიბეს. კოალიცია 238 დეპუტატით არის წარმოდგენილი.

გუშინ პრეზიდენტმა იუშჩენკომ გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული ანტიკრიზისული კოალიცია არალეგიტიმურია და შესაბამისად არალეგიტიმური იქნება ამ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც.

ამასთან, იუშჩენკო არ აპირებს თავისი კონსტიტუციური უფლების გამოყენებას და რადას არ დაშლის. "ელექტორატის აზრი ექვსი თვის განმავლობაში არ შეიცვლებოდა, ამიტომ მე არ ვაპირებ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას," - აცხადებს იუშჩენკო.

"ნარინჯისფერი" კოალიციიდან გასვლის შემდეგ "სოციალისტების: ლიდერი ალექსანდრ მოროზი ყოფილი თანაგუნდელების "პოლიტიკურ ინტრიგებზე" საუბრობს.

მოროზის თქმით, "ნაშა უკრაინას" მთავარი მიზანი ტიმოშენკოსა და მისი ბლოკის ნეიტრალიზებაა. "ნაშა უკრაინას" არ უნდა, რომ ტიმოშენკო პრემიერ-მინისტრი გახდეს და ამ მიზნის მიღწევას ცდილობს ისე, რომ ამაში "სოციალისტები" და "რეგიონალები" გამოიყვანოს დამნაშავედ," - აცხადებს მოროზი.

უკრაინელი ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ამ აურზაურის ფონზე შესაძლოა, სრულიად ახალი კოალიცია შედგეს, რომელიც იანუკოვიჩის "რეგიონალებსა" და იუშჩენკოს "ნაშა უკრაინას" გააერთიანებს. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ ახალ კოალიციასა და "ნაშა უკრაინას" შორის გუშინ გამართულ მოლაპარაკებებზე იულია ტიმოშენკო არ მიუწვევიათ.

*24 საათი*

## მოკლედ

### ოპოზიცია მოსახლეობაში პოპულარობის მოპოვებას ცდილობს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გიგა ბოკერიას თქმით, ხელისუფლებას არ აღელვებს საზოგადოების ცნობილი წარმომადგენელთა ერთი ნაწილის გადაწყვეტილება, ჩაატაროს ეროვნული კრება.

"ჩვენ არაერთხელ დავადასტურეთ, რომ ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, განახორციელოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები, გამოთქვას საკუთარი აზრი და შექმნას ესა თუ ის ორგანიზაცია. თუმცა, ყველაფერი უნდა იყოს კანონის ფარგლებში", - ამბობს ბოკერია.

მისივე განმარტებით, დაბალრეიტინგული ოპოზიციური პარტიები "მრავალფეროვანი მოთხოვნების" წამოყენების გზით, მოსახლეობაში პოპულარობის მოპოვებას ცდილობენ., თუმცა, "ამით რას აღწევენ, ყველა კარგად ხედავს".

ბოკერიას აზრით, წინასწარ წარუმატებლობისთვის არის განწირული ზოგიერთი პოლიტიკური ძალის მხრიდან იმის იმიტაცია, თითქოს ხელისუფლებას ინტელიგენცია აუმხედრდა.

"ხელისუფლების დაშანტაჟება არავის გამოუვა, სამაგიეროდ, ზოგიერთმა პოლიტიკურმა ძალამ არაადეკვატური ქმედებებით შესაძლოა, საბოლოოდ დაისამაროს საკუთარი რეიტინგი", - ამბობს ბოკერია და დასძენს, რო კარგი იქნება, თუ ოპოზიციური პარტიები რეალობას დაუბრუნდებიან და ადგილობრივი თვითმმართველობის მომავალ არჩევნებზე იფიქრებენ. **მედიანიუსი**

### "ჰეზბოლამ" ორი ებრაელი სამხედრო ტყვედ აიყვანა

ლიბანურმა ექსტრემისტულმა დაჯგუფება "ჰესბოლამ" გუშინ, ორი ებრაელი სამხედრო ტყვედ აიყვანა. ამის შესახებ განცხადება დაჯგუფების მიერ კონტროლირებადმა ტელეარხმა "ალ-მანარმა" გაავრცელა. ისრაელის ჯარი მომხდარზე კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს. ებრაელ სამხედროებსა და "ჰესბოლის" "ბოევიკებს" შორის შეტაკება დღეს, დილით, ისრაელ-ლიბანის საზღვარზე მოხდა. მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. **ინტერპრესნიუსი**

### მუმბაიში ტერაქტების სერიის შედეგად 190 ადამიანი დაიღუპა

ინდოეთის ქალაქ მუმბაიში (ყოფილი ბომბეი) გუშინ მომხდარი ტერაქტების სერიის შედეგად 190 ადამიანი დაიღუპა, 625 კი დაშავდა.

30-წუთიანი ინტერვალით, მატარებლის პირველი კლასის ვაგონებსა და რკინიგზის სადგურში შვიდი აფეთქება მოხდა.

ინდოეთის პოლიციის ვარაუდით, ასაფეთქებელი ნივთიერებები, სავარაუდოდ, დისტანციური მოწყობილობით იქნა მოყვანილი მოქმედებაში.

შემთხვევის ადგილზე მიმდინარეობს სამაშველო და საგამოძიებო სამუშაოები.

პასუხისმგებლობა მომხდარზე ჯერჯერობით არც ერთ ორგანიზაციას არ აუღია. თუმცა, ინდოეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ აფეთქებები კარგად დაგეგმილი და კოორდინირებული მოქმედების შედეგად განხორციელდა. **ინტერპრესნიუსი**

### ჩიკაგოში მეტროში მომხდარი ინციდენტის დროს 76 ადამიანი დაშავდა

ჩიკაგოს მეტროში მომხდარი ინციდენტის შედეგად სულ მცირე 76 ადამიანი დაშავდა.

ჩიკაგოს მეტროპოლიტენის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მეტროს ვაგონი ლიანდაგიდან ადგილობრივი დროით 17:00 საათზე გადავიდა, რის შედეგადაც სადგურში ხანძარი გაჩნდა. მოხერხდა ასეულობით მგზავრის სასწრაფო ევაკუირება. 76 ადამიანი ჰოსპიტალიზირებულია.

სამართალდამცველები შემთხვევის გამომწვევ მთავარ მიზეზად ტექნიკურ გაუმართაობასა და მემანქანის შეცდომას განიხილავენ. ტერაქტის ვერსია კატეგორიულად გამოირიცხა. **ინტერპრესნიუსი**

### გიორგი ბარამიძე იტალიაში შეხვედრებს გამართავს

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე სამუშაო ვიზიტით იტალიაში იმყოფება.

ვიცე-პრემიერი შეხვდება იტალიის თავდაცვის, ასევე ევროკავშირის პოლიტიკის მინისტრებს, საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველ პირებს, იტალიის დეპუტატთა პალატის ხელმძღვანელობას, პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს. დაგეგმილია შეხვედრები მედიის წარმომადგენლებთან. გიორგი ბარამიძე ინტერვიუს მისცემს "il jornales" ჟურნალისტსა და ისაუბრებს "Rai 24"-ის პირდაპირ ეთერში.

საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის საკითხისადმი იტალიის, როგორც ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს. იტალიაში სამუშაო ვიზიტით პირველად მყოფი საქართველოს ვიცე-პრემიერი სწორედ საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე, ამ გზაზე საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერასა და საქართველოში მიმდინარე რეფორმებზე ისაუბრებს.

გიორგი ბარამიძე საქართველოში 15 ივლისს დაბრუნდება. **მედიანიუსი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# მაქსიმუმი რთულ მდგომარეობაში

პირველი გვერდიდან

განსხვავებული საკითხებისა და ინტერესების "ორომტრიალი" "დიდ რვიანის" სამიტზე ამ ამოცანას კიდევ უფრო ართულებს. მაგრამ სააკაშვილის დროში კარგად გათვლილმა მოწვევამ თეთრ სახლში, ამისათვის კარგი ნიადაგი მოამზადა.

**"საქართველო ჩვენი მეგობარია და ჩვენ ქართველ ხალხზე სერიოზულად ვზრუნავთ,"** - განუცხადა ბუშმა სააკაშვილს ვაშინგტონში. **"დარწმუნებული ვარ, ნატო საქართველოს გაწევრიანებით მოგებული დარჩება,** - განაგრძობს ბუში, - **და ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენს პარტნიორებთან ნატო-ში, რათა ვნახოთ, საქართველოსთვის გასავლელი გზის უფრო გამარტივება ხომ არ შეგვიძლია."** ამაზე აშკარა დიპლომატიური მინიშნება წარმოუდგენელია.

მთავარი სირთულე ამ "სიცხადის" სანკ-პეტერბურგში შენარჩუნება იქნება. პირველ რიგში, არ არის საჭირო ზედმეტად წუხილი იმაზე, თუ რა სახე ექნება ამერიკის პრეზიდენტს უხერხულობაში ჩავარდნილი მასპინძლის წინაშე; და, მით უმეტეს, არავინ უნდა შეიყვანოს შეცდომაში იმან, რომ რუსეთი რაიმე სახით დახმარებას გაგვიწევს ირანსა და ჩრდილოეთ კორეასთან მოლაპარაკებებში.

პირველი საკითხი, "დიდი რვიანის" წლევანდელი სამიტის სიურეალისტური ბუნებიდან გამომდინარეობს. ბევრი დამკვირვებელი - სხვათა შორის, ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაურიც - არ არის დარწმუნებული, რომ ეს სამიტი საერთოდ უნდა შემდგარიყო, ყოველ შემთხვევაში, რუსეთის მასპინძლობით.

**"პუტინის რუსეთი დღეს არც დემოკრატიაა და არც მსოფლიოს წამყვანი ეკონომიკა. სერიოზულად ვეჭვობ, რომ "დიდი რვიანის" ლიდერები უნდა დაესწრონ სანკტ-პეტერბურგის სამიტს,"** - ჯერ კიდევ 4 თებერვალს მიუნხენის 37-ე უსაფრთხოების კონფერენციაზე განაცხადა ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა. ხოლო გავლენიანი გამოცემის "ვაშინგტონ პოსტ"-ის 8 მარტის ნომერში მესვეტე ენ ეპლბაუმი კიდევ უფრო ამძაფრებს საკითხს: **"ბატონო ბუშ, გამოტოვე სანკტ-პეტერბურგი!"** მისი არგუმენტის მოსმენა მართლაც ღირს.

**"სანკტ-პეტერბურგში ჩასვლით,** - ამბობს იგი, - **პრეზიდენტი ბუში, პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, პრეზიდენტი ჟაკ შირაკი და იტალიის, გერმანიის, კანადისა და იაპონიის ლიდერები, ფაქტობრივად, დასტურს აძლევენ პოლიტიკური უფლებების შეზღუდვას, დამოუკიდებელი ჯგუფების შევიწროვებას, ენერგიის რე-ნაციონალიზაციასა და მედიაზე ცენზურას - ყველაფერს, რაც პუტინმა ექვსი წლის წინ ელცინის შემდეგ სათავეში მოსვლით ქვეყანაში განახორციელა. ისინი ასევე თავიანთ თანხმობას დააფიქსირებენ რუსეთის მიერ გაზსადენების უკრაინის წინააღმდეგ გამოყენებაზე და მის (რუსეთის) ამბიციურ პრეტენზიებზე ირანის ბირთვული კრიზისისა და ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მოლაპარაკებებში."**

შესაძლოა, ბუშიც შინაგანად ეთანხმება კიდეც მაკკეინისა და ეპლბაუმის მოსაზრებებს, მაგრამ მისი პოლიტიკური გადაწყვეტილება სანკტ-პეტერბურგში ჩასვლას აიძულებს. "ფაინენშლ თაიმს"-ში გამოქვეყნებული ფილიპ სტეფენსის სტატიის სათაური სრულად ასახავს თეთრი სახლის ამჟამინდელ სტრატეგიას: **"პუტინთან სადილი არ არის ჩუმად ყოფნის საბაბი."**

მართლაც, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ 4 მაისს ვილნიუსის კონფერენციაზე დაიწყო ნიადაგის მომზადება ბუშის სანკტ-პეტერბურგის ვიზიტისთვის. მოსკოვი ან ძალიან განრისხდა ჩეინის კრიტიკაზე, ან კიდევ ძალიან გულგრილი იყო იმისთვის, რომ აი ეს მოსაზრება გაეგო: **"წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოები დაუპირისპირდებიან რუსეთს სანკტ-პეტერბურგის "დიდი რვიანის" სამიტზე. ჩვენ ისე წარმოვაჩენთ სიტუაციას (ნათლად და დამაჯერებლად), რომ რუსეთს არ უნდა ეშინოდეს და, პირიქით, მისთვის მომგებიანია თავის საზღვართან ძლიერი, სტაბილური დემოკრატიების არსებობა. დასავლეთთან მოკავშირეობით, რუსეთი ჩვენთან ერთად ივლის კეთილდღეობისა და აღმავლობისაკენ."**

სააკაშვილის ვიზიტი ვაშინგტონში კიდევ ერთი ეტაპი იყო ბუშის სანკტ-პეტერბურგისკენ მიმავალ გზაზე. რა თქმა უნდა, ამერიკის პრეზიდენტმა გულით დაუჭირა მხარი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას. მაგრამ მოსკოვს რომ კარგად მოესმინა, შეამჩნევდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ასევე წამოაყენა რუსეთთან მომავალი, პოზიტიური ურთიერთობების ხედვაც. თავის 6 ივლისის გამოსვლაში "ამერიკან ენტეპრაიზ ინსტიტუტ"-ში სააკაშვილმა განაცხადა: **"გრძელვადიან პერსპექტივას მე საკმაოდ ოპტიმისტურად ვუყურებ. ჩვენი პრობლემები ხანგრძლივი არ არის; ეს ნათელია, მაგრამ ჩვენ არასოდეს დავნებდებით რუსეთს."**

დაბოლოს, სანკტ-პეტერბურგში ჩასვლამდე ბუში გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს ხვდება. თანაც არა ბერლინში, არამედ მის (მერკელის - რედ.) ამომრჩეველთა გარემოცვაში, ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ამგვარი სამიტისწინა სტრატეგია ბუშისთვის დამახასიათებელია - შეგახსენებთ, რომ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების აღსანიშნავ იუბილეზე მოსკოვში ჩასვლამდე მან რიგაში გაიარა, ხოლო მოსკოვიდან პირდაპირ თბილისში გაემგზავრა.

თუმცაღა, "დიდი რვიანის" სამიტს გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წითელ მოედანზე გამართულ აღლუმზე დასწრებას. და, რაც უფრო ახლოვდება მისი თარიღი, მით უფრო რთულდება სანკტ-პეტერბურგში "დასაკავებელი სწორი პოზის" არჩევანი. ეპლბაუმმა იწინასწარმეტყველა ეს: **ბუშს "შეუძლია შეამციროს ზიანი - მას შეუძლია გზაზე გაიაროს ვილნიუსში ან სულაც კიევში; მას შეუძლია თავისი "რწმენა თავისუფლებაში" რუს მასპინძლებს გააცნოს - მაგრამ არც კრემლი და დემოკრატიის სხვა ოპონენტები ამაზე არ წუხან. ყველას მხოლოდ ის ემახსოვრება, რომ იგი იქ იყო."**

შესაძლოა, ის მართალია, მაგრამ ბუშს რომ უარი ეთქვა სანკტ-პეტერბურგში პუტინის მიწვევაზე, მისი ოპონენტები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ, ყვირილს მორთვადნენ, რომ რიტორიკული ქულების დაწერის მიზნით მსოფლიო უსაფრთხოებას კითხვის ქვეშ აყენებს. თუმცა, ახლა, როცა იგი მიემგზავრება სანკტ-პეტერბურგში, თეთრი სახლის "პიარისტებს" მოსვენებას არ აძლევთ ის აზრი, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი სამი დღის განმავლობაში შესაძლოა, ცუდად გამოიყურებოდეს. ამიტომ, ბუშის ადმინისტრაციაში ზოგიერთი ცდილობს, ისე წარმოაჩინოს, თითქოს პრეზიდენტი სანკტ-პეტერბურგში ისე ჩავა, რომ პუტინთან "უიკენდი" მხოლოდ ღიმილით დასრულდება.

8 ივლისს "ვაშინგტონ პოსტი" იტყობინებოდა, რომ ბუში აპირებს, პუტინს სამიტის დაწყებამდე დაგეგმილ შეხვედრაზე შესთავაზოს ვრცელი თანამშრომლობა სამოქალაქო ატომის სფეროში. თუ ორი მხარე შეძლებს ხელშეკრულებაზე შეთანხმებას, რომელიც დააკმაყოფილებს აშშ-ს კანონმდებლობას, რუსეთი მილიარდობით დოლარს მიიღებს მთელს მსოფლიოში აშშ-ს კონტროლქვეშ მყოფი რეაქტორებიდან ბირთვული ნარჩენების შენახვისათვის.

არსებული ენერგოდეფიციტის პირობებში მოვლენების ასეთი განვითარება, შესაძლოა, სასარგებლოც აღმოჩნდეს, მაგრამ ვიდრე ამ იდეაზე მსჯელობა წარიმართებოდეს, ბუშმა ეს წინადადება პეტერბურგში უნდა ჩაიტანოს. უფრო მეტიც, თუ "ვაშინგტონ პოსტ"-ს დავუჯერებთ, ბირთვული თანამშრომლობის პერსპექტივას სთავაზობენ დასაწყისში, როგორც წინასწარ დათმობას და არა ბოლოს - როგორც სამიტის წარმატებით ჩატარების საფასურს.

რატომ ბირთვული გარიგება? იმიტომ, რომ ზოგიერთი ვაშინგტონში კიდევ იზიარებს იმ ილუზიას, რომ მოსკოვი ირანისა და ჩრდილოეთ კორეის საკითხში უფრო სასარგებლო შეიძლებოდა ყოფილიყო. აქამდე, ვაშინგტონი დაჟინებით მოითხოვდა რუსეთისაგან კონკრეტულ ნაბიჯებს ირანის მიერ ბირთვული პროგრამის შესაჩერებლად. **"ჩვენ არაფერსაც არ ვიღებთ აქედან (რუსეთის დახმარებიდან, - რედ.),** - განუცხადა "ვაშინგტონ პოსტ"-ს გაუვრცელებლობის სწავლებათა ცენტრის დირექტორმა ჰენრი სოკოლსკიმ, - **ჩვენ ვიღებთ მხოლოდ ფულის მიცემის შესაძლებლობას."**

მაგრამ, როგორც ყოფილი ამერიკელი მაღალჩინოსანი, დღეს კარნეგის მოსკოვის ცენტრის დირექტორი როუზ გოტემიულერი ამბობს: **"ეს გულისხმობს აქამდე არარსებული ნდობის გარკვეულ ხარისხს რუსეთის ხელისუფლებაში."**

ამ ილუზიას გამოდევნება ბუშის დემოკრატიულ დღის წესრიგში (მათ შორის საქართველოს მხარდაჭერა) სანკტ-პეტერბრუგის სამიტზე უდიდესი შეცდომას წარმოშობს. რეალობა ასეთია: მოსკოვის მონაწილეობა ირანის ბირთვულ საკითხში ძლიერ ამბიციური იყო. თითქოს რუსეთი ეხმარება კიდეც ევროკავშირსა და აშშ-ს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში უკან იხევს ხოლმე.

ჩრდილოეთ კორეაში, სწორედ მაშინ, როცა სააკაშვილი ბუშთან შესახვედრად ემზადებოდა, ხოლო ამერიკელები 4 ივლისის საპატივცემულოდ მოწყობილი ფეიერვერკებით ტკბებოდნენ, კიმ ჩენ ირმა შვიდი ბალისტიკური რაკეტა გაუშვა, მათ შორის 6 ათას კილომეტრ რადიუსიანი "ტაეპოდონგ 2" (ეს უკანასკნელი წარუმატებელი აღმოჩნდა.).

პუტინი "იმედგაცრუებული" იყო, თუმცა, მაინც იცავდა ფხენიანის უფლებას ამ რაკეტების გამოცდაზე. რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის თქმით, **"ამ რაკეტებმა არანაირი ზიანი არ მიაყენეს რუსეთის უსაფრთხოებას",** მიუხედავად იმისა, რომ ნახოდკასა და ვლადივოსტოკის მახლობლად, რუსეთის ტერიტორიულ წყლებში ჩავარდნენ. მოსკოვმა უკვე უარი განაცხადა გაერო-ს უშიშროების საბჭოში იაპონიის მიერ ინიცირებული რეზოლუციის მხარდაჭერაზე, რომელიც ჩრდილოეთ კორეის მიმართ სანქციების დაწესებას ითვალისწინებდა.

**"საოცარია, რატომ განაგრძობს დასავლეთი რუსეთთან, როგორც მოკავშირესთან, ურთიერთობას,"** - წერდა 10 ივლისის "ნიუ იორკ თაიმს"-ში პოლიტიკოსად ქცეული ჭადრაკის დიდოსტატი გარი კასპაროვი. რასაკვირველია, აზრს მოკლებული არ არის რუსეთის "მოქრთამვა" მხარდაჭერის მისაღებად, მაგრამ თუ ბუში უკომპრომისოდ მიჰყვება თავის დემოკრატიულ დღის წესრიგს (მათ შორის საქართველოს მხარდაჭერას), მსოფლიოს არა მარტო ის ემახსოვრება, თუ რა მოხდა სანკტ-პეტერბურგში, არამედ ისიც, თუ რა თქვა მან.

*ელჩი დევიდ ჯ. სმიტი არის პოტომაკის ინსტიტუტის პოლიტიკურ სწავლებათა უფროსი ექსპერტი და ვაშინგტონში საქართველოს ფორუმის თავმჯდომარე.*

# ბოიკოტი დემოკრატიულ პროცესს

პირველი გვერდიდან

რომელიც გვეგონა, წარსულს მივაბარეთ, უცნაურად გაცოცხლდნენ. ვისაც არ აინტერესებთ, არც აინტერესებდათ საქართველო, არც მისი საზოგადოება და მისი არჩევანი.

თავისუფალი მედია - პოზიცია ბოიკოტს უცხადებს "იმედის" ტელეარხს, ოპოზიცია "რუსთავი 2"-ს; ამ დროს არავის აინტერესებს პირველი საზოგადოებრივი არხი, რომელიც არ შედგა დიალოგის ასპარეზად - როგორც ნეიტრალური, საზოგადოებრივი. არავის აინტერესებს თავისუფალი მედია, საზოგადოების სწორი ინფორმირება; არც სინამდვილეში საქართველო!

პარლამენტი - პოზიცია ნომინალურს ხდის ოპოზიციას პარლამენტში, არც ერთ შეტანილ ცვლილებას არ იხილავს და არ ითვალისწინებს, რითიც უაზროს ხდის საპარლამენტო დებატებს. ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებს პარლამენტს, პარლამენტში მუშაობას, ე.ი. ხმას უკარგავს თავის ამომრჩეველს. არავის აინტერესებს ქართული პარლამენტი, საზოგადოების ინტერესები და წარმომადგენლობითობა, ის კანონები, რომლითაც საზოგადოებამ უნდა იცხოვროს და იხელმძღვანელოს; არც სინამდვილეში საქართველო!

ადგილობრივი არჩევნები - პოზიცია თავის თავზე ირგებს საარჩევნო კანონს, რითიც აღიარებს, რომ 30 პროცენტზე მეტ მხარდაჭერას ვერ მოიპოვებს, ოპოზიციის შვიდი პარტია ერთიანდება და ბოიკოტს უცხადებს არჩევნებს, რითიც აღიარებს თავისი მსხვილი გაერთიანების უსუსურობას; არავის არ აინტერესებს არჩევითობა, საზოგადოების არჩევანი, ნება, არჩევანის უფლება; არც სინამდვილეში საქართველო!

სასამართლო - პოზიცია ზეწოლას ახორციელებს და პირდაპირ ერევა გამოძიების და განაჩენის გამოტანის პროცესში და ფაქტობრივად მართავს სასამართლოს; ოპოზიცია, თვით პარლამენტის წევრები უკიდურესი ფორმებით ახდენენ თვითონ სასამართლო ინსტიტუტის დისკრედიტაციას; არავის არ აინტერესებს ქართული მართლმსაჯულება, სამართლიანობა, საზოგადოებაში სიმართლის, მოსამართლის პატივისცემისა და კანონმორჩილების დანერგვა. არც სინამდვილეში საქართველო!

რა ხდება?! ხდება ის, რომ არავის დღემდე არ აინტერესებს ქართული საზოგადოების აღდგენა, გამთლიანება, მომავალი, არჩევანი, ნება. ეს ხდება იმიტომ, რომ გრძნობენ, რომ თვითონ ქართულ საზოგადოებას, საქართველოსაც არ აინტერესებს ეს პოლიტიკური გუნდები, რომლებიც ამ მაქინაციებით ინარჩუნებენ ძალაუფლებას.

ჩვენი სიძლიერეც სწორედ ის არის, რომ ქართული საზოგადოება უკვე მზად არის მსგავსი გამოწვევებისათვის. ყველას კარგად ესმის, რომ ამ "ეროვნული" ლოზუნგების და დეკლარაციების უკან ამოფარებული ძალები საქართველოში აღარ უნდა დაბრუნდნენ, მაგრამ აღარ უნდა გაგრძელდეს ამ ხელისუფლების თავაშვებულობაც. ორივე მხარე თითქოს დაუპირისპირდა ერთმანეთს და თითქოს საქართველო ორ ნაწილად დაიყო; და სინამდვილეში ერთ მიზანს ემსახურებიან, რომელსაც საქართველო ნამდვილად არ ჰქვია!.

# გამოსვლა გაერო-ში სტატუს-კვოს წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

გაერო-ს უშიშროების საბჭოს დახურულ სხდომაზე ნინო ბურჯანაძის ამ გამოსვლას, როგორც სავარაუდო იყო, რუსეთის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. რუსეთის ფედერაციის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერო-ში ვიტალი ჩურკინმა საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოხსენებას "დიდი შეცდომა" უწოდა. მისი მტკიცებით, რუსეთი არ წარმოადგენს კონფლიქტში მონაწილე მხარეს, რომელიც "აფხაზეთის მიმართ საქართველოს მიერ განხორციელებული შეიარაღებული აქციის შედეგად წარმოიქმნა". რუსი დიპლომატი აგრეთვე ირწმუნება, რომ რუსეთი მხოლოდ ბედნიერი იქნება, თუ აფხაზეთის კონფლიქტი დარეგულირდება, რისთვისაც მოსკოვი "კოლოსალურ ძალისხმევას ეწევა". ვიტალი ჩურკინს არც იმის აღნიშვნა დავიწყებია, რომ აფხაზეთში არაერთი რუსი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა.

რაც შეეხება სამშვიდობოების მანდატის შეცვლას, გაერო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენლის თქმით, ეს მხოლოდ ოფიციალური თბილისისა და სოხუმის შეთანხმების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. ჩურკინი იქვე დასძენს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოში საქართველოს პარლამენტის სპიკერის გამოსვლა შემდეგი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა: არ გამართლდა რუსეთის წარმომადგენლების იმედი, რომ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების ამასწინდელი შეხვედრის შემდეგ კონფლიქტის მონაწილე მხარეები უკეთეს ურთიერთგაგებას მიაღწევდნენ.

ბურჯანაძე-ჩურკინის დაპირისპირების დროს ნეიტრალური პოზიცია დაიკავა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა საქართველოში ჰაიდი ტალიავინიმ. დახურული სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრის დროს, მან უარი განაცხადა ეპასუხა კითხვაზე, ეთანხმება თუ არა ქართული მხარის მიერ მოსკოვის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს.

"ჩემი საქმე არ არის, რაიმეს დავეთანხმო ან არ დავეთანხმო. მე ვისმენ ყველა წინადადებას. ჩემი ამოცანაა მანდატის მიხედვით მოქმედება. გამაჩნია უფრო კონკრეტული ამოცანაც: კონფლიქტის ზონაში სტაბილურობის შენარჩუნება და სამშვიდობო დიალოგის ხელშეწყობა," - აღნიშნა ტალიავინიმ.

*24 საათი*

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით - ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- ყაყულიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | რეისი თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* რეისები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** რეისები მოცემული განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** რეისები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** რეისები მოცემული განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | რეისი ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის წამობრივი აღრიცხვა

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+ აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

8-100

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# ომბუდსმენის რეკომენდაცია ჯანდაცვის მინისტრს

მსჯავრდებული ევგენი შარვაშიძე, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც უმძიმესია, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, კარცერის ტიპის საკანში იმყოფება და მას მეუღლე უვლის, რომელიც თვეებია, ფაქტობრივად, ქმართან ერთად იხდის სასჯელს, ვინაიდან, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო შარვაშიძე მუდმივ ყურადღებას საჭიროებს. არადა, მიუხედავად იმისა, რომ შარვაშიძის ადვოკატი უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფი პატიმრის ვადამდე ადრე გათავისუფლებას ითხოვს, მის განცხადებებს დღემდე არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

2006 წლის 16 იანვარს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა ევგენი შარვაშიძის ადვოკატმა და წარადგინა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმის დავით ასათიანის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ ევგენი შარვაშიძეს 19 ოქტომბერს ჩატარებული გამოკვლევებისა და კონსულტაციების საფუძველზე დაუდგინდა კლინიკური დიაგნოზი: ჰიპერტონული დაავადება III, თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მწვავე მოშლა მარჯვენა შუა არტერიის აუზში, იშემიის ტიპის, მარცხენამხრივი ჰემიპლეგია, მეტყველების მოშლით, დისფაგიით, მუცლის ღრუს ორგანოთა ფუნქციის მოშლით, ათეროსკლეროზული კარდიოსკლეროზი.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, "პატიმრობის შესახებ კანონის" 65-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, შარვაშიძისთვის დასმული დიაგნოზი, მისი სასჯელისგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. ანუ, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებულ ჩამონათვალში ის მძიმე და განუკურნებელი დაავადებაც იყო მითითებული, რომელითაც შარვაშიძეა დაავადებული.

ჯანმრთელობის მინისტრის 2003 წლის 3 მარტის ბრძანების თანახმად, ევგენი შარვაშიძის დაავადებათა ნუსხა მისი შემოწმების პერიოდში სრულად შეესაბამებოდა გათავისუფლებას. თუმცა გათავისუფლების საკითხი მხოლოდ სრულყოფილი დიაგნოსტიკის შემდეგ შეიძლება ყოფილიყო დასმული.

2006 წლის 3 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს გია ქავთარაძეს რეკომენდაციით მიმართა და მოითხოვა, მსჯავრდებულ ევგენი შარვაშიძესთვის გამოკვლევების ჩატარება. შარვაშიძის სადიაგნოსტიკო გამოკვლევების უზრუნველსაყოფად იუსტიციის სამინისტრომ 1635 ლარი გამოყო. პატიმარს დიაგნოსტიკური შემოწმება ჩაუტარდა და მას ზემოხსენებული დაავადებები დაუდგინდა. თუმცა, 2006 წლის 9 მარტს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვითაც, ევგენი შარვაშიძის დაავადებები აღარ წარმოადგენს გათავისუფლების საფუძველს.

როგორც სახალხო დამცველი აცხადებს, უმძიმესი ავადმყოფი ევგენი შარვაშიძე განიცდის როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ ტანჯვას, რაც საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით აკრძალულ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ნორმებთან წინააღმდეგობაში მოდის.

კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში 9 მარტის ცვლილება გასაუქმებელია და სასჯელის მოხდისაგან გასათავისუფლებელ დაავადებათა სია უნდა გაფართოვდეს, რათა უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი პატიმართა უფლებების დაცვა.

სახალხო დამცველმა ამ მოთხოვნით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ლადო ჭიპაშვილს უკვე მიმართა.

*24 საათი*

# ომბუდსმენი - პარლამენტარ გოჩა ჩახვაძის წინააღმდეგ

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი საქართველოს პარლამენტის წევრის გოჩა ჩახვაძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს. ასეთი რეკომენდაციით სუბარი პარლამენტის წინაშე 14 ივლისს წარდგება, როდესაც დეპუტატებს 2006 წლის პირველი ნახევრის ანგარიშს გააცნობს.

სახალხო დამცველი ჩახვაძეს გამოძიებისთვის ცრუ ჩვენების მიცემაში ადანაშაულებს.

სოზარ სუბარის განმარტებით, ის გაეცნო გამოძიების მასალებს, რომელშიც დადასტურებულია, რომ ეთერ ჭუმბურიძეს გოჩა ჩახვაძისთვის ცეცხლსასროლი იარაღიდან არ უსვრია.

ომბუდსმენის თქმით, უნდა დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც ჭუმბურიძის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მისცა. ასეთი კი, პირველ რიგში, დეპუტატი ჩახვაძეა.

აღნიშნული ფაქტის შესწავლას აპირებენ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებიც. როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე აცხადებს, სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი ინფორმაცია ყოველთვის მნიშვნელოვანია და ჩახვაძის ფაქტი მსჯელობის საგანი გახდება.

*მედიანიუსი*

# პროკურატურა მოწმისა და დაზარალებულის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

გუშინ თბილისის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო და არა თვითმხილველი მოწმის მიერ მითითებული დანაშაულისა და მისი მონაწილე პირების მიმართ, არამედ, თავად დაზარალებულ ლევან ბუხაიძის მიერ მიცემულ ჩვენებაზე. ამის შესახებ განცხადება ლევან ბუხაიძის ადვოკატმა ლაშა ავალიანმა გააკეთა. ლაშა ავალიანის თქმით, მას შემდეგ, რაც ბუხაიძე თბილისის პროკურატურაში დაკითხეს, სისხლის სამართლის საქმე 371 პრიმ მუხლით - ურთიერთგამომრიცხავი ჩვენების კვალიფიკაციით აღძრეს.

**"პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ლევან ბუხაიძეს ჩვენება არ შეუცვლია, გაუგებარია, რატომ ამბობენ, რომ მან ჩვენება შეცვალა, უბრალოდ, მან დააზუსტა მის მიერ ადრე მიცემული ჩვენება, გაიხსენა საქმის ახალი დეტალები. სასამართლოზე მელნიკოვის დაკითხვის შემდეგ, მისი მოძრაობით, ხმით, მიმიკებით და სხვა დამახასიათებელი დეტალებით აღიდგინა, რომ ოქროყანის სასაფლაოზე ოლეგ მელნიკოვი იმყოფებოდა და არა ბიბილურიძე, რომელიც ბუხაიძემ ვერც წინასწარი გამოძიებისას და ვერც სასამართლოზე საერთოდ ვერ ამოიცნო. ბუხაიძემ გუშინწინ პროკურატურას განუცხადა, რომ სწორედ მელნიკოვმა შეთხარა თვალში იარაღი და უთხრა, - სიკვდილის ღირსი ხარ, ახლა უნდა გაგაგოროო. ეს და მელნიკოვთან დაკავშირებული სხვა დეტალები ბუხაიძემ პროკურატურას ახალ ჩვენებაში მოუყვა. თუმცა, როგორც ჩანს, მათ არ უნდათ, ლევანმა სიმართლე თქვას, ამიტომაც, აცხადებენ, რომ მან ჩვენება შეცვალა,"** - აცხადებს ადვოკატი ლაშა ავალიანი.

სხვათა შორის, ოქროყანის ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე ლევან ბუხაიძემ დეპუტატ ზვიად ძიძიგურის მიერ ნაჩვენებ ფოტოზე ოლეგ მელნიკოვი, ფაქტობრივად, ამოიცნო. განაცხადა, რომ "70 პროცენტით ის არის". მოგვიანებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების - ამოცნობისას, რომელშიც ლევან ბუხაიძემ ადვოკატის გარეშე მიიღო მონაწილეობა, დაზარალებულმა დარწმუნებით ამოიცნი გია ალანია, ეჭვი გამოთქვა დანარჩენების, მათ შორის, ოლეგ მელნიკოვის შესახებ. თქვა: "ოქროყანის სასაფლაოზე სავარაუდოდ, ეს პირი იყო, თუმცა, ამის თქმა დარწმუნებით არ შემიძლია."

ბუხაიძის ადვოკატი ლაშა ავალიანი აცხადებს, რომ საქმის მთავარმა მოწმემ და დაზარალებულმა ოლეგ მელნიკოვი წინასწარი გამოძიების მსვლელობისას 100-პროცენტიანად ვერ ამოიცნო, ვარაუდი კი, ამოცნობის იურიდიული საფუძველი ვერ გახდებოდა.

ახლა ლევან ბუხაიძე დარწმუნებით აცხადებს, რომ ინციდენტის ღამეს ოქროყანის სასაფლაოზე მიხეილ ბიბილურიძე, რომელსაც მოსამართლემ 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა, ნამდვილად არ ყოფილა. ლევან ბუხაიძეს ეჭვი არ ეპარება, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ღამეს ოქროყანის სასაფლაოზე ოლეგ მელნიკოვი იმყოფებოდა, რომელიც სისასტიკით სხვებისგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა.

**"დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ განსასჯელის სკამზე მჯდომი ბიბილურიძე იმ ღამეს ოქროყანაში არ მინახავს. ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე, ხმით, მოძრაობით და სასამართლო პროცესის ჩანაწერების ხელახლა ნახვის შემდეგ, მე აღვიდგინე ოქროყანაში მყოფი მეოთხე ადამიანი. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ მეოთხე იყო ოლეგ მელნიკოვი. საერთოდ, ის, რაც ამ პროცესზე ხდება, განსასჯელების ჩვენებებით დაწყებული და სხვადასხვა პროცედურით დასრულებული, დაწერილი სცენარია,"** - ასეთი გახლდათ დაზარალებულისა და თვითმხილველის სასამართლო ჩვენება, რაც, წესით, სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის "კვანძის გახსნის" საფუძველი უნდა გამხდარიყო, თუმცა, ასე არ მოხდა.

მართალია, ლევან ბუხაიძე ჯერჯერობით კვლავ მოწმის სტატუსით სარგებლობს და მან თბილისის პროკურატურას დაზარალებულად ცნობაც მოსთხოვა, მაგრამ ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ ლევან ბუხაიძე შესაძლოა, ეჭვმიტანილად გამოაცხადონ. თუ თბილისის პროკურატურა მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ბუხაიძემ ცრუ ჩვენება მისცა, მაშინ მას სამ წლამდე პატიმრობა ელის.

**"საქმესთან დაკავშირებით განვითარებული დეტალები ეჭვის გამოთქმის უფლებას მაძლევს - გამორიცხული არაა, უახლოეს დღეებში ბუხაიძე ჯერ ეჭვმიტანილად ცნონ, შემდეგ კი დააკავონ. საქმე ისაა, რომ პროკურატურამ ან ლევან ბუხაიძის ჩვენება უნდა გამოაცხადოს ცრუ ჩვენებად და ლევანი დაიჭიროს, ან მიიღოს მისი ჩვენება და ოლეგ მელნიკოვი დაიჭიროს. ჯერჯერობით ლევან ბუხაიძის ჩვენება არ მიუღიათ, ფაქტი სახეზეა - ოლეგ მელნიკოვი პასუხისგებაში არავის მიუცია. მეტიც, თბილისის პროკურატურამ საქმე აღძრა არა დანაშაულის ფაქტზე, არამედ, ლევან ბუხაიძის ჩვენებაზე. ერთი ცნობილი იგავისა არ იყოს, აბა, საკუთარ შვილს ხომ არ მოჭრიან თავს. ამიტომაც, ჩვენ მიერ ატეხილი არცთუ უსაფუძვლო განგაში საზოგადოების საქმის კურსში ჩაყენებას ისახავდა მიზნად, რადგან, ამ სიტუაციაში საზოგადოების მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს,"** - ამბობს ლაშა ავალიანი. რომლის მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციასაც ოპერატიულად გამოეხმაურა თბილისის პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი.

**"გამოძიება ბუხაიძის წინააღმდეგ არ დაწყებულა. გადავამოწმებთ ლევან ბუხაიძის ჩვენებას და თუ დადასტურდება, მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ არ დადასტურდება ბუხაიძის ჩვენება, იმ შემთხვევაშიც მივიღებთ კანონიერ გადაწყვეტილებას,"** - განაცხადა თბილისის პროკურორმა.

**"ჩემი შვილის მეგობარმა ლევან ბუხაიძემ სიმართლე თქვა, ლევანი მართალია და მას ხელს ვერავინ დააკარებს. თუმცა, მთავარია, სუფრის წევრები, ანუ მკვლელობის დამკვეთები ხელახლა დაიკითხონ. მე მათ დასჯას მოვითხოვ,"** - აცხადებს სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე.

გირგვლიანების ოჯახი, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და საზოგადოების "ცნობილი სახეები", რომლებიც სანდრო გირგვლიანის საქმის სასამართლო მონიტორინგს ატარებდნენ, ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებენ. მათი მოთხოვნა უცვლელია - ჩადენილი დანაშაულისთვის, სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის, პასუხი ყველა დამნაშავემ, პირველ რიგში, შემკვეთებმა უნდა აგონ.

შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე დათა ახალაია, შსს-ს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი ვასილ სანოძე, დეპარტამენტის თავმჯდომარის ყოფილ თანაშემწე ოლეგ მელნიკოვი, შსს-ს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი უფროსი გურამ დონაძე და თაკო სალაყაია - ეს ის პირები არიან, რომელთა პასუხისგებაში მიცემასაც სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები კვლავ კატეგორიულად მოითხოვენ.

იგივე მოთხოვნას აყენებს "თანასწორობის ინსტიტუტის" ლიდერი ირაკლი კაკაბაძე. ადმინისტრაციული სასჯელით დაპატიმრებული ირაკლი კაკაბაძე სამართალდამცველებისგან შემკვეთების დასჯას კატეგორიულად მოითხოვს და აცხადებს, რომ თუ 20 ივლისამდე შემკვეთები არ დაისჯებიან, პროტესტის ნიშნად შიმშილობას გამოაცხადებს.



## შს მინისტრი - ხელშეუხებლობის გარანტი

"რესპუბლიკური" პარტიის წარმომადგენლის, იურისტ თინა ხიდაშელის აზრით, ხელისუფლება შემკვეთებად დასახელებული პირების დასაცავად ყველა ღონეს ხმარობს.

**"თავის დროზე, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსში 371 პრიმ მუხლი შეჰქონდათ, ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, ამასთან დაკავშირებით ჩემი დასკვნაც არსებობს. ახლა მოხდა ზუსტად ის, რასაც მაშინ ვამბობდით. ვამტკიცებდით, რომ ამ მუხლს ხელისუფლება პოლიტიკური მოსაზრებით გამოიყენებდა. ამ მუხლის მიზანია, გამოძიების პროცესში სხვადასხვა ზეწოლით მიღებული ჩვენება დააკანონონ, მისი შეცვლის საშუალება კი აღარ არსებობდეს.**

**რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ ტელე-გადაცემაში გიგა ბოკერიამ თქვა, რომ ეს მუხლი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, რაც გამოძიებაში ხდება, საინტერესო აღარ არის, მთავარია, მოწმე სასამართლოში რა ჩვენებას მისცემსო. საინტერესოა, მაშინ რას ნიშნავს ბუხაიძის შემთხვევა?**

**მგონია, რომ მელნიკოვის წინააღმდეგ საქმე არ აღიძვრება. გამოძიებას წაიყვანენ ბუხაიძის მიმართ და მერე დაამტკიცებენ, რომ მან ურთიერთგამომრიცხავი ჩვენება მისცა. თანაც, მას შემდეგ, რაც ამერიკიდან ჩამოსულმა პრეზიდენტმა რესტორნებზე, ოფიციანტებზე, კონტრაბანდულ ღვინოზე და ბორჯომზე ისაუბრა, არც ის გამიკვირდება, რომ ბუხაიძე დაიჭირონ.**

**კარგად გამოჩნდა, რომ დღევანდელი ხელისუფლება მელნიკოვის, დონაძის, ახალაიას და სანოძის გადარჩენისთვის ყველაფერზეა წამსვლელი. ბუხაიძესთან დაკავშირებით თუ თავს იმართლებენ, აქამდე რატომ არაფერს ამბობდაო, ამირან რობაქიძის მეგობრები ხომ პირველი ჩვენებიდან ადებენ ხელს დონაძეს. რა ხდება დონაძესთან მიმართებაში? საქმე ისაა, რომ დონაძე არ მიეკუთვნება იმ ადამიანების კატეგორიას, რომელიც ალანაიას მსგავსად მათ ნამუსს შეუნახავს. დონაძეს რომ შეეხონ, ის მაშინვე ყველაფერს მოყვება და მერაბიშვილი ციხეში უნდა ჩასვან. ამიტომაც ხდება ეს განუკითხაობა.**

**გირგვლიანის საქმეში დასახელებული პირების, დონაძისა და მისი მეგობრების ხელშეუხებლობა იმას ნიშნავს, რომ ჩრდილი არ მიადგეს ერთ კაცს - შს მინისტრს, რომელიც ამ პირების პოლიტიკური არსებობის ერთადერთი გარანტი გახდა,"** - აცხადებს თინა ხიდაშელი.



## ომბუდსმენი სკანდალურ ანგარიშს ამზადებს

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი 14 ივლისს პარლამენტში მოხსენებით წარდგება და ძირითად აქცენტს სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გააკეთებს. როგორც ჩანს, მისი მოხსენება სკანდალური იქნება.

**"სანდრო გირგვლიანი სასამართლო პროცესს თავიდან ჩემი წარმომადგენლები ესწრებოდნენ, შემდეგ კი შეგნებულად აღარ მივდიოდით, რომ მართლმსაჯულებაზე ზეწოლად არ მოენათლათ. თუმცა, აღნიშნულ საქმეს ყოველთვის ვაკვირდებოდით. ახლა ველოდებით, როდის გადმოგვცემენ გირგვლიანის ადვოკატები საქმის მასალებს, რომ ანალიზი გავაკეთოთ. ჩემს საპარლამენტო მოხსენებაში გირგვლიანის საქმეს მთლიანობაში შევეხები და ჩემს პოზიციას მაშინ დავაფიქსირებ.**

**რაც შეეხება ლევან ბუხაიძესთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს. კანონით, თუკი ადამიანი არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა და ამასთან, ისიც დამტკიცდა, რომ ეს ქმედება ემსახურება მართლმსაჯულების განზრახ შეცდომაში შეყვანას, ეს ადამიანი უნდა დაისაჯოს, მაგრამ ბუხაიძის შემთხვევაში ძალიან გაჭირდება იმის დამტკიცება, რომ მან ცრუ ჩვენება მისცა. მით უმეტეს, მას მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის სურვილიც არ გასჩენია,"** - აცხადებს სოზარ სუბარი.



## ვინ ახდენდა ზეწოლას ლევან ბუხაიძეზე?

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძე ლევან ბუხაიძეს წამების მსხვერპლს უწოდებს და თვლის, რომ ცრუ ჩვენების შესახებ ჰიპოთეზა მასზე არ უნდა გავრცელდეს. ანა დოლიძის განმარტებით, არსებითად საწინააღმდეგო ჩვენების მიცემისათვის პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც დასტურდება, რომ მოწმე ცრუ ჩვენებას, მართლმსაჯულებისათვის გზა-კვალის არევის მიზნით, წინასწარი განზრახვით იძლევა.

**"ამ შემთხვევაში ბუხაიძემ მიუთითა, რომ წინასწარი გამოძიების დროს მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა. სასამართლო გამოძიების პროცესში კი მას ჩვენება კი არ შეუცვლია, არამედ დააზუსტა. პროკურატურას ურჩევნია, პირველ რიგში, ის მოიკვლიოს, ვინ ახდენდა ზეგავლენას ლევან ბუხაიძეზე, რათა მას მელნიკოვი ბოლომდე ვერ ამოეცნო. წამების მსხვერპლი იმყოფება ტრავმის ქვეშ, ამიტომ ვითარების და მოვლენების აღდგენას აკეთებს მოგვიანებით, თანდათანობით და ნელ-ნელა. ეს ყველა ექსპერტმა იცის,"** - აცხადებს ანა დოლიძე.

*თამარ კაციტაძე*

# ყოფილი დეპუტატი პატივისა და ღირსების შელახვისთვის ჩივის

პარლამენტის ყოფილი წევრის, ვალერი გელაშვილის საქმეზე გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლო დღეს მიიღებს. როგორც ცნობილია, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ვალერი გელაშვილს დეპუტატის უფლებამოსილება ბიზნესსაქმიანობის გამო შეუწყვიტა, რადგან კანონის თანახმად, პარლამენტარს ბიზნესსაქმიანობა ეკრძალება. ვალერი გელაშვილის წარმომადგენლებისა და ადვოკატების განმარტებით, პარლამენტის გადაწყვეტილება უკანონოა, რადგან სასამართლოზე დაკითხულმა არც ერთმა მოწმემ არ დაადასტურა გელაშვილის უკანონო ბიზნესსაქმიანობა. "წინასწარ ძნელია იმის თქმა, რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო. თუმცა, იმედი გვაქვს, რომ განაჩენი სამართლიანი იქნება", - აცხადებენ ყოფილი დეპუტატის ინტერესების დამცველები. ვალერი გელაშვილის ადვოკატმა თამაზ რუხაძემ გუშინ თბილისის საქალქო სასამართლოში თბილისის მერისა და ისანი-სამგორის მაჟორიტარი დეპუტატის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. საქალქო სასამართლოში შეტანილი სარჩელით ვალერი გელაშვილი გიგი უგულავასა და ბიძინა ბრეგაძისგან პატივისა და ღირსების შელახვისთვის მორალური ზიანის ანაზღაურებას სამი ლარით ითხოვს. საუბარია გიგი უგულავასა და ბიძინა ბრეგაძის საჯარო განცხადებებზე, როდესაც მათ ვალერი გელაშვილი თბილისის 82-ე საშუალო სკოლის დაწვაში დაადანაშაულეს, რასაც დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა მოჰყვა.

*24 საათი*

# დაკავება ქრთამის აღების ფაქტზე

შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ბოლნისის რაიონის გამგეობის სამხედრო განყოფილების უფროსი ვალერიან ბესელაშვილი დააკავა. როგორც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი სოსო თოფურიძე აცხადებს, ეჭვმიტანილმა მოქალაქეს წვევამდელთა სიიდან ამოღებისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, ქრთამის სახით 600 დოლარი გამოსძალა.

ეჭვმიტანილ ვალერიან ბესელაშვილის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აწარმოებს. ბესელაშვილს ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

*ინტერპრესნიუსი*

# ქუთაისის "ტორპედოს" პრეზიდენტი დააკავეს

საქართველოს გენერალური პროკურატურა ქუთაისის "ტორპედოს" საქმიანობის შესწავლას აგრძელებს. საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი გია ხურციძე სამართალდამცველებმა გუშინწინ, გვიან დაკითხეს და დააპატიმრეს კიდეც. წინასწარი ინფორმაციით, მას ბრალად 30 ათასი ლარის გაფლანგვა ედება.

გუშინ კი დასაკითხად "ტორპედოს" კიდევ რამდენიმე თანამშრომელი დაიბარეს. ქუთაისის საწვრთნელ ბაზაზე აცხადებენ, რომ არაფერი იციან გუნდის ამჟამინდელი პრეზიდენტის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. "ტორპედო" განახლებული სახით 2005 წლის 29 ივლისს დაფუძნდა. გუნდის 60 პროცენტის მფლობელია ქუთაისელი ბიზნესმენი გრიგოლ ხურციძე, ხოლო 40 პროცენტს კი თურქი ბიზნესმენი იბრაგიმ ართვინი ფლობს.

*ინტერპრესნიუსი*



# "მზრუნველი თავყრილობა"

ვერიკო თევზაძე

**"ჩვენ შევთანხმდით, რომ ყველას მივესალმებით, ვინც კანონიერების საფუძველზე აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, ვადიანი თუ ვადამდელი არჩევნების გზით,"** - ეს არის ნაწყვეტი დეკლარაციიდან, რომლის ხელმომწერებიც გუშინ სასტუმრო "შერატონ-მეტეხი-პალასში" შეიკრიბნენ.

დეკლარაციის ავტორები ეროვნული კრების მოწვევის ინიციატივით გამოდიან. ეროვნული კრება, მათი განმარტებით, არის **"ეროვნული და სამოქალაქო ღირსების მქონე ადამიანების ზეპარტიული, საყოველთაო გაერთიანება".**

"შერატონის" გადაჭედილ საკონფერენციო დარბაზში სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, მისწრაფების და ბიოგრაფიის მქონე ადამიანი იყო შეკრებილი. იმათ შორის, ვისაც პრეტენზია აქვს, იწოდებოდეს "ეროვნული და სამოქალაქო ღირსების მქონე ადამიანად", იყვნენ ჯანსუღ ჩარკვიანი და რეზო ამაშუკელი, მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე, რეჟისორი ნუკრი ქანთარია, ყოფილი მოქკავშირელი გია ჟორჟოლიანი და ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე გია ზესაშვილი, მოკრივე გიორგი კანდელაკი და მისი მეუღლე ლალი მოროშკინა, ლუბა ელიაშვილი, პარლამენტის ყოფილი წევრი როსტომ დოლიძე, გიგა ლორთქიფანიძე, თემურ შაშიაშვილი და ფსიქოლოგი შოთა ნადირაშვილი...

გვარ-სახელების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარბაზი გადაჭედილი იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, გუშინ "შერატონში" უკიდურესი სიჭრელე სუფევდა. იქ მყოფთაგან შეხვდებოდით ადამიანებს, რომლებიც დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილონი არიან და გულწრფელად გამოხატავენ თავიანთ გულისტკივილს. ისეთებიც უხვად იყვნენ, 15 წლის წინათაც რომ იკრიბებოდნენ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ და იმავე გამოთქმებით ამკობდნენ მას, როგორც დღეს სააკაშვილის ხელისუფლებას აკრიტიკებენ.


გუშინ "შერატონში" სხვადასხვა ასაკის, პროფესიის, მისწრაფების და ბიოგრაფიის მქონე ადამიანი იყო შეკრებილი.

**"ჩვენ არ მოგვწონს გზა, რომლითაც ქვეყანა მიდის 15 წლის განმავლობაში,"** - დეკლარაციის ამ ნაწილს სხვებთან ერთად ის ადამიანებიც იზიარებენ, რომლებიც შევარდნაძის ხელისუფლებაში თავს კომფორტულად გრძნობდნენ. სხვებთან ერთად, ისინიც აპირებენ, დანერგონ პრინციპი: **"ქვეყანას მართავს ხელისუფლება - ხელისუფლებას მართავს საზოგადოება - საზოგადოებას წარმართავს ინტელექტი და ზნეობა."**

რაც ყველაზე მთავარია, დეკლარაციის ფინალში ნათქვამია: **"ჩვენთან მხოლოდ ის არ მოვა, ვისაც ამ პრინციპის ეშინია."** ამგვარი ცალსახა, კატეგორიული აზროვნების გამომხატველმა ფრაზამ მსახიობი ნინო ბურდული აღაშფოთა. მსახიობმა ქალბატონმა ბრძანა, რომ თუ დეკლარაციის ეს ნაწილი არ ჩასწორდებოდა, იგი ეროვნული კრების მოწვევის ინიციატორთა რიგებს დატოვებდა. დარბაზის უმრავლესობა მის წინააღმდეგ გამოვიდა. ერთადერთი, ლაშა თაბუკაშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ ამ ფრაზისთვის გადაეხედათ.

კატეგორიული აზროვნების გამოხატულებას წარმოადგენდა აკადემიკოს თემურ ნანეიშვილის გამოსვლაც, რომელმაც ცალსახად განაცხადა, დღევანდელი ბეჭდვითი პრესა კრიტიკულად აშუქებს ხელისუფლების საქმიანობას, ერთადერთი გამონაკლისის გარდაო. "24 საათის" შეკითხვაზე, ნანეიშვილმა ფრჩხილები გახსნა და ბრძანა: ეს გამონაკლისი გაზეთი "24 საათია!" ადამიანები, რომლებიც **"დემოკრატიული, ეროვნული, ქრისტიანული სახელმწიფოს მშენებლობის დაგვრიგვინებაზე"** ბაასობენ, იმავდროულად, მასმედიას უკანონებენ ჩარჩოებს, თუ როგორ უნდა გავაშუქოთ ხელისუფლების საქმიანობა.

ეროვნული კრების მოწვევის ინიციატორებს გუშინ მხარს უჭერდა საქართველოში არსებული ყველა ოპოზიციური პარტია და გაერთიანება სალომე ზურაბიშვილის "საქართველოს გზის" გარდა.

პრესისთვის გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 1000-ზე მეტ ადამიანს აქვს დეკლარაციაზე ხელის მოწერის სურვილი. პრესრელიზში ისიც არის ნათქვამი, რომ დეკლარაციას "სინდისის პატიმრებიც" შეუერთდებიან.

დაბოლოს, უკომენტაროდ ერთი ნაწყვეტი დეკლარაციიდან: **"ჩვენ გვჯერა, რომ ეროვნული კრება ქვეყნის წინსვლისთვის მზრუნველი თავყრილობა იქნება, სადაც სტრატეგიული საკითხების განხილვასთან ერთად დასაბამი მიეცემა მეცნიერული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური აზროვნების შერწყმას".**

# საუნივერსიტეტო ოპოზიციის გეგმები

*უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და გამოცხადებული კონკურსების მოწინააღმდეგე მეცნიერებმა, სასწავლებლის ეზოში გამართული პერმანენტული აქციები დროებით შეწყვიტეს და მედიასაშუალებების წარმომადგენლები მრგვალ მაგიდასთან სასაუბროდ მიიწვიეს. წინა დღით მათ შეხვედრის სასწავლებლის კედლებში გამართვის ნებართვა - რექტორის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი ხუბუას წერილობით მოსთხოვეს, რომელმაც ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ უნივერსიტეტის კარი ყველასთვის ღიაა. თუმცა, საბოლოოდ მეცნიერ-თანამშრომლები სასწავლებლის შენობაში დაცვამ არ შეუშვა, და მათ სასტუმრო "პრიმა ვერას" საკონფერენციო დარბაზში მშვიდად გადაინაცვლეს.*

ნინო ბერელიძე

მედიის წარმომადგენლებს "დიდი სამეცნიერო საბჭოს" მიერ არჩეულმა რექტორმა ჯემალ მებონიამ კიდევ ერთხელ გააცნო ის მოთხოვნები, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და განათლების სამინისტროს მიმართ საბჭოს წევრებს აქვთ.

**"პირველ რიგში, ლეგიტიმურად იქნას ცნობილი უნივერსიტეტის წესდება, დიდი სამეცნიერო საბჭო და მისი ფუნქციები, გაუქმდეს უკანონოდ გამოცხადებული კონკურსები. უდავოა, რომ უნივერსიტეტში დიდი ხანია შეცვლას მოითხოვს სასწავლო პროგრამებიცა და სწავლების პროცესიც. ამ პრობლემაზე ფიქრი ფიზიკის კათედრამ 90-იან წლებში დაიწყო და ნაწილობრივ შეცვალა სწავლების მიმართულებაც. უნდა ვაღიარო, რომ უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა, მაგრამ მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ მეტის გაკეთების საშუალება არ მოგვცა. რეფორმები საჭიროა, მაგრამ არა რევოლუციურად და რადიკალურად, არამედ თანდათან და ეტაპობრივად. შეგახსენებთ, რომ ჩვენს მიერ აღზდილი ასეულობით ახალგაზრდა მეცნიერი დღესაც წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში,"** - განაცხადა ჯემალ მებონიამ.

ჟურნალისტები აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ და შეხვედრაზე სულ რამდენიმე კითხვა დაისვა. უარყოფითი რეაქცია მოჰყვა "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წარმომდგენლის ზაალ ანდრონიკაშვილის შეკითხვას. მისი განცხადებით, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები "ჩაწყობის" გარეშე ვერ რჩებოდნენ სასწავლებელში სამუშაოდ, ხოლო აქედან უცხოეთში წასულებს ხელახალი გადამზადება სჭირდებოდათ.

პროფესორ-მასწავლებლები შეკითხვას კრიტიკულად შეხვდნენ და საპირისპირო მაგალითებიც დაასახელეს. მათ შორის იყო ბიოლოგიის კათედრის მაგალითი, რომელიც თავს იწონებდა იმით, რომ ათი წლის მანძილზე ექვსი ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერის გაზრდა მოახერხა.

"24 საათი" უნივერსიტეტში ეტაპობრივად გასატარებელი რეფორმის "დიდი სამეცნიერო საბჭოს" მიერ წარმოდგენილი კონცეფციის დეტალებით დაინტერესდა. საბჭოს წევრების გეგმის მიხედვით, საბჭოს ლეგიტიმაციის შემდეგ, სასწავლებელში მოხდება თანამშრომლების ახალ აკადემიურ თანამდებობებზე გადაყვანა, აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოები, შემუშავდება ახალი წესდება და აირჩევა რექტორი. საბჭოს მიერვე განისაზღვრება, რამდენი ფაკულტეტი და საშტატო ერთეულია საჭირო თითეულ კათედრაზე და ამის შემდგომ გამოცხადდება ღია კონკურსი. ჯემალ მებონიას თქმით, ამ გეგმის განხორციელებას რვა თვეზე მეტი არ დასჭირდება.

თუმცა, როგორც ცნობილია, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ამ მოთხოვნების გათვალისწინებას არ აპირებს და ღია კონკურსის ჩატარებისათვის ემზადება.

# სოციალური დახმარება "ჩაქრილი" პროფესორებისათვის

თამარ დვალი

*ჟურნალისტებთან დისკუსიის შემდეგ, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გია ხუბუამ მეორე ნაბიჯი გადადგა და ამჯერად დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს შეხვდა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით თავის დროზე მართლაც შეცდომები დაუშვა. ახლა ამ ლაფსუსის გამოსწორებას ცდილობენ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას გუშინ დიპლომატებმა დახმარება და მხარდაჭერა აღუთქვეს.*

თსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გია ხუბუას მოწვევა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის თითქმის ყველა წარმომადგენელმა მიიღო. როგორც გაირკვა, დიპლომატები საუნივერსიტეტო რეფორმას დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს. შეხვედრის ინიციატივა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისგან მოდიოდა.

**"უნივერსიტეტმა დაინახა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეფიციტი მართლაც არსებობს. მოწვეულ სტუმრებს გავაცანით უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების არსი და ის მოვლენები, რაც უნივერსიტეტში ხდება. იყო სურვილები და შემოთავაზებები. უნივერსიტეტს ამჟამად არ აქვს თანამედროვე ბიბლიოთეკა და გამომცემლობა. ამ საკითხში დიპლომატებმა დახმარება აღგვითქვეს. ესენი არიან იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ უნივერსიტეტის მომავალ ინტერნაციონალიზაციას,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილემ ივანე ბოკერიამ. მისივე თქმით, ელჩებმა შეხვედრისას რამდენიმე რჩევაც მისცეს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას. ვინაიდან რეფორმები ყველა ქვეყანაში მტკივნეულად მიმდინარეობს, ამ დროს უპრიანია, შეიქმნას სხვადასხვა სახის ფონდები, იქნება ეს სოციალური თუ სხვა პროფილის. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის განმარტებით, მათ ამ კუთხით მუშაობა უკვე დაიწყეს. საქართველოს პრეზიდენტი მზად არის, ამ პროგრამისთვის თავისი ფონდიდანაც გამოყოს თანხები. სავარაუდოდ, შემუშავდება სოციალური პაკეტი, რომელიც ყველა იმ ადამიანზე გადანაწილდება, ვინც კონკურსში ვერ გაიმარჯვებს. ამ პროგრამის განხორციელებაში პროფკავშირების ჩართვაც იგეგმება.


გია ხუბუას შეხვედრა დიპკორპუსის წარმომადგენლებთან.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს კითხვები გაუჩნდათ უნივერსიტეტში დაწყებულ კონკურსთან დაკავშირებით. ისინი დაინტერესდნენ, რამდენად საჯარო და გამჭირვალე იქნება ეს პროცესი. როგორც გია ხუბუა ირწმუნება, ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს.

**"საკონკურსო კომისია შერჩეულია საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი აკადემიური წრეებიდან. მათი ყველა გადაწყვეტილება იქნება ღია და ტრანსფარენტული. შესაძლოა გასაჩივრებაც. იმის დასადასტურებლად, რომ ეს პროცესი მართლაც ღია და გამჭვირვალეა, ჩვენ დღესაც ვთავაზობთ "განაწყენებული პროფესორების" მხარეს, ჩაერთონ ამ პროცესში,"** - აცხადებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა.

კონკურსი 23 ივლისს დასრულდება. მასში მონაწილეობის სურვილი 1900-მა პროფესორმა გამოთქვა. ადრე უნივერსიტეტში 3 ათას ლექტორზე მეტი იყო, ანუ, ხუთ სტუდენტზე ერთი პროფესორი მოდიოდა. დღეს სულ 790 ადგილია, თუმცა ივანე ბოკერიას განმარტებით, ეს არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ამდენი პროფესორი იმუშავებს უნივერსიტეტში. ხელშეკრულებების საშუალებით, შესაძლოა, 1000-ზე მეტი პროფესორიც მოიწვიონ.

ელჩების დაინტერესება გამოიწვია სტუდენტების როლმა მიმდინარე პროცესებში. რექტორატი აღნიშნავს, რომ სტუდენტებმა მართლაც სცადეს ობიექტური და კარგი მედიატორის როლი შეესრულებინათ, თუმცა არ გამოუვიდათ, რადგან მეორე მხარემ ეს არ მოისურვა.

რაც შეეხება პრიორიტეტებს, ამ მხრივ უნივერსიტეტის დღევანდელი ხელმძღვანელობა რამდენიმე მიმართულებას გამოყოფს. პირველი არის ადმინისტრაციული რეფორმა, ანუ დეცენტრალიზაცია, რომელიც აგვისტოში დაიწყება და პროექტის სახე ექნება. მეორე - სასწავლო პროცესის მართვის მოდერნიზაციაა.

შემდეგი ეტაპები სასწავლო პროგრამების ცვლილებასა და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას შეეხება. ერთადერთი, რის დათმობასაც უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა არ აპირებს, კონკურსია. **"ამის დათმობა არის რეფორმის დათმობა,"** - აცხადებენ რექტორატში, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, ისინი ადგილების დამატებას არ გამორიცხავენ. თუკი "ოპოზიციონერ ლექტორებს" სასწავლო პროგრამებში რაიმე ცვლილების შეტანა სურთ, რექტორატი თანამშრომლობისათვის მზად არის. ხვალ ისინი რიგით მესამე შეხვედრას გამართავენ, სადაც ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროგრამები და პრიორიტეტები იქნება განხილული. ხუბუა ყველა დაინტერესებულ პირს იწვევს ამ პროცესებში მონაწილეობის მისაღებად.

თსუ-ში მოწვეული ელჩები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტეგრაციის თემით. ისრაელის ელჩის შაფთაი ცურის განმარტებით, რეფორმა ყველგან ხდება და სასურველია, ის საქართველოშიც განხორციელდეს. მის აზრს სხვა ქვეყნის ელჩებიც იზიარებენ.

# საარჩევნო ბიულეტენები ორ ენაზე ითარგმნება

ნათია მსხილაძე

საქართველოში აკრედიტებული დიპლომატთა კორპუსის რეკომენდაციით, სომხებითა და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, ამომრჩეველთა ერთიანი სიის სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე უნდა ითარგმნოს. როგორც რეკომენდაციის ავტორები მიიჩნევდნენ, სომეხ და აზერბაიჯანელ ამომრჩევლებს, ამით სიებში საკუთარი თავის გადამოწმება გაუადვილდებათ.

ამ რეკომენდაციას წინააღმდეგობა პოლიტოკური პარტიების წარმომადგენლებისაგან არ შეხვედრია. თუმცა, ისინი ითხოვენ, რომ ერთიანი სიები სომხების და აზერბაიჯანელების კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში შედგეს, როგორც ქართულ, ისე შესაბამის ენებზე.

გარდა იმისა, რომ უნდა მოხდეს ამომრჩეველთა ერთიანი საარჩევნო სიების სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა, ასევე იგეგმება ბიულეტენების თარგმნაც.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, გურამ ჩალაგაშვილი აცხადებს, ბიულეტენების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნის პროცესი სექტემბრისთვის უნდა დასრულდეს. **"ბიულეტენების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნაა, თუმცა დაფინანსება ბიუჯეტიდან მოხდება. ბიულეტენები ითარგმნება ახალციხის, ნინოწმინდისა და მარნეულის რაიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის"**, - აცხადებს ჩალაგაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ 2004 წლის შემდეგ, საარჩევნო ბიულეტენების თარგმნა არც ერთ ენაზე არ მომხდარა.

# უმწეოებს სამედიცინო პოლისებს სახლში მიუტანენ

გუშინ თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა და ისან-სამგორის რაიონის გამგებელმა გიორგი ქორქაშვილმა ამავე რაიონში მცხოვრებ ექვს უმწეო ოჯახს უფასო სამედიცინო პოლისები გადასცეს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული 650.000 მოქალაქე სადაზღვევო პოლისს უფასოდ მიიღებს. მათგან 52.000 პირი დედაქალაქის მცხოვრებია.

როგორც თბილისის პრემიერმა თემურ ქურხულმა გუშინ ქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ის პირები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო პირველადი ჯანდაცვის ობიექტებში მისვლას ვერ მოახერხებენ, მათ სამედიცინო პოლისებს სახლში მიუტანენ.

როგორც ისან-სამგორის რაიონის გამგებელმა გიორგი ქორქაშვილმა აღნიშნა, სამედიცინო პოლისების გაცემაში პირველადი ჯანდაცვის სამსახურებს გამგეობის თანამშრომლები დაეხმარებიან. **მედიანიუსი**

# ბედნიერ სახელმწიფოთა რეიტინგში საქართველო 101-ე ადგილზეა

ბრიტანელმა ექსპერტებმა სცადეს გაერკვიათ, თუ სად ცხოვრობს მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ხალხი. რეიტინგი სულ 178 ადგილისაგან შედგება და საქართველო ბედნიერ ხალხთა ნუსხაში 101-ე ადგილზე აღმოჩნდა.

ბრიტანელი ანალიტიკოსების მიერ მთელ მსოფლიოში ჩატარებული ეს გამოკვლევა სამი პარამეტრისგან შედგებოდა. ცხოვრების ხანგრძლივობა ამ ქვეყნებში; ცხოვრების დონით ხალხის კმაყოფილება და მიწის საკმარისობა, რომელზეც შეიძლება ადამიანმა საკვები პროდუქტი მოიწიოს. ამ რეიტინგის ლიდერი წყნარი ოკეანის სამხრეთით მდებარე პატარა კუნძულოვანი სახელმწიფო ვანუატუ გახდა. ამ სახელმწიფოს სხვანაირად "ხელშეუხებელ სამოთხეს" ეძახიან და სულ 200 ათასი მცხოვრები ჰყავს.

ვანუატუში თანამედროვე ქალაქები ჰარმონიულად თანაცხოვრობენ სოფელთან, სადაც ხალხის თვითმყოფადი კულტურა ევროპელების მიერ არქიპელაგის აღმოჩენის შემდეგ, ანუ 1606 წლიდან თითქმის არ შეცვლილა. ავტომობილებს კი ვანუატუს ჰაერი რომ არ დაებინძურებინათ ქოქოსის ზეთზე გადაიყვანეს. ვანუატუს ერთ-ერთი მასობრივი საინფორმაციო საშუალების ხელმძღვანელი აღიშნავს, რომ სულაც არ უკვირს, რომ ვანუატუს მცხოვრებლები თავს მსოფლიოს უბედნიერეს ხალხად მიიჩნევს, "განვითარებულ ქვეყნებთან ჩვენ ფასეულობათა სხვანაირი სისტემა გვაქვს", - თქვა მან. ყველაზე უბედური ხალხი ზიმბაბვეში ცხოვრობს.

რუსეთს ყველაზე ბედნიერ ქვეყანათა რეიტინგში 172-ე ადგილი უჭირავს. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან კი რუსებზე უბედურად თავის თავს უკრაინელები და ესტონელები მიიჩნევენ. ვანუატუს შემდეგ პირველ ათეულში შედიან, კოლუმბია, კოსტა-რიკა, დომენიკის რესპუბლიკა, პანამა, კუბა, გონდურასი, გვატემალა, სალვადორი, სენტ ვინსენტი და გრენადინები.

"დიდი რვიანის" წევრი სახელმწიფოებიდან ყველაზე ბედნიერები თავის თავს იტალიელები მიიჩნევენ - 66 ადგილით. გერმანია 81-ე ადგილზეა. იაპონია, 95-ზე, დიდი ბრიტანეთი - 108-ზე, კანადა 111-ზე, საფრანგეთი, 129 და აშშ- 150-ე ადგილზე. რუსეთი 178 ადგილიდან შემდგარ რეიტინგში 172-ე ადგილზე იმყოფება, ესტონელები 173-ე ადგილზე, უკრაინელები 174-ზე.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან ყველაზე კარგად ყირგიზეთში გრძნობენ თავს - 19 ადგილი. ტაჯიკეთი 29 ადგილზეა. უზბეკეთი - 59-ზე, საქართველო 101-ე ადგილზე, აზერბაიჯანი 105-ზე, ყაზახეთი 125-ზე, სომხეთი 126-ზე, მოლდავეთი 147-ზე, ბელორუსია 165-ზე, თურქმენეთი 169-ზე, ლიტვა და ლატვია 149 და 160-ე ადგილებზე არიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

# დედაქალაქის რამდენიმე ქუჩას სახელწოდება შეეცვალა

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქის რამდენიმე ქუჩასა და აღმართს სახელწოდება შეეცვალა. თბილისში მეტეხის აღმართის ორ ჩიხს მეფსალმუნე დავით მეფისა და სოლომონ ბრძენის სახელი ეწოდა.

გაგარინის ქუჩის მეორე შესახვევს საბჭოთა კავშირის გმირის მელიტონ ქანთარიას სახელი მიენიჭა. საბურთალოს რაიონში მდებარე აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე არსებულ სარემონტო ქარხნის ტერიტორიას - დიდგორის სახელი. საქართველოში ტერიტორიული მთლიანობისთვის კოდორთან გმირულად დაღუპული ახალგაზრდა პოეტის, ჯამბულ წურწუმიას, უკვდავყოფის მიზნით, თბილისში, აფრიკის დასახლების 360-ე უსახელო ქუჩას წურწუმიას სახელი ეწოდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# საკრებულომ დედაქალაქის მთავრობის წევრები დაამტკიცა

თბილისის საკრებულომ დედაქალაქის მთავრობის რამდენიმე წევრი დაამტკიცა. თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე თემურ გიორგაძის, თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კი - დავით ალავიძის კანდიდატურა დაამტკიცეს.

თბილისის მერიის დასუფთავების ახლად შექმნილი საქალაქო სამსახურის უფროსად დაამტკიცეს კეთილმოწყობის სამსახურის ყოფლი უფროსის, ტარიელ ხიზანეიშვილის კანდიდატურა. ცნობისთვის, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ახლად დამტკიცებული უფროსი შპს "მეტროპოლიტენის" თანამდებობიდან გადაიყვანეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# თბილისში ზოგიერთი მიკროავტობუსის მარშრუტი გაუქმდა

საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქში მოძრავი 12 სამარშუტო ხაზი გაუქმდა. თბილისში აღარ იმოძრავებს N19, 48, 74, 104, 113, 121, 151, 158, 194, 209, 227 და 238 სამარშუტო ხაზები. თბილისის მთავრობა აღნიშნულ გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ მუნიციპალური ავტობუსების შემოსვლასთან დაკავშირებით, მგზავრთა ნაკადის შემცირების გამო, აღნიშნული მარშრუტები პრაქტიკულად გაუქმდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახური აცხადებს ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების ნებართვის მაძიებელთა შერჩევას შემდეგ საქალაქო მარშრუტებზე:

**N 7 (ყოფილი 107) - 10 მიკროავტობუსი**
**N 8 ( ყოფილი 108) - 30 მიკროავტობუსი**
**N 9 (ყოფილი 100) - 14 მიკროავტობუსი**
**N 22 (ყოფილი 200) - 10 ავტობუსი**
**N 27 (ყოფილი 127) - 30 მიკროავტობუსი**

ქ.ბათუმის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ნებართვის მიღების მსურველმა იურიდიულმა პირებმა "ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების გადამზიდავთა შერჩევის კომისიის" სამდივნოში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება;
2. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ ადევს ყადაღა;
3. ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
4. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
5. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
6. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და ორგანიზაციის წესდება;
7. მფლობელობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ფლობის და სავალდებულო წლიური ტექნიკური დათვალიერების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტები;
8. დალუქულ პაკეტში მოთავსებული ბიზნეს-წინადადება, რომელშიც სხვა პირობებთან ერთად მითითებული უნდა იქნეს სამგზავრო გადაზიდვის ტარიფი შესაბამისი გაანგარიშებით.

**დამატებითი ინფორმაცია:**
ნებართვის გაცემის წესი და ვადები რეგულირდება:
ა) "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონით;
ბ) ქ. ბათუმის საკრებულოს 2006 წლის 28 მარტის N3-2 გადაწყვეტილებით მიღებული "ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების მარეგულირებელი წესის" მიხედვით (იხ. გაზეთი "აჭარა" N64 8 აპრილი 2006 წელი და ქ. ბათუმის მერიის ვებ.გვერდი www.batumi.ge ).
გ) დაინტერესებულმა პირებმა შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების გადამზიდავთა შერჩევის კომისიის სამდივნოს.

საბუთების მიღება იწარმოებს მ/წ 31 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, ყოველ დღე, 9-საათიდან 18 საათამდე.

მისამართი: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25 ეკონომიკური პოლიტიკის ადგილობრივი სამსახურის ტრანსპორტის განყოფილება
ტელ: 7-26-51. 7-26-28.

## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ ფრეონ-12 შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების ცვლილება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წლის 23 ივნისს გამოცხადებული იქნა ტენდერი ფრეონ-12-ის შესყიდვის შესახებ.
აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობეთ, რომ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს შეაქვს ცვლელბა რის მიხედვითაც შესყიდვის ობიექტი განისაზღვროს შემდეგი სახით:

| ლოტი | პროდუქციის დასახელება | | განზომილების ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | | 3 | 4 |
| 1 | მაცივარ აგენტი | M1LE B (ვე) ჯგუფის | კგ | 5500 |
| | | რეფრეჟერანტ რ-134 ა | კგ | 14 |

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**შუახევისა და ხულოს რაიონის რეაბილიტირებულ ამბულატორიებში სამუშაოდ ვიწვევთ სერტიფიცირებულ ექიმ-სპეციალისტებს (თერაპევტი, პედიატრი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი, ზოგადი პროფილის ექიმი-პედიატრი) შემდგომში მათი ოჯახის ექიმად გადამზადების პერსპექტივით.**
**დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მისამართზე:**
**ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ.N6, მე-5 სართული, ოთახი N28, ტელ.3-13-82.**

## ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

**ცვლილების შეტანა**

1) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა გამოაცხადა 2006 წლის 12 ივლისს გაზეთ "24" საათში ტენდერი ქ. ლაგოდეხში და ქ. დუშეთში სპორტული ობიექტების კაპიტალური მშენებლობის შესყიდვისათვის.

- განცხადებაში დაშვებულია მექანიკური შეცდომა კერძოდ:

- სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება **2006 წლის 4 აგვისტოს ნაცვლად 3 აგვისტოს 17:00 საათზე.**
- სატენდერო წინადადებების შეფასება მოხდება **4 აგვისტოს 17.00 საათზე.**
**- დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ:**
**ირაკლი სამყურაშვილი- 899 77-71-03**
**თენგიზ ღურწკაია - 899 22-92-80**

**სატენდერო კომისია**

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 13 ივლისიდან აცხადება ტენდერს საკეტ-საპლომბი მოწყობილობების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ღია ტენდერს ერთ ლოტად საკეტ-საპლომბი მოწყობილობების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.
1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე : ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფია გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :
**საკეტ-საპლომბი მოწყობილობა**
ლოტი №1

ტექნიკური დავალება შესყიდვის ობიექტისათვის

რაოდენობა - 60000 ცალი;

1. ღუნვადი ტროსის დიამეტრი - 4,5მმ-დან
2. ღუნვადი ტროსის სიგრძე - 450-მმ-დან
3. დაკეტვის ძალა - არა უმეტეს 50 ნ
4. გახსნის ძალა - არა ნაკლებ 15 ნ
5. კორპუსის მასა - 150გრ-მდე

**II.სსმ-ის კონსტრუქცია**

კორპუსი დამკეტი მექანიზმით და ღუნვადი ტროსის ერთი დაბოლოებით მაგრად დამაგრებული კორპუსში.

**III.კორპუსის მარკირება**

ერთის მხრივ:
1. სსმ-ის დასახელება
2. დამამზადებელი საწარმოს დასახელება და დაღი
მეორე მხრივ:
1. ინდივიდუალური საკონტროლო ნიშანი არა ნაკლებ 6 ნიშნით
2. გამგზავნი გზის შემოკლებული ასოებრივი დასახელება (დპ)
3. სსმ-ის გამოშვების წლის ბოლო ციფრი (6)
- მარკირება უნდა ადვილად იკითხებოდეს 1მ მანძილზე, არა ნაკლებ 50 лк განათების პირობებში.
4. სსმ-ის დასაპლომბი ადგილები, სქემა და დადების წესი.

IV. უნდა წარადგინონ სსმ-ის დასაპლომბი ადგილები, სქემა და დადების წესი 15 ცალის ოდენობით.

V. უნდა წარადგინონ სსმ-ის ნიმუში 80 ცალის ოდენობით
V. 1. მიწოდების ადგილი - შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს ფილიალი "მატერიალური-ტექნიკური მომარაგების ცენტრალური ბაზა", ქ. თბილისის, მერაბ ქავთარაძის №11.

2. მოწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის განმავლობაში
VII. სსმ-ის შესყიდვა მოხდება მხოლოდ და მხოლოდ პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი ნიმუშების საერთაშორისო ხელშეკრულება "СМГС"-ის მონაწილე ქვეყნების სარკინიგზო ადმინისტრაციასთან შეთანხმების შემდეგ.

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **4 აგვისტო** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის :**
ა) სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, ასევე არ ხდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
გ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

**ფიზიკური პირებისათვის :**

ა) ცნობა შესაბამისი ორგანოდან იმის შესახებ, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
ბ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

**პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.**
**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქარტველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში , ტელ 56 46 96;**

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2006 წლის 13 ივლისიდან აცხადებს ტენდერს სალიანდაგო მარაგნაწილების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს 8 ლოტად სალიანდაგო მარაგნაწილების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.
1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | გაჟღენთილი შპალი | ლარიქსის ჯიშის ხის, I ტიპის, ახალი. გაჟღენთვის სტანდარტი гост-20025-75 | ც | 30 986 |
| 2 | გაჟღენთილი შპალი | წიწვოვანი ჯიშის ხის, I ტიპის, ახალი. გაჟღენთვის სტანდარტი гост-20025-75 | ც | 69 145 |
| | გაჟღენთილი შპალი | წიწვოვანი ჯიშის ხის, II ტიპის, ახალი. გაჟღენთვის სტანდარტი гост-20025-75 | ც | 26 451 |
| 3 | ისრული გადამყვანის ძელი (გაჟღენთილი) | წიწვოვანი ჯიშის ხის, I A3 ტიპის, ახალი. გაჟღენთვის სტანდარტი гост-20025-75 | კომპლ. | 35 |
| 4 | ღორღი | სამშენებლო, ფრაქცია 5/15მმ | მ3 | 1 580 |
| | ქვიშა | სამშენებლო, გარეცხილი | მ3 | 920 |
| 5 | ომბოხი | სალიანდაგო, გოსტ 5812-82, ახალი | ტ | 116.5 |
| | ზედი | რ-50 ტიპის, ახალი | ტ | 1 |
| 6 | ისრული გადამყვანი | რ-50 ტიპის, 1/9 მარკის, ახალი, პრ.2498, 4 მარცხენა, 4 მარჯვენა | კომპლ. | 8 |
| | ისრული გადამყვანი | რ-65 ტიპის, 1/9 მარკის, ახალი, პრ.2434, 1 მარცხენა, 4 მარჯვენა | კომპლ. | 5 |
| 7 | ცემენტი | 400 მარკის, დაფასოებული | ტ | 782 |
| 8 | არმატურა | პერიოდული, 12მმ | ტ | 5 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;
4. მოწოდების სასურველი ვადა - 2006 წლის III კვარტალი;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **4 ივლისს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
**იურიდიული პირისთვის :**
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**
**ფიზიკური პირისთვის :**
1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

*ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :*

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში;

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51, 56-40-26.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს ტენდერს საარჩევნო ურნების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი N220101107, ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900, სახაზინო კოდი N300033133; მიუთითეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინეთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

| საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|
| საარჩევნო ურნა ძირითადი | 2500 ცალი |
| საარჩევნო ურნა გადასატანი | 2500 ცალი |

3. მისაწოდებელი საქონლის მახასიათებლები:
3.1 ძირითადი ურნა:
სიმაღლე - 90 სმ.
ფსკერის სიგანე - 40 სმ.
თავსახურის სიგანე - 50სმ.
ჭრილი - 5მმX180მმ

3.2 ძირითადი საარჩევნო ურნა აუცილებლად უნდა იყოს ოთხივე გვერდიდან გამჭირვალე, შესაძლებელი იყოს მათი კომპაქტურად შენახვა, უნდა Hქონდეს ჭრილი, შესაძლებელი უნდა იყოს მისი დალუქვა.
4. მისაწოდებელი საქონლის მახასიათებლები:
4.1 გადასატანი ურნა:
სიმაღლე - 30 სმ.
ფსკერის სიგანე - 25სმ.
თავსახურის სიგანე - 30სმ.
ჭრილი - 5მმX180მმ

4.2 გადასატანი საარჩევნო ურნა აუცილებლად უნდა იყოს ოთხივე მხრიდან გამჭირვალე, შესაძლებელი იყოს მათი კომპაქტურად შენახვა, უნდა Hქონდეს ჭრილი, შესაძლებელი უნდა იყოს მისი დალუქვა.
5. დაინტერესებულმა პირებმა თავიანთ საკვალიფიკაციო მონაცემებთან და სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა მოიტანონ ძირითადი და გადასატანი ურნების ნიმუში.
6. მიწოდების სასურველი ვადებია: ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.
7. პრეტენდენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 აგვისტოს 16:00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.
7. როგორც ფიზიკური პირის ასევე იურიდიული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;
ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
9. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ერთი გამარჯვებული.
10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნათია ჭიკაძე მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. .N29 ტელ: (8-22) 987005,

# კინოსპექტაკლი ზაფხულში, კინოსპექტაკლი ზამთარში

## ლელა ბერიძის "ჩიტების გამომზამთრებელი" მსახიობები - ვთამაშობთ დიდებს

ია ვეკუა

უკვე ორი დღეა, ვაკის თეატრალური სარდაფის სცენაზე შავი ზღვა ღელავს, თოლიები დაფრინავენ, გოგონები კი გასაბერ ბურთს დასდევენ - საბავშვო თეატრი Tabula Rasa რეჟისორ ლელა ბერიძის მიერ დადგმულ სპექტაკლს "ჩიტების გამომზამთრებელს" თამაშობს - პატარა მსახიობები კი დიდებს თამაშობენ.

Tabula Rasa ანუ სუფთა დაფა ათი სკოლის მოსწავლის ნაკრებია, რომელსაც უკვე თამამად შეიძლება დასი ვუწოდოთ. პატარა, გამოუცდელი მსახიობები სცენაზე სამსახიობო ოსტატობის დემონსტრირებას ყოველგვარი მორიდებისა და შებოჭვის გარეშე ახდენენ, თუმცა მაინც შესამჩნევია, როგორ გაურბით ცალი თვალი დარბაზის სიღრმეში მჯდომი რეჟისორისკენ. იგი ერთადერთი ადამიანია დარბაზში, ვინც სხვებისთვის უმნიშვნელო დეტალსაც ამჩნევს და ყველაზე კარგად მოეხსენება, როგორ მოვიდა თეატრი ამ პრემიერამდე.

"ყველაფერი პირველი ექსპერიმენტული სკოლიდან დავიწყეთ. ჯერ მხოლოდ ამ სკოლის ბავშვები ავიყვანე, შემდეგ კი სხვა სკოლებიდანაც დავიმატე. დღეს დასში ათი მსახიობი მყავს და ყველა მათგანი პირველ სპექტაკლშია დაკავებული. თეატრს Tabula Rasa დავარქვი - ჩემი აზრით, ბავშვი სწორედ ის სუფთა დაფაა, რომელსაც ნებისმიერი მონახაზი, შტრიხი თუ მინაწერი დაემჩნევა, ზოგჯერ სამუდამოდაც", - ამბობს ლელა ბერიძე.



ვაკის თეატრალურ სარდაფში წარმოდგენილი სპექტაკლი ლელა ბერიძემ რევაზ ინანიშვილის მოთხრობის "ჩიტების გამომზამთრებლის" მიხედვით დადგა. ინანიშვილის ნაწარმოებში სამი პერსონაჟი და ორი დროა: ოცი წლით ადრე და ოცი წლის შემდეგ. თუმცა ეს ყველაფერი ერთ სივრცეში, ერთ ოთახში ვითარდება. ლელა ბერიძის სცენარში კი პირველი მოქმედება ზაფხულში, ზღვის სანაპიროზე ვითარდება, მეორე - ზამთრის ოთახში.

"დავამატე ემოციური ზაფხული და ემოციური ზამთარი. ვფიქრობ, ეს კომპონენტები ზუსტად შეესაბამება ამ პატარა ოჯახის ცხოვრებას", - ამბობს ლელა ბერიძე.

სპექტაკლი ზღვის სცენით იწყება: ახალგაზრდა მშობლებს შეზლონგზე სძინავთ, მათი პატარა ბიჭუნა ქვიშაში თამაშობს, მზით გათანგული ფოტოგრაფი კლიენტს ეძებს, ბურთით თამაშში გართული გოგონები ხანდახან ტანგოსაც წაიცეკვებენ. ახალგაზრდა მშობლები ილვიძებენ და მაყურებლის თვალწინ ალბათ ყველაზე ბედნიერი წყვილის დიალოგი იშლება: უყვართ ერთმანეთი, პატარა გიო, ელიან მომავალს და ამ მომავლისთვის ფოტოებს იღებენ.

გადის წლები - გარეთ ზამთარია, მათი თმა შევერცხლილია, სადილი ცივი, დედა ნერვიულობს, მამა - ტიპური მამაა, ლოზუნგებით მოლაპარაკე. გიო კი... გიო უკვე დიდი ბიჭია, თუმცა სადღაც ჩიტბატონები ნახა, იაფად იყიდებოდა და სახლში წამოიყვანა, უნდა გამოაზამთროს. სწორედ ამ ეპიზოდიდან შემოდის სპექტაკლში ნამდვილი ზამთარი - პატარა მსახიობები კი დიდების თამაშს იწყებენ.

სამი მთავარი როლის შემსრულებელი შავლეგ კაპანაძე, თიკო ბოლქვაძე და ვახო სილაგაძე (მისი დუბლიორია ერეკლე გეწაძე) პირველი სკოლის მოსწავლეები არიან. სპექტაკლი სწორედ მათი პერსონაჟებისა და მათი თავგანწირული თამაშის ირგვლივ იკვრება. ეს თავგანწირვა კი ლელა ბერიძის ლამის სპარტანული აღზრდის შედეგია - მის მიერ გაწვრთნილი გამოუცდელი მსახიობები სცენაზე სასწაულის მოხდენას ახერხებენ.

ლელა ბერიძე პროფესიით კინორეჟისორია. კინოგანათლება ბერლინის გერმანულ კინო-ტელე აკადემიაში მიიღო. მის მიერ გადაღებული ფილმის "კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის" ჩვენება შარშან ოქტომბერში კინოთეატრ "ამირანის" დარბაზ "ამარკორდში" მიმდინარეობდა. "ჩიტების გამომზამთრებელში" ბერიძე არაჩვეულებრივად იყენებს კინოხერხებს: თუნდაც იმ სცენაში, როდესაც ბედნიერი ოჯახი პლაჟზე ფოტოებს იღებს, მათი გაღიმებული სახეები კი მაყურებელს შავთ-თეთრ კადრებად წარმოუდგება. ამ მხრივ ასევე საინტერესოა დედის მიერ ჩიტების დახოცვის ეპიზოდიც. სცენაზე ერთიმეორის მიყოლებით ეშვება 6-7 ფარდა, რომლებზეც ჩიტების რაოდენობა იკლებს და მათ ნაცვლად მხოლოდ სისხლის კვალი რჩება. თეატრისთვის მათ მართლაც ფარდები ჰქვია, ლელა ბერიძისთვის კი ეს ყველაფერი ალბათ ფილმის კადრირება ე. წ. რასკადროვკაა...

ამ სპექტაკლზე თავის აღსაზრდელებთან ერთად ცხრა თვის განმავლობაში მუშაობდა. ბოლო დროს კი ვაკის სარდაფის სცენაზე გადაინაცვლეს, სადაც რეპეტიციების ჩატარების საშუალება ჰქონდათ. "ამის გამო ოთარ ეგაძეს, ალექსანდრე ლორთქიფანიძესა და რამაზ კუპრაძეს დიდ მადლობას ვუხდი. ასევე სპექტაკლის მხატვარს თამარ მინაშვილს, მუსიკალურ გამფორმებელ პაატა გოძიაშვილს და, რა თქმა უნდა, ჩემს მსახიობებს, რომლებმაც სცენაზე სასწაული მოახდინეს. ჩვენ ყველამ ერთად გავიმარჯვეთ", - ამბობს ლელა ბერიძე.




# ტრადიციული კულტურები

მზევინარ ხუციშვილი

2006 წლის 10-14 აგვისტოს ჩათვლით თუშეთში, სოფელ ომალოში გაიმართება სამეცნიერო-კულტუროლოგიური კონფერენცია. კონფერენციის ორგანიზატორები არიან ფონდი "კესელო", საქართველოს ეროვნული მუზეუმი და თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექცია.

ჯერ კიდევ 1980 წელს თბილისში ჩამოყალიბდა საინიციატივო კულტუროლოგიური ჯგუფი "კესელო", რომელმაც მიზნად დაისახა თუშეთში კულტუროლოგიური მუშაობის გაშლა და იქ კულტუროლოგიური ცენტრის შექმნა.

საინიციატივო ჯგუფმა ღია ცის ქვეშ მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი თუშეთის სოფელ დართლოს კომპლექსის ჯერ არქიტექტურულ ნაკრძალად, ხოლო შემდგომში ღია ცის ქვეშ მუზეუმის ფილიალად გამოცხადების თაობაზე, მსგავსად შატილისა და ჩაჟაშისა. ჯგუფის მიერ მომზადდა პროექტი და ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიმართვის საფუძველზე 1983 წელს მთავრობამ მიიღო დადგენილება დართლოს არქიტექტურულ ნაკრძალად გამოცხადების შესახებ. ამავე წლიდან საინიციატივო ჯგუფმა თუშეთში დაიწყო ეთნოგრაფიული მასალების მოძიება და არქიტექტურულ ძეგლებზე სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება. 1985-91 წლებში საზოგადოებრივი ძალების დახმარებით პირველადი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა დართლოსა და ომალოს სარიტუალო, საკულტო და თავდაცვით ძეგლებს. 1988 წელს კი ომალოში გაიხსნა ეთნოგრაფიული მუზეუმი.

2000 წელს საინიციატივო ჯგუფმა დააარსა შ.პ.ს. "კესელო", რომელმაც 2001 წელს ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულების თანახმად კესელოს კომპლექსის მოვლა-პატრონობისა და კულტურული მიზნებით გამოყენების უფლება მიიღო. ამავე წელს საინიციატივო ჯგუფ "კესელოს" ბაზაზე შეიქმნა ერთობლივი ქართულ-ჰოლანდიური კულტურის ფონდი "კესელო", რომლის ვიცე-პრეზიდენტი ბატონი ანზორ იდოიძეა. ხოლო 2001-2005 წლებში ფონდის მიერ აღდგენილი იქნა კესელოს კომპლექსის ხუთი კოშკი, სადაც განთავსდა ფონდის ოფისი, მუზეუმი, თუშეთის ფოტოისტორიის ექსპოზიცია და სპეციალური ბიბლიოთეკა.

კონფერენციაზე დაგეგმილია მოხსენებების წაკითხვა თუშეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე: ჰუმანიტარული ფასეულობების კონსერვაციის საკითხები თუშეთის ისტორიულ-კულტურულ ლანდშაფტში. ლანდშაფტის არქიტექტორი ბატონი პაატა შანშიაშვილი. თუშების განსახლებისა და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის მომცველი გეოსოციალური სამკუთხედი - ინჟინერ-ეკონომისტი ზურაბ მურთაზაშვილი.

თუშეთის დაცული ტერიტორიების ახალი სისტემა - რეგიონის მდგრადი განვითარების პირობა - თუშეთის დაცული ტერიტორიების დირექციის დირექტორი ბატონი ანზორ გოგოთიძე. მეტყევე-ინჟინერი გ. იჩუაიძე - ეროვნული პარკი, როგორც ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, კულტუროლოგი ლელა იაკობიშვილი - ეთნიკური მობილიზაცია. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სოციალური კვლევის სპეციალისტი ნოდარ ჯიბლაძე - დროის ქარგა: პოსტმოდერნიზმი როგორც მოვლენა და როგორც სოციო-კულტურული ფენომენი; თსუ პროფესორი ზაზა ფირალიშვილი - ინტერრელიგიურ ურთიერთობათა ტრადიციები საქართველოში, პროფესორი, ენათმეცნიერი, ეთნოლოგი გიორგი ცოცანიძე - თუშეთის ფშავ-ხევსურეთთან საკრალური ერთიანობის მითოსური საფუძველი, პროფესორი, ფოლკლორისტი ამირან არაბული - ჯვარიონი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ფოლკლორისტი ეთერ თათარიძე - ბავშვები და ხათონური ძალები, ეთნოლოგი ნუგზარ იდოიძე - თუშეთის პიქტოგრამებში აღბეჭდილი მსოფლმხედველობრივი და ცნობიერებითი მოტივები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე ელდარ ნადირაძე - ქართული ლუდი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ეთნოლოგი ნ. აზიკური - ქართული ხალხური საფენები (თიკვის საფენები თუშეთიდან), ისტორიკოსი, ეთნოლოგი ნ. შოშიტაიშვილი - თუშური სახლი და ღია ცის ქვეშ მუზეუმი, რამაზ ნაცვლიშვილი - მწყემსობის სულიერი მისია ანუ ერთი შემთხვევის შთაბეჭდილებები, მაქს პლანკის სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტიდან მკვლევარი ფლორიან მიულფრიდი - მოქალაქეობა ქვემოდან - პოლიტიკური ცხოვრება თუშეთში. ფლორიან მიულფრედის ეს პროექტი გერმანიის მაქს პლანკის ინსტიტუტში დაწყებული მუშაობის ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც განსაზღვრული კვლევითი ჯგუფი ახორციელებს და მისი სამუშაო თემაა: "მოქალაქეობა ქვემოდან კავკასიაში".

უნდა აღინიშნოს, რომ ეს თუშეთის პირველი სამეცნიერო კულტუროლოგიური კონფერენციაა, რომლის პირობითი სახელწოდებაა "ტრადიციული კულტურები და გლობალური სამყარო". კონფერენციის განმავლობაში დაგეგმილია ექსკურსია თუშეთის ტერიტორიაზე.

# წიგნები ოკეანეში

რამდენიმე დღის წინ კუალა-ლუმპურში წიგნის ყველაზე ორიგინალური და მასშტაბური ბაზრობა გაიხსნა - ფესტივალი თითქმის ერთი საუკუნის ასაკის მქონე უზარმაზარ გემზე მიმდინარეობს. ასე რომ, ვინც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ხშირად მოგზაურობს, ამიერიდან იმითაც იამაყებს, რომ მის ბიბლიოთეკაში დაცული რამდენიმე გამოცემა სწორედ ამ უცნაურ ღონისძიებაზე შეიძინა.


ამ გემზე გაიმართება წიგნის ბაზრობა.

1914 წელს აგებული გემი "დულოსი" მალაიზიის დედაქალაქის პორტიდან 7 ივლისს დაიძრა. ამ ზღვის საოცრების ფართობი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მსოფლიოს 5 ათასამდე გამომცემლობას და მათ მიერ წარმოდგენილ პროდუქციას უმასპინძლოს.

ბაზრობის გახსნას ხალხმრავალი ცერემონიალი უძღვოდა, რომელზეც ღონისძიების პრესსამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კუალა-ლუმპურის წიგნის დღესასწაული ყველაზე მრავალფეროვანიც იქნება. მასზე წარმოდგენილია მხატვრული, ფილოსოფიური, პროფესიონალური, საბავშვო, სამეცნიერო-პოპულარული და ტექნიკური ლიტერატურა.

წიგნის ბაზრობის განმავლობაში "დულოსის" ბორტზე ეკიპაჟის 320 წევრი იმსახურებს და მათი აბსოლუტური უმრავლესობა, კაპიტნის ჩათვლით, მოხალისეა. ისინი საქველმოქმედო ორგანიზაციას წარმოადგენენ, რომელიც მთელ მსოფლიოში ჰუმანიტარულ საქმიანობას ეწევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეკიპაჟის შემადგენლობა ინტერნაციონალურია (დაახლოებით 45 ქვეყნის წარმომადგენლები). უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში გემმა დედამიწის ხუთივე კონტინენტის ასობით პორტი მოიარა. მის ბორტზე კი 18 მილიონზე მეტი მოგზაური ავიდა, მათ შორის ისინიც, ვინც გემზე ორგანიზებული საქველმოქმედო საღამოებს ან ფესტივალებს ესწრებოდნენ.

კუალა-ლუმპურის წიგნის ბაზრობიდან შემოსული თანხა მთლიანად საქველმოქმედო აქციას მოხმარდება. თანხის დიდი ნაწილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მომხდარი ცუნამის მსხვერპლთა დასახმარებლად გადაირიცხება. წიგნის ბაზრობა 31 ივლისს საზეიმოდ შუა ზღვაში დაიხურება.

# ხალხური ხელოვნების გადარჩენა

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ რეგიონებში ხალხური ხელოვნების გადარჩენის, აღდგენის, დაცვისა და პოპულარიზაციის მასშტაბური საპრეზიდენტო პროგრამა დაიწყო. პროექტის პირველ ეტაპზე ფოლკლორის შემოქმედებითი კოლექტივებისთვის საკონცერტო იერსახის შექმნის მიზნით, ეროვნული სამოსისა და მუსიკალური საკრავების შეძენა მოხდება.

დაახლოებით ასი ფოლკლორული ჯგუფისთვის, ანსამბლის, ან ცალკეული გუნდისთვის ორი თვის განმავლობაში ორი ათასამდე ჩოხა, ამდენივე ახალუხი და ქალის ეთნოსამოსი შეიკერება. საგანგებოდ დამზადდება წაღები მომღერლებისთვის და მოცეკვავეებისთვის, ქალის ფეხსაცმელები და ქალამნები. პროექტის ფარგლებშივე კოლექტივები ეროვნული ინსტრუმენტებით ფანდურებით, ჩონგურებით, უენო და ენიანი სალამურებით, დოლებით, ჩანგებით, ჭიანურებითა და დიპლიპიტოებით აღიჭურვება.

მინისტრის განცხადებით, გარდა ამ ღონისძიებებისა, საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია რეგიონებს შორის ფოლკლორული ჯგუფების გაცვლა, რათა კოლექტივებმა ერთმანეთის შემოქმედება გაიცნონ; ასევე დაგეგმილია ფოლკლორული ფესტივალების მხარდაჭერა; მობილური ხმის ჩამწერი სტუდიის შეძენა.

"ეს ჩამონათვალი მხოლოდ ნაწილია იმ ღონისძიებებისა, რომელიც ამ პროგრამის ფარგლებში გატარდება. სახელმწიფო ყოვლეწლიურად გაზრდის ფოლკლორის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხის ოდენობას, რომელმაც ამჟამად მილიონ სამასი ათასი შეადგინა", - განაცხადა გაბაშვილმა.

მან პროგრამის განხორციელების დროს გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა გიორგი უშიკიშვილს, ანზორ ერქომაიშვილს, თენგიზ სუხიშვილს, რუსუდან წურწუმისა, ზაზა კორინთელს. **ინტერპრესნიუსი**

**სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ მიმდინარე წლის 28 ივნისის გაზეთში "24 საათი" გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილია შემდეგი ცვლილებები:**

ლოტების ჩამონათვალს დაემატოს ერთი ლოტი:

**ლოტი N9 -** სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის, ნაძალადევისა და საბურთალოს სამსახურების შენობების გაზიფიცირება (მაგისტრალური გაზსადენიდან სამსახურების შენობებში მილების შეყვანა).

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვაკის შენობა - ი. აბაშიძის ქ N68
გაზის გამათბოებელი 5კვტ 3 ცალი, 2,5 კვტ - 4 ცალი;
სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნაძალადევის შენობა - ც. დადიანის ქ.N34, III კორპუსი.
გაზის გამათბოებელი 5კვტ 3 ცალი, 2,5 კვტ - 4 ცალი;
სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საბურთალოს შენობა - ბუდაპეშტის ქ. N2 გაზის გამათბოებელი 5კვტ 2 ცალი, 2,5 კვტ - 4 ცალი;



# აფიშა

13 ივლისი

კინო

**"ამირანი"**
დიდი დარბაზი
პედრო ალმოდოვარი
"დაბრუნება"
დასაწყისი: 16.00; 18.00; 20.00; 22.00

**მცირე დარბაზი**
"აწყვეტილები 3"
დასაწყისი: 16.00; 18.00; 20.00; 22.00

**"რუსთაველი"**
"მანქანები"
დასაწყისი: 13.00; 15.15
"აწყვეტილები"
დასაწყისი: 18.00, 20.00; 22.00
"X მენ"
დასაწყისი: 17.30

გალერეა

**"კოპალა"**
ოთარ ჩხარტიშვილის გამოფენა
ფერწერა, ქანდაკება, კოლაჟი

**"ჰობი"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების გამოფენა

## ბუკინჰემის სასახლე

ივლისის ბოლოს ლონდონში, ბუკინჰემის სასახლეში, დედოფალ ელისაბედ მეორის კაბებისა და ძვირფასეულობის გამოფენა მოეწყობა. ღონისძიება მონარქის დაბადებიდან მე-80 წლისთავის აღსანიშნავად იმართება და "ტანსაცმელი შემთხვევის მიხედვით" ჰქვია. გამოიფინება მოსართავები, 80 ძვირფასი კაბა, რომლებსაც ელისაბედ მეორე თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დღეებში იცვამდა. კაბების უმრავლესობა ბრიტანელი სამეფო დიზაინერების მიერაა შესრულებული. მათ შორისაა ნორმან ჰარტნელისა და ჰარდი ემისის დიზაინის მიხედვით შექმნილი სამოსი.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება, აგრეთვე, რუსეთის იმპერატორების, რომანოვების დინასტიის ოჯახური რელიკვია - ვლადიმირის დიდი ქალბატონის ბრილიანტის გვირგვინი. ეს ელისაბედ მეორის ერთ-ერთი უსაყვარლესი მოსართავი იყო. სამკაულის განსაკუთრებულობა იმაში გამოიხატება, რომ მასში მოთავსებული ფირუზები ზურმუხტებით შეიძლება შეიცვალოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ფილმმა რეკორდი დაამყარა

ფილმმა "კარიბის ზღვის მეკობრეები 2: მიცვალებულის სკივრი" პირველი სამი დღის მონაცემების მიხედვით შემოსავლის მხრივ რეკორდი დაამყარა. სამ დღეში 132 მილიონი დოლარით სურათმა უკან მოიტოვა წინა რეკორდსმენი "ადამიანი-ობობა", რომელმაც 2002 წელს ჩვენების პირველ სამ დღეში 114,8 მილიონი დოლარი შემოსავალი მოიტანა.

ფილმის "კარიბის ზღვის მეკობრეები. 2: მიცვალებულის სკივრი" მეორე ნაწილმა ამ მხრივ ბევრად გაუსწრო პირველ ნაწილს, რომელმაც ორგანიზატორებს 2003 წელს მხოლოდ 46,6 მილიონი დოლარი მოუტანა. ფილმის პროდიუსერის, ჯერი ბრაკჰაიმერის განცხადებით, ფილმი "და ვინჩის კოდივით" პოპულარული გახდება, თუმცა არც იმისი აღნიშვნა ავიწყდება, რომ დენ ბრაუნის წიგნის მიხედვით გადაღებული "და ვინჩის კოდის" შემოსავალი სამ დღეში სულ რაღაც 77 მილიონი დოლარი იყო. ექსპერტების ვარაუდით, ფილმი სხვა რეკორდებსაც მოხსნის. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ან სრულმეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის შესაქმნელად**

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 18 000 ლარით. კონკურსის საერთო ბიუჯეტია 36 000 ლ.

კომისია არ განიხილავს ეროვნული კინოცენტრის კონკურსებში გამარჯვებულ პროექტებს და იმ პროექტებს, რომლებსაც მიღებული აქვთ დაფინანსება სხვა წყაროებიდან პროექტის განვითარებისთვის.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 31 ივლისი, 17:00 სთ.

კონკურსების პირობების გაცნობა შესაძლებელია ეროვნულ კინოცენტრში ან ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდზე. კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს, 12 საათზე.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail o www.filmcenter.ge



დედა ნაირა (მაიკო) დაუშვილი, მამა გოჩა მაჩაიძე, ძმა მამუკა მაჩაიძე, ბიძა მანუჩარ მაჩაიძე, დეიდა ირინა დაუშვილი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მეგობრები იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**დიმიტრი (დიტო) მაჩაიძე**

**პანაშვიდი: 11-12 ივლისი, 17 საათი**
**გამოსვენება: საბურთალოს სასაფლაო, ამაღლების ეკლესია, 13 ივლისი 15 საათი.**
**მის: ნაძალადევის რაიონი, წრომის ქ.15**

## პრიზი დევიდ ლინჩისთვის



წლევანდელი ვენეციის კინოფესტივალის საპატიო "ოქროს ლომს" საკულტო რეჟისორს დევიდ ლინჩს გადასცემენ. პრიზს ცნობილი რეჟისორი კინოხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის მიიღებს.

ვენეციის 63-ე ფესტივალზე ასევე დევიდ ლინჩის ახალი ფილმის "შინაგანი იმპერიის" პრემიერაცაა დაგეგმილი. ფილმს კონკურსგარეშე 6 სექტემბერს აჩვენებენ.

დევიდ ლინჩის ფილმის გარდა, ფესტივალის გახსნის დღეს ასევე დაგეგმილია ამერიკელი რეჟისორის დუგლას მაკგრატის მიერ გადაღებული ფილმის "უსინდისოს" პრემიერაც. ფილმი ცნობილი ამერიკელი მწერლის ტრუმენ კეპოტეს ბიოგრაფიას ასახავს. მასში მონაწილეობენ სანდრა ბალოკი, დენიელ კრეიგი, გვინეტ პელტროუ, პიტერ ბოგდანოვიჩი და იზაბელა როსელინი. კაპოტეს როლს ინგლისელი მსახიობი ტობი ჯონსი ასრულებს. ფილმის მსოფლიო პრემიერა ოქტომბერში გაიმართება.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში "უსინდისო" ტრუმენ კეპოტეს შესახებ გადაღებული მეორე ფილმია. ბენეტ მილერის შარშანდელი "კაპოტე" "ოსკარის" ხუთ ნომინაციაზე იყო წარდგენილი, ხოლო მწერლის როლის შემსრულებელმა ფილიპ სეიმურ ჰოფმანმა ამერიკის კინოაკადემიის პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მიიღო.

ვენეციის ფესტივალი 30 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე გაიმართება. წელს ჟიურის თავმჯდომარე კატრინ დენევი იქნება. სწორედ მისი მეთაურობით გაარკვევს ინტერნაციონალური ჟიური, რომელი ფილმი გახდება ფესტივალის მთავარი პრიზის "ოქროს ლომის" მფლობელი. იგივე ჟიური გადასცემს პრემიას საუკეთესო რეჟისორს, სცენარის ავტორს, მსახიობებს და სხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს.

## ნამდვილი შექსპირი



უილიამ შექსპირის ცნობილი პორტრეტის ორიგინალი დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთ კერძო კოლექციაში აღმოაჩინეს. პორტრეტის ყველაზე ძველი ასლი XVIII საუკუნითაა დათარიღებული და დღემდე მხოლოდ დიდი მწერლის სავარაუდო პორტრეტად მიიჩნეოდა.

ნამუშევარი, რომელიც შექსპირის გარდაცვალებიდან დაახლოებით ასი წლის შემდეგაა შესრულებული, ვაშინგტონის შექსპირის მუზეუმს (Folger Shakespeare Library) ამშვენებს. სწორედ ეს პორტრეტი ნახა ლონდონში გამართულ გამოფენაზე XVIII საუკუნის ხელოვნების ნიმუშების კერძო კოლექციონერმა ალეკს კობემ და მაშინვე აღნიშნა, რომ სახლში მისი მსგავსი ნახატი ჰქონდა. მისტერ კობემ ისიც დაამატა, აქამდე ეს ნახატი სერ უოლტერ რელის, შექსპირის თანამედროვე პოეტის პორტრეტი მეგონაო.

ალეკს კობეს კოლექციაში დაცული ნამუშევარი 1610 წლით თარიღდება და მართლაც ის ორიგინალია, რომლის მიხედვითაც არაერთი ასლი შექმნილა, მათ შორის ისიც, რომელიც ვაშინგტონში ინახება.

მეცნიერები თითქმის დარწმუნებული არიან, რომ კობეს კოლექციაში აღმოჩენილ პორტრეტზე მართლაც შექსპირია გამოსახული. ამის დასტურად ისიც მოჰყავთ, რომ კობე საუთჰემპტონის გრაფების შთამომავალია. ხოლო საუთჰემპტონის მესამე გრაფი ჰენრი რიზლი შექსპირის დიდ გულშემატკივრად და მფარველად ითვლებოდა. გარდა ამისა, კობეს ნახატზე არსებული წარწერა გვაუწყებს, რომ ნახატი 1610 წელსაა შესრულებული, ხოლო მასზე გამოსახული მამაკაცი 46 წლისაა, რაც შექსპირის მონაცემებს ემთხვევა.

## შონ კონერის შოტლანდია



ცნობილი ბრიტანელი მსახიობი შონ კონერი მწერლობაში ცდის ძალებს. იგი უკვე მუშაობს წიგნზე "კონერის შოტლანდია", რომელსაც თავის მთაგორიან სამშობლოს უძღვნის. წიგნზე მასთან ერთად სცენარისტი და რეჟისორი მიურეი გრიგორიც მუშაობს. ნაწარმოები ნახევრად ავტობიოგრაფიული იქნება.

"ჩვენ გვინდოდა, რომ საინტერესო, გასართობი და ამავდროულად დამაინტრიგებელი წიგნი დაგვეწერა. მასში ჩვენ მიერ გაკეთებული აღმოჩენებია შესული, რასაც მრავალფეროვანი ილუსტრაციებიც ახლავს", - განაცხადა შონ კონერიმ პრესასთან საუბრისას.

შონ კონერი მიურეი გრიგორთან ერთად 1983 წელს შექმნილ დოკუმენტურ ფილმზე "შონ კონერის ედინბურგზეც" მუშაობდა.

ჯერჯერობით არ არის ცნობილი რა რაოდენობის ჰონორარს აიღებს, თუმცა ვარაუდები უკვე არსებობს. მაგალითად, ორი წლის წინ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ მსახიობი მემუარების წერას აპირებდა, გაცხადდა, რომ კონერიმ სამი მილიონი ფუნტი სტერლინგი მოითხოვა, რაც დაახლოებით 5,5 მილიონი დოლარია.

ამჯერად მსახიობი ბაჰამის კუნძულებზე ცხოვრობს და საკმაოდ საინტერესო ფიცი აქვს დადებული: ვიდრე მისი სამშობლო დამოუკიდებლობას არ მოიპოვებს, შოტლანდიაში არ ჩავა. თუმცა მას მაინც მოუწევს ბრიტანეთში ჩასვლა, რადგან წიგნის პრეზენტაცია მომავალ წელს ლონდონშია დაგეგმილი.

## დამლაგებლის საჩუქარი



ძვირფასი ჩინური ლარნაკი, რომელიც ცინის დინასტიას ეკუთვნოდა და 60 წლის წინ ბრიტანელ დამლაგებელს აჩუქეს, აუქციონზე 92 000 ფუნტ სტერლინგად გაიყიდა (დაახლოებით 169,5 ათასი აშშ დოლარი).

ლარნაკი შესაძლოა მილონ ფუნტ სტერლინგადაც გაყიდულიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დამლაგებელი ხშირად წმენდდა მას, რის გამოც ოქროს ემალი გასცილდა. ბრიტანული გაზეთის ცნობით, დამლაგებელს ეს ლარნაკი 1940 წელს, პენსიაზე გასვლის წინ ბრიტანელმა დიდგვაროვანმა აჩუქა. მემკვიდრეობით კი მის შვილიშვილს გადაეცა, რომელიც მას მრავალი წლის განმავლობაში ინახავდა. 2005 წელს მან ერთ-ერთ გაზეთში ნახა ფოტო, რომელზე გამოსახული ნივთი თავის ლარნაკს მიამსგავსა და რომელიც აუქციონზე 240,8 ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდა. ამის შემდეგ გადაწყვიტა თავისი ძვირფასი ნივთი შემფასებლებისთვის ეჩვენებინა.

Bonham-ის აუქციონის სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ლარნაკი 200 წლის წინ არის დამზადებული და ცინის დინასტიის ძვირფას ნივთს წარმოადგენს, რის შემდეგაც ჰონ-კონგის აუქციონზე გაიტანეს.

## ამერიკის კინოაკადემია



ამერიკის კინოხელოვნების აკადემიამ ნომინაციაში "საუკეთესო უცხოენოვანი ფილმი" "ოსკარის" მოსაპოვებლად 83 ქვეყანა მიიწვია. პირველი შეთავაზება მიმდინარე წელს აზერბაიჯანმა და ყირგიზეთმა მიიღეს. კონკურსში მომაწილეობის საშუალება 2005 წლის 1 ოქტომბრიდან 2006 წლის 30 სექტემბრამდე გადაღებულ ფილმებს აქვთ. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობა - ფილმი ერთი კვირის განმავლობაში მაინც უნდა გადიოდეს კომერციულ კინოთეატრში.

აკადემიაში განაცხადების შეტანა 2 ოქტობრამდე, ხოლო ფილმების შეტანა 13 ოქტომბრამდე შეიძლება. თანაც თითო ქვეყნიდან მხოლოდ ერთი ფილმის წარდგენა შეიძლება.

გასულ წელს "ოსკარი" უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში ფილმმა "ცოცი" მიიღო, ხოლო პირველად 1956 წელს - ფედერიკო ფელინიმ ფილმისთვის "ძვირფასი". მას შემდეგ კონკურსში მონაწილეობა მიიღო 102 ქვეყანამ.


**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
განებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

**"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით**

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

[24] საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### DaimlerChrysler-ის მეთაური მულტფილმის გმირი გახდა

საავტომობილო კონცერნმა daimlerChrysler-მა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მასშტაბური სარეკლამო აქციები წამოიწყო. ამჯერად გერმანულ-ამერიკული კონცერნი თავისი ქვეკომპანიის Khrysler -ის მოდელების Chrysler-ის, Dodge-ისა და Jeep-ის გაყიდვების გაზრდაზე აქტიურად მუშაობს. კომპანიის წარმომადგენლები სარეკლამო გათვლას არა მარკეტინგზე, არამედ კომპანიის მეთაურის დიტერ ცეტშეს ქარიზმასა და არტისტულ მონაცემებზე აკეთებს.

daimlerChrysler-ის შეფი ამჯერად მაყურებლის წინაშე ხუთ სარეკლამო რგოლში არა მარტო მსახიობის ამპლუაში, არამედ მულტიპლიკაციური გმირის სახით წარდგება. კომპანია სპეციალურად ავტომოყვარულებისთვის ოფიციალურ საიტს გახსნის, სადაც მსურველებს, საკუთარი კოორდინატების დატოვების შემდეგ, საშუალება მიეცემათ კონცერნისა და მისი პროდუქციის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ. კომპანიის შეფს დიტერ ცეტშეს ულვაშებიანი კეთილი გერმენელის იმიჯი ექნება, რომელიც აქცენტიანი ინგლისურით საუბრობს და თან ყოველთვის ხუმრობის ხასიათზეა. კომპანიის ახალმა სარეკლამო კამპანიამ საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

რამდენად ეფექტური და წარმატებული აღმოჩნდება ეს გრანდიოზული სარეკლამო კამპანია, ამას პროდუქციის გაყიდვების სტატისტიკა გვაჩვენებს. საინტერესოა ისიც, თუ რამდენად წარმატებულს გახდის კომპანიას Chrysler-ის შეფის ახალი სარეკლამო იმიჯი.

### ადგილობრივი გადასახადების კანონში ცვლილებები შევიდა

B2

### Microsoft-ი 280,5 მილიონით დააჯარიმეს

B3

### "ჯივიაი ჰოლდინგი" ავსტრიის უმსხვილესი სადაზღვევო ჯგუფის წევრი ხდება

B4

# მთავრობა მოსახლეობას ანგარიშს არ აბარებს

## რაში ვუხდით მინისტრებს 2 ათას ლარს?

თინა შავაძე

*მიმდინარე წლის გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდი საქართველოს ეკონომიკაში რადიკალური ცვლილებებით მიმდინარეობს. ცხოვრების დონე 2-3-ჯერ გაძვირდა, ეროვნული ვალუტის კურსი 5 ერთეულით გამყარდა, ინფლაცია ძალას იკრებს, სავაჭრო-სამრეწველო ბალანსი იმ დონემდე უარყოფითია, რომ მიმდინარე წლის პირველი კვარტლის შედეგებით დეფიციტი 64 პროცენტით გაიზარდა. ანუ იმპორტმა ექსპორტთან შედარებით 350 მილიონი დოლარი შეადგინა. თუ როგორ განვითარდება მოვლენები და არსებული მდგომარეობიდან რა გამოსავალი არსებობს, ამ კითხვებზე პასუხს საზოგადოება ვერავისგან იღებს. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდი პასუხისმგებლობას თავს არიდებს, თუნდაც იმის გამო, რომ სათანადო სახელმწიფო უწყებებმა შესაბამისი დასკვნები არ მოამზადეს.*

**საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურებში დაქირავებული ადამიანები თანამდებობების შესაბამისად ყოველთვიურ 300-4000 ლარამდე ანაზღაურებას იღებენ. მათ შორის მინისტრებს ყოველთვიურად საშუალოდ 2000 ლარი აქვთ.**



*მინისტრი უცხოური სიტყვაა და დაქირავებულს ნიშნავს.*

იური მეჩითოვის ფოტო

B2

# "დატყვევებული ტრაქტორები"

## და ფარულად ჩატარებული კონკურსი

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*გუშინ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იმ კონკურსში გამარჯვებული ფირმები გამოავლინა, რომლებიც "პრეზიდენტის საჩუქრით", როგორც კახელები ამბობენ, ბიზნესს ააწყობენ. "საჩუქრის" ღირებულება 160 ათასიდან 224 ათას ლარამდე მერყეობს. გამარჯვებული ფირმების ვინაობა კახელი გამგებლებისთვისაც იმ მიზეზის გამოა უცნობი, რომ ისინი ამ რეგიონში არ აწარმოებენ ბიზნესს.*

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს "ნაციონალური პროგრამით" შემოყვანილი 150 ტრაქტორი, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კახეთის რეგიონს უნდა გადასცემოდა, თუმცა სამინისტრომ რეგიონში მხოლოდ 53 ტრაქტორი გაგზავნა და მათი ბედი დღემდე გაურკვეველია. მანამდე კი ტრაქტორები პოლიციის ეზოში არიან დატყვევებული.**



*პოლიციის ეზოში დაპატიმრებული ტრაქტორები.*

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3270 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9810 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4819 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7700 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8258 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1528 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,3022 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3082 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2544 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4410 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3404 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1490 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1549 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2614 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1934 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2350 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4033 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5739 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,2240 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,5624 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3338 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2822 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5606 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5946 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0658 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1222 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4237 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5362 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4443 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5259 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8133 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1231 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1497 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4422 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2452 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4407 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0793 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2215 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2277 |




# რინგზე მოჭრილი მილიარდი

## ვინსენტ მაკმაჰონის არაორდინარული სამყარო

გოჩა ქიმუცაძე

*ჟურნალ Forbes-ის მილიარდერთა რეიტინგის ერთ-ერთი ყველაზე "ღარიბი" წარმომადგენელი ვინსენტ მაკმაჰონი გახლავთ, რომელიც მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ჩამონათვალს მხოლოდ შარშანწინ შეუერთდა და ამჟამად 1,2 მილიარდი დოლარის მფლობელია. ეს კაპიტალი რეიტინგის გამორჩეულმა, მეტად საინტერესო მკვიდრმა სისხლისა და ოფლის ფასად მოაგროვა. თანაც, ეს მეტაფორა სულაც არ არის და საუბარი სწორედ რომ ნამდვილ სისხლსა და ოფლზეა. პროფესიონალური რესლინგის ფედერაციის - WWF-ის მთავარმა აქციონერმა, კუნთმაგარმა და მშვენიერმა ვაჟკაცმა ვინს მაკმაჰონმა, რომელიც რინგზე მუშტის მოქნევასა და მეტოქის ეფექტურად მიბეგვაზე თავადაც უარს არ ამბობდა, რესლინგი ნამდვილ ფულის საჭრელ დაზგად აქცია.*

- **მამის გავლენა**
- **წარმატებული დასაწყისი**
- **ამერიკელი აგრესორი**
- **საპნის ოპერების რეჟისორი**



B3

## არასაგადასახადო შემოსავლების წილი მშპ-ის მიმართ 2.7 პროცენტია

2005 წლის ბიუჯეტში არასაგადასახადო შემოსავალმა, რომელიც მთლიანი შემოსავლისა და გრანტების 11.6 პროცენტია, 312.8 მლნ ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, 28.9 პროცენტითაა გაზრდილი.

არასაგადასახადო შემოსავლის ფაქტობრივი მოცულობა 9.2 პროცენტით მეტია მის საპროგნოზო მაჩვენებელზე, ხოლო მშპ-ს მიმართ მისი წილი 2.7 პროცენტის ტოლია.

არასაგადასახადო შემოსავლების საკასო მეთოდით ასახვის შედეგად მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: 2003 წელს ეს ოპერაციები შეადგენს 62.3 მლნ ლარს, 2004 წელს - 69.1 მლნ ლარს, 2005 წელს - -19.9 მლნ ლარს, ხოლო 2006 წელს - 32.1 მლნ ლარს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნაერთ ბიუჯეტში მოგების გადასახადი 0.7 პროცენტითაა გაზრდილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2005 წლის ნაერთ ბიუჯეტში მოგების გადასახადის მოცულობა, 2004 წელთან შედარებით, 30.1 პროცენტითაა მომატებული და 210.3 მლნ ლარს შეადგენს. ეს მონაცემები 0.7 პროცენტით აღემატება საპროგნოზო მაჩვენებელს. როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განმარტეს, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) მიმართ მოგების გადასახადის წილი 1.8 პროცენტია, ხოლო საგადასახადო შემოსავალში მისი წილი 9.2 პროცენტს გაუტოლდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა 13.6 პროცენტის ფარგლებში იგეგმება

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ განვითარების 2006-2010 წლების საშუალოვადიან გეგმაში ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების (საბიუჯეტო სექტორიდან სოციალური ანარიცხების გარეშე) მოცულობის ზრდა 13.6 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი. მისი წილი კი მშპ-ს მიმართ 19.9 პროცენტს გაუტოლდება.

ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში საშემოსავლო გადასახადის მოცულობის ზრდა 8.3 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ - 2.4 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი. მოგების გადასახადის მოცულობის ზრდა კი მოსალოდნელია 26.6 პროცენტის, ხოლო მშპ-ს მიმართ - 2.0 პროცენტის ფარგლებში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ანადარკო" წარმოებული ბურღვების მონაცემებს სწავლობს

. ამერიკული სანავთობო კომპანია "ანადარკო" სწავლობს იმ მონაცემებს, რომელიც შავი ზღვის შელფის თურქეთის სექტორში წარმოებული ბურღვებიდან მიიღო. როგორც კომპანია BP-Georgia-ს გენერალურმა მენეჯერმა ჰიუ მაკდაუელმა განაცხადა, დაზვერვისა და ნავთობის მოპოვების პროექტის ოპერატორი თურქეთის სექტორის 3534 ბლოკზე ბრიტანული კომპანია "ბრითიშ პეტროლიუმია", ხოლო საქართველოს შელფის IIA IIB III ბლოკებზე კი - ამერიკული კომპანია "ანადარკო" "BP"-მ სადაზვერვო უბანი თურქეთის სექტორში შარშან გაბურღა, თუმცა მონაცემების შესწავლა ჯერ კიდევ არ დაუსრულებია. "ანადარკო" კი, რომელიც "ბი პის" პარტნიორია, ამ მონაცემებს ეცნობა, რათა საქართველოს ტერიტორიაზე თავისი შემდგომი სამოქმედო გეგმა ჩამოაყალიბოს. როგორც ჰიუ მაკდაუელმა აღნიშნა, ნავთობის მარაგების დაზვერვა საქართველოსა და თურქეთის სიახლოვეს შავ ზღვაში, 15 წელია, მიმდინარეობს, თუმცა ეს პროექტი საკმაოდ რთულადრეალიზებადი და ძვირადღირებულია. საბადო 2100-5500 ფუტის სიღრმეზე მდებარეობს და მის მოპოვებას თავისი სპეციფიკა გააჩნია.

მენეჯერის თქმით, თუ თურქეთსა და საქართველოში ახალი მონაკვეთების გაბურღვის აუცილებლობა დადგება, საჭირო გახდება რეგიონში სპეციალური პლატფორმების დამონტაჟება, რომლიც ამ დროისათვის, კონტრაქტის მიხედვით, დასავლეთ აფრიკასა და მექსიკაშია. მათი შემოტანა რეგიონში 2008-2009 წლებისთვის იგეგმება. აღსანიშნავია, რომ საქართველომ ბრიტანულ კომპანია JKX -ს შელფის ათვისებისთვის ლიცენზია კერ კიდევ 1994 წელს გადასცა. თუმცა მან მართვის უფლებები "ანადარკოს" იმ პირობით გადასცა, რომ "შავი ოქროს" მოპოვებიდან წილს მიიღებდა. კონსორციუმში, "ანადარკოს" გარდა, "საქნავთობი", “Turkish Petroleum Overseas Company და Unocal (ChevronTexaco) შედის. საქართველოში აქტიური დაზვერვითი სამუშაოების წარმოება მხოლოდ თურქეთის სექტორში ანალოგიური სამუშაოების დასრულების შემდეგ იგეგმება. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, შავი ზღვის სანაპიროზე ნავთობის საბადოთა მარაგის მოცულობა 200 მილიონი ტონაა. საწვავის მოპოვებისთვის 3-4 ათასი მეტრის სიღრმეზე უნდა გაიბურღოს. ინვესტიციების მთლიანი მოცულობა რამდენიმე მილიარდი აშშ დოლარია, პროექტი 25 წელზეა გათვლილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნას აშშ-ს საპრეზიდენტო დელეგაცია დაესწრება

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 13 ივლისს ჯეიჰანში დაგეგმილ ბაქო-თბილისი ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად სპეციალური საპრეზიდენტო დელეგაცია გაგზავნა. დელეგაციას აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრი ჯეფრი სელი ხელმძღვანელობს.

ნავთობსადენის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობას 16 ქვეყნის დელეგაცია მიიღებს. აღნიშნულ ღონისძიებას დაესწრებიან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და თურქეთის პრეზიდენტი აჰმედ ნეჯედ სეზერი.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის საშუალებით ყოველწლიურად 50 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირება იგეგმება. ნავთობსადენის სიგრძე 1760 კილომეტრია. აქედან 443 კილომეტრი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის, 248 - საქართველოს, დანარჩენი კი თურქეთის ტერიტორიაზე გაივლის. ოფიციალურ ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად, თურქეთში, პორტ ჯეიჰანში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც გაემგზავრა. ნავთობსადენის საზეიმო გახსნის ცერემონია ხვალ, 13 ივლისს, არის დაგეგმილი.

ღონისძიებაზე დასასწრებად მიწვეულნი არიან 16 ქვეყნის პირველი პირი და 30 ქვეყნის პრემიერ-მინისტრი.

შეგახსენებთ, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა 2002 წელს დაიწყო. მისი საშუალებით აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ენერგომატარებლების ტრანსპორტირება მოხდება.

ნავთობსადენის სიგრძე 1,760 კილომეტრია და აზერბაიჯანის ნავთობის საბადოები ჯეიჰანის პორტს უკავშირდება; ნავთობსადენი 4 მილიარდი დოლარი დაჯდა, ნავთობის ტრანსპორტირება ჯეიჰანში საქართველოს გავლით ხორციელდება. **მედიანიუსი.**

# მთავრობა მოსახლეობას ანგარიშს არ აბარებს

პირველი გვერდიდან



*საქართველოს მთავრობის ეკონომიკური გუნდი პასუხისმგებლობას თავს არიდებს.*

რა თქმა უნდა, გლობალური ეკონომიკური ცვლილებები გავლენას ახდენს ქვეყნის ცხოვრებაზე. გარე ფაქტორებმა ნავთობის გაძვირება, რუსეთის ბაზრის დაკარგვამ თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით ეს აისახა ფასების ზრდაზე. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ერთი დეტალი. გარე და შიდა ფაქტორების გათვალისწინება და ადეკვატურად პროცესების წარმართვა ქვეყნის ხელისუფლების მთავარი ფუნქციაა. ფუნქციათა გადანაწილება კი ამ შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების შტოში, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ორი წლის განმავლობაში ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალა მხოლოდ გარეგნული პარამეტრებით შეიცვალა. რაც გამოიხატება - ასაკში (25-35), ჩაცმულობასა და (შავი თეთრ-ზოლებიანი კოსტიუმი) გადაადგილების საშუალებებში (ინფინიტისა და ლექსუსის ჯიპები).

რაც შეეხება მენტალურ დონეს, ამ მიმართულებით ხელისუფლებაში არაფერი შეცვლილა. ახალმა მმართველებმა შესანიშნავად მხოლოდ ტრიბუნასთან კამერების წინ ფეხზე დგომით განცხადების გაკეთების ტრადიცია დაამკვიდრეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამდებობის პირების საკუთარ მოსახლეობასთან ანგარიშვალდებულება მარტივი ხასიათის განცხადების გაკეთების ფორმას ვერ გასცდა და საფუძვლიან ანგარიშში ვერ გადაიზარდა. განსაკუთრებით ეს ეხება მინისტრებს. მინისტრი უცხოური სიტყვაა და დაქირავებულს ნიშნავს, ანუ ხალხი ქირაობს ადამიანებს და თანამდებობის შესაბამისად სახელმწიფო ხაზინიდან გარკვეულ თანხას უხდის დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. ამ ეტაპზე, საქართველოში სახელმწიფო სტრუქტურებში დაქირავებული ადამიანები თანამდებობების შესაბამისად ყოველთვიურ 300-4000 ლარამდე ანაზღაურებას იღებენ. მათ შორის მინისტრებს ყოველთვიურად საშუალოდ 2000 ლარი აქვთ.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რა გაწეული სამსახურისთვის იღებენ თუნდაც მინისტრები ყოველთვიურად ამხელა ანაზღაურებას? ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საინტერესოა ის სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებზე აგებენ პასუხს. როგორც ცნობილია, ამისთვის ქვეყანაში საკმაოდ დიდი სტრუქტურა არსებობს. პრეზიდენტს ბევრი ადგილობრივი და უცხოელი მრჩეველი ჰყავს ეკონომიკურ საკითხებში, ამას ემატება სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკური რეფორმების საკითხებში საკუთარი ადმინისტრაციით, ამის გარდა, არსებობს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია, სამინისტროები და დეპარტამენტები.

მაგრამ ამ მრავალრიცხოვანი ამალისა და ოფიციალურად გამიჯნული ფუნქციების მიუხედავად, კონკრეტულ საკითხზე, კონკრეტული საფუძვლიანი ანგარიში არ არსებობს. უმეტესობა მათგანს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე დაგვიანებული რეაქციები აქვს, ან საერთოდ არ აქვს პოზიცია, რადგან, პრაქტიკულად, მათი ფუნქციები ვიწრო საკითხებზე პასუხისმგებლობით შემოიფარგლება.

დღეს საკამათო არ არის ის, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ძირითადად, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციითა დაკავებული. საქმიანობის სფეროდან გამომდინარე, გადაუჭარბებლად შეიძლება ეწოდოს მას სახელმწიფო ქონების პრივატიზების სამინისტრო. რადგან მას “განზე" დარჩა ქვეყანაში მიმდინარე მაკრო და მიკროეკონომიკური პროცესების დიაგნოსტიკა და ანალიზი.

სტატიკურ მდგომარეობაშია ფინანსთა სამინისტროც. აღმასრულებელი ხელისუფლების ეს რგოლი პროდეფიციტური ბიუჯეტის პირობებში ხარჯვით ნაწილს შევარდნაძის დროინდელი მეთოდით გეგმავს და დღემდე ვერ გადავიდა პროგრამულ დაფინანსებაზე. მართალია, გასულ თვეში მთავრობა პარლამენტში შევიდა ინიციატივით იმის თაობაზე, რომ გაუქმდეს კანონი ინდიკატორული დაგეგმარების გაუქმების შესახებ და მის ნაცვლად განიხილოს კანონპროექტი ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსების შესახებ, მაგრამ პარლამენტის სპიკერატმა ამ ინიციატივაზე უარი განაცხადა, რადგან პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე ფიქრობს, რომ ამ გზით მთავრობა საკანონმდებლო ორგანოს წინაშე საკუთარი საქმიანობით ანგარიშვალდებული არ იქნება.

აგრარული ქვეყნის - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ერთ ძირითად საკითხშიც კი არ არის გამოკვეთილად თანმიმდევრული. თუნდაც, ავიღოთ ყველაზე აქტუალური საკითხი: ცნობილია, რომ ღვინის ექსპორტი შემცირდა, რის გამოც სავაჭრო ბალანსში დეფიციტი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 64 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ ამ საგანგაშო მდგომარეობას აღნიშნული სამინისტრო ურეაქციოდ შეხვდა. თვეების განმავლობაში სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ ვერ მოახერხა მასშტაბური შეხვედრის მოწყობა, სადაც მეღვინეობის დარგთან დაკავშირებულ ყველა სპეციალისტს თავს მოუყრიდა. სხვაგვარად დარგის კრიზისიდან გამოყვანის შესახებ დასკვნები არ კეთდება. უფრო მეტიც, ორი კვირის წინ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, ბიუჯეტიდან მეღვინეობის დარგის კრიზისის დაძლევისთვის 700 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე, თანხის განკარგვა სამინისტროს კომპეტენციაა. თუმცა, საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, რა გზით აპირებს სამინისტრო ამ თანხის ათვისებას.

ქვედა სახელმწიფო რგოლების საქმიანობის აღწერა არსებითად არაფერს ცვლის, რადგან მდგომარეობა ანალოგიურია. არ არსებობს მუშაობის ახალი სტილი, რაც იმაში გამოიხატება, რომ რანგირების მიხედვით, ყველა სახელმწიფო მოხელემ შესრულებული სამუშაოს, მიღწეული და მოსალოდნელი შედეგების შესახებ ანგარიში დეტალურად უნდა დაწეროს. შემდეგ ეს ყველაფერი შეჯამდეს და საზოგადოებისთვის გახდეს ცნობილი.

რადგან ეს ხელისუფლება მუშაობის ასეთ სტილს ასცდა და, უმეტეს შემთხვევაში, მთავრობის მიერ გაწეული სამუშაო და მიღებული გადაწყვეტილებები საზოგადოებისთვის უცნობია, ამიტომაც მუშაობის ასეთ სტილს უცხოელი სპეციალისტები “ბნელ ოთახში" მიღებულ გადაწყვეტილებებს უწოდებენ.

არადა, გასაკვირი ის არის, რომ ამ ხელისუფლებაში მყოფი თანამდებობის პირების უმეტესობა არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მოვიდა ხელისუფლებაში. ცნობილია, რომ ასეთ ორგანიზაციებში უცხოელმა დონორებმა ადგილობრივ კონტრაქტორებს ფულის "კეთების" გარდა, ყოველთვიური ანგარიშის დაწერაც ასწავლეს. ამ ქვეყანაში მინისტრებს და სხვა თანამდებობის პირებს ანგარიშს არავინ სთხოვს. ამ რამდენიმე თვის წინ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ჰქონდა ამგვარი მცდელობა - მან მოითხოვა, მინისტრებს ხალხისთვის მოესმინათ და მათ წინაშე ანგარიშვალდებულნი გამხდარიყვნენ, მაგრამ მოთხოვნა შეუსრულებელი დარჩა.

## თბილისის ბიუჯეტი 24 მილიონი ლარით გაიზარდა

თბილისის ბიუჯეტი 24 მილიონი ლარით გაიზარდა და დღის მდგომარეობით დედაქალაქის ბიუჯეტი შეადგენს 441,900.0 ათას ლარს.

აქედან, საგადასახადო შემოსავლები შეადგენს 267,500.0 ათას ლარს. არასაგადასახადო შემოსავლები 8,600.0 ათასი ლარია, კაპიტალური შემოსავლები - 62,000.0 ათასი ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილებები შევიდა დედაქალაქის ცალკეული რაიონების ბიუჯეტებში. გლდანი-ნაძალადევის ბიუჯეტი განისაზღვრა 10,826.8 ათასი ლარით, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ბიუჯეტი - 8,328.2 ათასი ლარით; მთაწმინდა-კრწანისი - 7,898.8 ათასი ლარით; ვაკე-საბურთალო - 8,453.0 ათასი ლარით, ისანი-სამგორი - 11,546.1 ათასი ლარით, დაბა წყნეთის ბიუჯეტი - 632 000.0 ლარით. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აჭარაში კიდევ რამდენიმე ობიექტი იყიდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ საპრივატიზაციოდ კიდევ შვიდი ობიექტი გამოიტანა. შვიდივე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს.

პირველი მათგანია მუნიციპალური საწარმო “ჭოროხის" დაუმთავრებელი შენობა. იგი ბათუმში, ხიმშიაშვილის ქუჩა N29-ში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასია ერთი მილიონი დოლარი. დანარჩენი ექვსი ობიექტი არასაცხოვრებელ ფართს წარმოადგენს და ქობულეთში, შოთა რუსთაველის ქუჩა N166 ა-ში მდებარეობს. აქედან პირველი ობიექტის საერთო ფართი 81,1 კვადრატულ მეტრს შეადგენს. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 16.000 დოლარი.

მეორე ობიექტის საერთო ფართი 80,5 კვადრატული მეტრია. იგი ასევე 16.000 დოლარად არის შეფასებული.

მესამე ობიექტს 81,6 კვადრატული მეტრი უკავია. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 16.500 დოლარი. შემდეგი ობიექტის ფართი 81,1 კვადრატული მეტრია. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 16.000 დოლარი.

მეხუთე ობიექტს 85.3 კვადრატული მეტრი უკავია. იგი 17.000 დოლარად არის შეფასებული. ამავე მისამართზე მდებარე კიდევ ერთი ობიექტი 78,3 კვადრატულ მეტრ ფართობს იკავებს. მისი საწყისი გასაყიდი ფასია 15.500 დოლარი.

ზემოთ ხსენებული ყველა ობიექტი აუქციონის წესით, 11 აგვისტოს გაიყიდება. საპრივატიზაციო განცხადების მიღება 12 ივლისს დაიწყო და 11 აგვისტოს ჩათვლით გასტანს. **მედიანიუსი**

## ჯეიჰანში ტანკერების დატვირთვას პრეზიდენტები და მინისტრები დააკვირდებიან

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნის ოფიციალური ცერემონია ხვალ, თბილისის დროით 15.30 საათზე დაიწყება.

კარავი გამჭვირვალეა და 270 ადამიანს იტევს. გამჭვირვალე კედლები საშუალებას აძლევს შიგნით მყოფ საზოგადოებას, ტანკერების დატვირთვას თვალყური კარვიდან ადევნონ.

ცერემონიალს თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები - აჰმედ ნეჯედ სეზერი, მიხეილ სააკაშვილი და ილჰამ ალიევი სხვა ქვეყნების პირველ პირებთან, პრემიერ-მინისტრებთან და ოფიციალურ პირებთან ერთად დაესწრებიან. ტერმინალის შესასვლელთან აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის პორტრეტია განთავსებული.

ხვალ ცერემონიალზე დამსწრე საზოგადოება სტამბულიდან და ანკარიდან სპეციალური რეისით ჩავა. სახელმწიფოთა მეთაურების სპეციალური თვითმფრინავები ნატოს სამხედრო ბაზა “ინჯირლიკზე" დაეშვებიან და ჰეიდარ ალიევის სახელობის ჯეიჰანის ტერმინალში დაჯავშნული ესკორტის თანხლებით მივლენ დანარჩენი სტუმრების 6 თვითმფრინავი ადანის ახლოს შაკირპაშის აეროდრომზე დაეშვება. ადანა-ჯეიჰანის საავტომობილო გზა 12-13 ივლისს საზოგადოებისთვის დაკეტილი იქნება.

გახსნის ცერემონიაზე ამერიკელი მომღერლის - მერაია ქერის კონცერტიცაა დაგეგმილი. ამ ღონისძიების ორგანიზებისთვის სულ 3,5 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა. **მედინიუსი**

# ადგილობრივი გადასახადების კანონში ცვლილებები შევიდა

თბილისის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ კანონში გარკვეული ცვლილებები შევიდა. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დედაქალაქში ადგილობრივი გადასახადები შემდეგნაირად განისაზღვრა: საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის ქონების გადასახადი, გარდა მიწისა, შეადგენს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საშუალო წლიურ საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტს.

ამავე მოცულობის გადასახადით დაიბეგრა უცხოური საწარმოებიც. ორგანიზაციებისთვის გადასახადის წლიური განაკვეთი შეადგენს მისი ბალანსზე რიცხვული ძირითადი საშუალებების ეკონომიკური საქმიანობისთვის აუცილებელი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულებების 1 პროცენტს.

რაც შეეხება ფიზიკურ პირებს, 60 000 ლარამდე შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის გადასახადი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტი იქნება. 60 000 ლარიდან 100 000 ლარამდე შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის ქონების გადასახადი 0,4 პროცენტს შეადგენს, 100 000 ლარიდან ზევით შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის - 0,8 პროცენტს.



*საკრებულომ ახალი გადაწყვეტილება მიიღო.*

ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული ან ლიზინგით აღებული ქონების წლიური გადასახადი შეადგენს სხვადასხვა ფორმით გაცემული ქონების ღირებულების 1 პროცენტს.

რაც შეეხება მსუბუქ ავტომობილებსა და ტრანსპორტს, 2000 სმ კუბამდე მოცულობის მქონე ძრავის ავტომობილი ერთ წლამდე - 50 ლარით, 1-დან 3 წლამდე - 40 ლარით, 3-დან 4 წლამდე - 30, 4-დან 5 წლამდე - 20, 5-დან 6 წლამდე - 10, 6-ზე მეტი 5 ლარით დაიბეგრება.

2001 სმ კუბიდან 3 ათას სმ კუბამდე ერთი წლის 150 ლარით, 1-დან 3 წლამდე 130 ლარით, 3-დან 4 წლამდე 110, 4-დან 5-მდე 80, 5-დან 6-მდე 25, 6 წელზე მეტი 5 ლარით დაიბეგრება.

3 ათას სმ კუბზე მეტი მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი 1 წლამდე 300 ლარით, 1-დან 3-მდე 250, 3-დან 4-მდე 200, 4-დან 5-მდე 100, 5-დან 6-მდე 50, 6 წელზე მეტი 5 ლარით დაიბეგრება.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე წლიური გადასახადის საბაზისო განაკვეთი საქართველოს ან უცხოური საწარმოს ორგანიზაციების ან ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებულ მიწებზე გადასახადი 1 კვ მეტრზე 0.24 თეთრით განისაზღვრება.

იმ ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას სამორინეებით და სხვა სათამაშო ბიზნესით, თვეში სათამაშო მაგიდაზე 7 ათასი ლარის გადახდა მოუწევთ. თითოეულ სათამაშო აპარატზე - 50 ლარი. ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე გადასახადი თვეში 300 ლარს შეადგენს. წამახალისებელ გათამაშებაზე გადასახადი საპრიზო ფონდის 10 პროცენტს შეადგენს. სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშებზე გადასახადი თვეში 2 ათასი ლარი იქნება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## Microsoft-ი 280,5 მილიონით დააჯარიმეს

ევროკავშირის ანტიმონოპოლიურმა მარეგულირებელმა ორგანოებმა კომპანია Microsoft Corp-ი 2004 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის 280,5 მილიონი ევროთი (357 მილიონი დოლარი) დააჯარიმა. მოგეხსენებათ, მაშინ სასამართლომ ბილ გეითსის პირმშო კონკურენტებისათვის საოპერაციო სისტემა Windows-ის პროგრამული კოდების მიწოდებით დაავალდებულა. ევროკომისიის გუშინდელი გადაწყვეტილებით, თუ Microsoft-ი სასამართლოს გადაწყვეტილებას შემდგომშიც არ შეასრულებს, მიმდინარე წლის 31 ივლისიდან ყოველდღიურად 3 მილიონი დოლარით დაჯარიმდება.

შეგახსენებთ, რომ Microsoft-ს ანალოგიური პრობლემები აქვს სამხრეთ კორეაშიც, რომლის ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა დაადგინა, რომ ამერიკული კომპანია ქვეყნის ბაზარზე თავის დომინანტობას ბოროტად იყენებს, ის 34 მილიონი დოლარით დააჯარიმა და კონკურენტებისათვის ინფორმაციის მიწოდებით დაავალდებულა. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევისათვის Microsoft-ი არაერთხელ დაუჯარიმებიათ აშშ-შიც.

## Bayer-მა Schering-ი შთანთქა

გერმანულმა ფარმაცევტულმა გიგანტმა Bayer-მა დაასრულა ასევე გერმანული ფარმაცევტული კომპანია Schering-ის შთანთქმა და მისი აქციების 92,4 პროცენტის მფლობელი გახდა. წინადადების ვადა 6 ივლისს ამოიწურა. იქამდე Bayer-ს Schering-ის აქციების 47,9 პროცენტი ეკუთვნოდა, ხოლო გუშინ კიდევ აქციების 44,5 პროცენტი შეიძინა. გავრცელებული ინფორმაციით, გარიგების ღირებულებამ 16,9 მილიარდი ევრო, ანუ 1 აქციაზე 86 ევრო შეადგინა, რაც 12 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე Schering-ის შთანთქმის კიდევ ერთი მსურველის Merck-ის წინადადება.

გერმანული გიგანტის წარმომადგენლის თქმით, ეს გარიგება Bayer-ს მსოფლიო ფარმაცევტული ბაზრის დაპყრობაში დაეხმარება და წელიწადში დამატებით 700 მილიონი ევროს ოდენობის შემოსავალს მოუტანს. ასევე აღინიშნა, რომ სულ მალე კონცერნი აქციების დარჩენილ 7,6 პროცენტსაც შეიძენს.

## ყაზახებმა ჩინეთში პირველი ნავთობსადენი გახსნეს

18 ივლისს, ჩინეთის დროით - 45.12 საათზე, ყაზახეთმა ჩინეთს პირდაპირი ნავთობსადენით პირველად მიაწოდა ნავთობი. საწვავი ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ავტონომიურ რეგიონს მიეწოდა.

ნავთობსადენის სიგრძე 960 კილომეტრია, ღირებულება კი დაახლოებით 700 მილიონი დოლარი. ნავთობსადენის მშენებლობა ჯერ კიდევ 2005 წლის ნოემბერში დასრულდა, თუმცა მისი კომერციული ექსპლუატაცია 18 ივლისს დაიწყო. ახალი ნავთობსადენი ჩინურმა კომპანია CNPC-მა ყაზახურ "kazMunaiGaz"-სთან თანამშრომლობის შედეგად ააშენა.

კონტრაქტის პირობების თანახმად, ახალი ნავთობსადენით 20 მილიონი ტონა ნავთობის ტრანსპორტირებაა გათვალისწინებული. დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ყაზახეთის საზღვარზე სპეციალური მრიცხველები დამონტაჟდა.

ახალი ნავთობსადენის ამუშავება ორივე ქვეყნისთვის ხელსაყრელია. ჩინეთისთვის ის ენერგოდეფიციტის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა, ყაზახეთისთვის კი - ახალი, მომგებიანი ბაზარი.

გასულ წელს, ჩინეთმა 127 მილიონი ნავთობი შეისყიდა. საწვავის ნახევარზე მეტის შემოტანა ახლო აღმოსავლეთმა, 1,3 მილიონი ტონის შემოტანა კი ყაზახეთმა უზრუნველყო. ოფიციალური ინფორმაციით, 2006 წელს ახალი ნავთობსადენით ჩინეთს 4,75 მილიონი ტონა ნავთობი მიეწოდება, 2007 წლისთვის კი დაახლოებით 8 მილიონი ტონა.

# რინგზე მოჭრილი მილიარდი







პირველი გვერდიდან

### მამის გავლენა

ვინსენტ კენედი მაკმაჰონი დაიბადა 1945 წელს ჩრდილოეთ კაროლინაში. მისი მშობლები მალე განქორწინდნენ და დედამისი ქმრებს წამდაუწუმ იცვლიდა, რაც ბიჭს ძალიან არ მოსწონდა. ამდენად, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ვინსი მოჩხუბარ და ავ ყმაწვილად ჩამოყალიბდა.

12 წლის იყო, როცა მშობელი მამა გაიცნო. ვინსენტ მაკმაჰონ უფროსი სპორტული პრომოუტერი იყო და რესლინგის საერთო ფედერაციის არარსებობის პერიოდში აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთით მოღვაწეობდა. მამასთან გატარებულმა ექვსმა კვირამ პატარა ვინსენტის მომავალი განსაზღვრა. იგი მამის საქმიანობამ მოხიბლა და უმალ მისი სამყაროს ნაწილად ქცევა მოინდომა. ბიჭი რესლინგზე გიჟდებოდა, მისი კერპი გოლიათური აღნაგობის, წყალბადის ზეჟანგით გაუფერულებული თმისა და ულვაშის მქონე და მუდამ წითლებში გამოწყობილი მებრძოლი ჯერი გრეჰემი იყო, რომელიც ძვირფას კადილაკს ყველაზე სწრაფად დააქროლებდა და სიგარებს ასდოლარიანი ბანკნოტით ეფექტურად უკიდებდა.

როცა გრეჰემმა ვინსს რამდენიმე ილეთის სწავლება შესთავაზა, ბიჭმა სიხარულისაგან კინაღამ ჭკუა დაკარგა. მან დედას სთხოვა, მისთვის თმები ჯერის მსგავსად გაეუფერულებინა და წითელი ტანსაცმელი ეყიდა. სწორედ მაშინ გასინჯა ვინსმა პირველად სიგარა, რომელსაც დღემდე ტუჩიდან არ იშორებს.

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მამას შვილის გატაცება სულაც არ მოეწონა, რესლერების ზეგავლენისაგან მისი დაცვა მოინდომა და ვირჯინიის სამხედრო სასწავლებელში მიავლინა. ძნელადაღსაზრდელმა ბიჭმა თავი იქაც გამოიჩინა და გამოსაშვები ცერემონიალის ჩაშლის მცდელობისათვის ტრიბუნალზე მოხვდა, თუმცა, საბოლოოდ გამართლდა. ეს პირველი სასამართლო პროცესი იყო მრავალთაგან, რომლებიც ვინსენტ მაკმაჰონს მოუგია.

16 წლის ვინსს 13 წლის ლინდა ედვარდი შეუყვარდა და, მიუხედავად იმისა, რომ მამა ოჯახის ნაადრევად შექმნას უკრძალავდა, თავისი გაიტანა და სამი წლის შემდეგ, კოლეჯის მეორე კურსზე სწავლისას დაქორწინდა. სწორადაც მოიქცა - ისინი დღემდე სიამტკბილობით ცხოვრობენ. ლინდას მშობლების გაცნობისას ვინსი მიხვდა, როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი ოჯახი.

### წარმატებული დასაწყისი

კოლეჯის დამთავრების და მარკეტინგის სპეციალისტის დიპლომის მიღების შემდეგ ვინსმა პრომოუტერობა ისურვა, მაგრამ მამამ ხელის უფრო მშვიდი საქმიანობისათვის მოკიდება ურჩია. მანაც დაუჯერა და კალკულატორებითა და ნაყინის შესაფუთით ვაჭრობას შეუდგა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამგვარი საქმიანობა მაკმაჰონს მალე მობეზრდა და კვლავ მამას მიაშურა, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, დაყაბულდა და 1972 წელს თავისი სამოქმედო არეალის ყველაზე მიყრუებულ ადგილას, ბანგორში მიავლინა. ვინსის წინაშე თითქმის გადაუჭრელი ამოცანა იდგა: ამ ტერიტორიიდან შემოსავალი უნდა გაეზარდა, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებდა, მამა კვლავ კალკულატორებით სავაჭროდ მიავლენდა.

ვინსი საქმეს გულმოდგინედ შეუდგა. პირველ რიგში, მან მიზნად რესლინგის ქვის ხანიდან გამოყვანა განიზრახა და რეკლამისა და პრომოუშენისათვის მეტი ფული გამოყო. გარდა ამისა, მან ბრძოლებში საინტერესო ეფექტების ჩართვა და რესლერების იმიჯის გამოყენებაზე ლიცენზიების გაყიდვა გადაწყვიტა.

შედეგმა არ დააყოვნა, ვინსმა გვარიანი შემოსავალი მიიღო და 5 ათასი მაყურებლის ტევადობის დარბაზი შეიძინა, რომელსაც, რესლინგის გარდა, როკ-კონცერტებისა და სხვა ღონისძიებებისათვის იყენებდა და კიდევ მეტ ფულს იჯიბავდა. მიღებულ შემოსავალს იგი თავისი გავლენის გაფართოებას ახმარდა და მალე მამამისის მიერ დაარსებული კომპანია WWF (World Wresling Federation) ისეთივე განთქმული მარკა გახდა, როგორებიც Coca-Cola და McDonald's იყო.

70-იანი წლების ბოლოს მაკმაჰონ უფროსმა პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა და შვილს დიდი ჯაფა დაადგა, რომ მამა დაერწმუნებინა, კომპანია მისთვის მიეყიდა. მამაშვილი საბოლოოდ 1982 წელს შეთანხმდნენ, თუმცა გარიგების ღირებულებას ვინსი დღემდე საიდუმლოდ ინახავს.

### ამერიკელი აგრესორი

მას შემდეგ, რაც საქმე ხელში ჩაიგდო, ვინსმა გადაწყვიტა, მრავალ ორგანიზაციად დახლეჩილი რესლინგი თავის იმპერიაში გაემთლიანებინა. რეგიონული ფედერაციების ნაწილი შეიძინა, სხვებზე კი მკაცრი ზეწოლა განახორციელა და გავლენის არეალი შეუზღუდა. საბოლოოდ, მისმა აგრესიულმა მეთოდებმა ნაყოფი გამოიღო და WWF -ი აშშ-ს რესლინგის მონოპოლისტი გახდა.

რესლინგის პოპულარიზაციისათვის მაკმაჰონი მაყურებლებს გამუდმებით ახალ, არაორდინალურ მებრძოლებს წარუდგენდა. გარდა ამისა, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლებს მოელაპარაკა და რესლერები კინოფილმებსა და კლიპებში გადააღებინა, პოპულარულ გამოცემებს კი გარეკანზე მებრძოლთა ფოტოების დაბეჭვდის სანაცვლოდ დიდ ფულს უხდიდა. შედეგმაც არ დააყოვნა, 80-იანი წლების ბოლოს რესლინგის საცქერად უამრავი ხალხი დადიოდა და მაკმაჰონი დიდძალ შემოსავალს იღებდა.

მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში სტეროიდულმა სკანდალმა რესლინგის პოპულარობა დასცა. WWF-ი მებრძოლთათვის კუნთების გასაზრდელი აკრძალული პრეპარატების მიცემაში დაადანაშაულეს. ამერიკელები განრისხდნენ, როცა გაიგეს, რომ მათი კერპები სტეროიდებს იყენებდნენ.

მოკლედ, მაკმაჰონი მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. თანაც, განთქმული მედია-მაგნატის, მილიარდერ ტედ ტერნერის სახით მას სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. ტერნერმა კარგად იცოდა, რომ რესლინგით დიდი ფულის გაკეთება შეიძლებოდა და თავდაპირველად მაკმაჰონს WWF-ის გაყიდვა შესთავაზა. ხოლო როცა უარი მიიღო, საკუთარი ფედერაცია WCW (World Championship Wresling) დააარსა და მაკმაჰონისაგან საუკეთესო მებრძოლების გადაბირებას შეუდგა.

ტერნერი WCW-ს პოპულარიზაციას მაკმაჰონისეული მეთოდებით ცდილობდა და შედეგსაც იმკიდა, მაგრამ მედია-მაგნატისათვის რესლინგი უზარმაზარი იმპერიის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო, ვინსისათვის კი იგი ცხოვრების ნაწილი გახლდათ. ამიტომაც, როცა სტეროიდული სკანდალი ჩაცხრა, 90-იანი წლების მეორე ნახევარში WWF-მა არა მარტო ლიდერობა დაიბრუნა, არამედ ახალ დონეზეც გავიდა.

გასული საუკუნის ბოლოს WWF-ი ნამდვილ სავაჭრო მარკად იქცა. ბრძოლების მოწყობისა და ტელეგადაცემების გადაღების გარდა, ორგანიზაციამ გამოუშვა საკუთარი ჟურნალ-გაზეთები, ჩანაწერები, რესლერთა თოჯინები, საფირმო ტანსაცმლის კოლექცია, გახსნა რამდენიმე კაფე და რესტორანი. 1999 წელს WWF-ი სააქციო საზოგადოებად გადაკეთდა, აქციების 77 პროცენტი მაკმაჰონის მფლობელობაში დარჩა, დანარჩენი კი ბირჟაზე თავისუფალ გაყიდვაში გავიდა.

### საპნის ოპერების რეჟისორი

მაკმაჰონის მიერ თავისი კომპანიის გარეკლამებისათვის გაკეთებული ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სვლა გახლდათ ყველასათვის ისედაც კარგად ცნობილი, მაგრამ მაინც საიდუმლოდ მიჩნეულის საჯაროდ გაცხადება, რომ რესლინგი სპორტი არ არის, რადგან ორთაბრძოლის შედეგი წინასწარაა ცნობილი.

და მაშ, რა არის რესლინგი, თუ არა სპორტი? მაკმაჰონის აზრით, ტერმინს მნიშვნელობა არ აქვს და თავისუფლად შეგვიძლია, რესლინგს თოკ-შოუ, სპექტაკლი, ან კიდევ სერიალი მამაკაცებისათვის ვუწოდოთ. ამ ლოგიკით, რესლერები - საპნის ოპერის მსახიობები, თავად ვინსი კი რეჟისორი გამოდის. უფრო სწორად, მთავარი პროდიუსერი, ან რაღაც ამგვარი, რადგან მაკმაჰონი, კარგა ხანია, სარეჟისორო საქმიანობას ჩამოშორდა. ამჟამად WWF-ში უამრავი სცენარისტი და რეჟისორი მუშაობს, რომლებიც რესლერთა დამაინტრიგებელ გამოსვლებს, ბრძოლის მიმდინარეობას იგონებენ და დგამენ.

ცოტა ხანს რინგზე თავად მაკმაჰონიც გამოდიოდა. ეს 1997 წელს მოხდა, როცა WWF-ს და WCW-ს შორის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია და მაყურებლის მისაზიდად ყველაფერი უნდა გაეკეთებინა. მანაც მრისხანე, პატიოსანი რესლერების მჩაგვრელი ბოსის უარყოფითი როლი შეასრულა, მშვენივრად იბრძოლა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

მან ტედ ტერნერთან დაპირისპირებაც სარეკლამო მიზნებისათვის გამოიყენა და მას საჯაროდ რინგზე შებრძოლება შესთავაზა. ცხადია, მედიამაგნატმა გამოწვევა არ მიიღო და ვინსმა სხვაგვარი ტრიუკი მოიფიქრა: იმ პერიოდში WWF-ის ჩემპიონატში ჩაება მავანი კოლორიტული მებრძოლი, მეტსახელად მილიარდერი ტედი, რომელსაც მაკმაჰონი პირადად შეებრძოლა და, ცხადია, დაამარცხა.

უნდა ითქვას, რომ მაკმაჰონის მთელი ოჯახი მის ბიზნესში აქტიურადაა ჩართული. მეუღლე ლინდა შვილობილი კომპანია TitanSports-ის პრეზიდენტია, ვაჟ შეინს WWF-ში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამდებობა უკავია და ზოგჯერ რინგზეც გამოდის, გოგონა სტეფანი კი რეკლამისა და მარკეტინგის განყოფილებაში მოღვაწეობს. მოკლედ, ამ მხრივაც ყველაფერი ისეა, როგორც საპნის ოპერაში.

## აშშ-ს ბირჟაზე კლებაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა ნავთობის ფასის ზრდამ და ამერიკის სავაჭრო ბალანსის დეფიციტის გაზრდის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი გახლდათ ცნობა ევროკავშირის მიერ Microsoft-ის დაჯარიმების შესახებ.

საბოლოოდ, Dow Jones Index-ი 0,08 პროცენტით, 11.125,89 პუნქტამდე შემცირდა. 0,4 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index- მა 2.120,41 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,09 პროცენტით, 1.271,32 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობის გაძვირება გრძელდება

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 73,86 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 74,4 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

"შავი ოქროს" გაძვირების მიზეზი გახდა აშშ-ში ნედლი ნავთობის მარაგის შემცირების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. გარდა ამისა, ნავთობის ბირჟებზე მიმდინარე მოვლენებზე გავლენა მოახდინა ევროკავშირსა და ირანს შორის წარუმატებლად დასრულებულმა მოლაპარაკებამ და, საერთოდ, მსოფლიოში არსებულმა რთულმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ.

## ჩინეთმა ყაზახური ნავთობი მიიღო

გუშინ ყაზახეთსა და ჩინეთს შორის არსებული პირველი პირდაპირი ნავთობსადენი ამოქმედდა. მისი მეშვეობით საწვავი ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სინძიან უიგურის რაიონს მიეწოდა. ნავთობსადენის სიგრძე 960 კმ-ია და მისი მშენებლობა 700 მილიონი დოლარი დაჯდა. ჩინურმა კომპანია CNPC-მ და ყაზახურმა "კაზმუნაიგაზმა" იგი ჯერ კიდევ 2005 წლის ნოემბერში დაამთავრეს, მაგრამ კომერციულ ექსპლოატაციაში მხოლოდ ახლა შევიდა.

კონტრაქტის მიხედვით, ამ ნავთობსადენით ჩინეთს წელიწადში 20 მილიონ ტონამდე ნავთობი უნდა მიეწოდოს, რაც შარშან იმპორტირებული "შავი ოქროს" რაოდენობის 15 პროცენტს შეადგენს. 2005 წელს ჩინეთმა სულ 127 მილიონი ტონა ნავთობი შეისყიდა, რომლის უდიდესი ნაწილი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მიიღო და მხოლოდ 1,3 მილიონი ტონა - ყაზახეთიდან. ახალი ნავთობსადენი ორივე

მხარისათვის ძალიან მომგებიანია, ჩინეთს იგი ენერგოდეფიციტის თავიდან აშორების საშუალებას მისცემს, ყაზახეთს კი გრძელვადიანი ბაზრით უზრუნველყოფს.

## ძვირფასი ლითონების ფასმა მოიმატა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 2,7 პროცენტით, 643,1 დოლარამდე გაძვირდა, რაც ბოლო ხუთი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. ამის მიზეზი მსოფლიოში არსებული მძიმე გეოპოლიტიკური ვითარება გახლავთ. როგორც მოგეხსენებათ, დაძაბულობის ჟამს ოქრო საუკეთესო საინვესტიციო საშუალებაა. გარდა ამისა, ოქროს გაძვირებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინდოეთის საქმიან ცენტრ მუმბაიში განხორციელებულმა ტერაქტმა და დოლარის კურსის ვარდნამ.

ზემოთ აღნიშნულმა ფაქტორებმა და ოქროს ბაზარზე განვითარებულმა მოვლენებმა გავლენა მოახდინა სხვა ძვირფასი ლითონების გაძვირებაზეც. კერძოდ, ვერცხლის ფასმა 4 პროცენტით მოიმატა და 11,55 დოლარი/უნცია შეადგინა, პლატინა 1,9 პროცენტით, 1254 დოლარი/უნციამდე გაძვირდა, პალადიუმის ფასმა კი 1,6 პროცენტით, 329 დოლარი/უნციამდე მოიმატა.

ფასების ზრდა დაფიქსირდა ფერადი ლითონების ბაზარზეც. კერძოდ, 1 ტონა სპილენძის ფასმა 8025 დოლარს მიაღწია, რაც ბოლო ხუთი კვირის განმავლობაში მაქსიმალური მაჩვენებელია, ნიკელი კი ისტორიულ მაქსიმუმამდე - 26000 დოლარი/ტონამდე გაძვირდა.

## აშშ-ს ბიუჯეტის დეფიციტი შემცირდა

ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ მიმდინარე ფინანსურ წელს, რომელიც 2006 წლის 20 სექტემბერს მთავრდება, ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტი 296 მილიარდი დოლარი იქნება და არა ადრე ნავარაუდევი 430 მილიარდი დოლარი. დეფიციტის ამგვარ, 30-პროცენტიან შემცირებას პრეზიდენტის ადმინისტრაცია 2001 და 2003 წლებში გადასახადების შემცირებისაკენ მიმართული რეფორმებით ხსნის. "გადასახადების შემცირებით ამერიკელ მშრომელებს და ბიზნესის წარმომადგენლებს დაახლოებით 1,1 ტრილიონი დოლარი დაეზოგათ, რაც მათ ეკონომიკის განვითარებას მოახმარეს," - აღნიშნა ბუშმა.

უნდა ითქვას, რომ 2005 წელთან შედარებით ბიუჯეტის დეფიციტი უმნიშვნელოდ, სულ რაღაც, 20 მილიარდი დოლარით შემცირდა, რისი მიზეზიც ერაყულ სამხედრო კამპანიაზე დიდძალი დანახარჯები და მექსიკის ყურეში ქარიშხლები გახლავთ. მიმდინარე ფინანსური წლის პირველი 8 თვის განმავლობაში აშშ-ს ბიუჯეტის დეფიციტმა 226,97 მილიარდი დოლარი შეადგინა. მაისში სენატმა საშუალოშემოსავლიანი ოჯახებისათვის გადასახადები კიდევ ერთხელ შეამცირა, რითაც ქვეყნის ბიუჯეტს 70 მილიარდ დოლარამდე დააკლდება.

## "ჯიპიაი ჰოლდინგი" ავსტრიის უმსხვილესი სადაზღვევო ჯგუფის წევრი ხდება

"ჯიპიაი ჰოლდინგი" ევროპის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია - "ვენის სადაზღვევო ჯგუფის" (Wiener St dtische Versicherung AG) წევრი ხდება. "ვენის სადაზღვევო ჯგუფი" ევროპის უძველესი კერძო კომპანიაა, დღეს მისი რეიტინგია A+ (Standard & Poors).

**"მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ეკონომიკის ლიბერალიზაციას მოელიან, რაც ადგილობრივი ბაზრის სწრაფ ზრდას შეუწყობს ხელს... ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის ზრდის პირობებში სადაზღვევო მომსახურებას უდიდესი პოტენციალი გააჩნია. "ვენის სადაზღვევო ჯგუფი" აპირებს, სრულად გამოიყენოს ეს შესაძლებლობა..."** - ნათქვამია კომპანიის წლიურ ანგარიშში.

გიორგი კვირიკაძე: **"საქართველოში "ჯიპიაი ჰოლდინი" ერთადერთია, რომლის აქციონერიც ამ დონისა და რეიტინგის საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიაა. ამ კომპანიის გამოცდილება და ფინანსური რესურსი უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი კომპანიის განვითარებისთვის. ამასთან, ეს თანამშრომლობა პირდაპირ აისახება ჩვენი პროდუქტების მრავალფეროვნებასა და ხელმისაწვდომობაში, რასაც მომხმარებელს უახლოეს მომავალში შევთავაზებთ."**

**"ჯიპიაი ჰოლდინგის" შესახებ:** "ჯიპიაი ჰოლდინგი" დაარსდა 2000 წელს, როგორც პირველი კერძო საპენსიო ფონდი საქართველოში. "ჯიპიაი ჰოლდინგისთვის" პრიორიტეტია ქვეყანაში სოციალური დაზღვევის განვითარება. გასული რამდენიმე წელია, ამ მიმართულებით, კერძოდ, საპენსიო და ჯანმრთელობის დაზღვევაში "ჯიპიაი ჰოლდინგი" ბაზარზე ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს. ამავდროულად, ბაზრის დიდი წილი უკავია ისეთ სახეობებში, როგორიცაა ავტოდაზღვევა, ქონებისა და პასუხისმგებლობის დაზღვევა. 2006 წლის I კვარტლის მონაცემებით, "ჯიპიაი ჰოლდინგი" I ადგილზეა მოზიდული პრემიების მიხედვით.

**"ვენის სადაზღვევი ჯგუფის" შესახებ:** "ვენის სადაზღვევო ჯგუფი" შეიქმნა 1824 წელს და წარმოადგენდა სიცოცხლის დაზღვევის პირველ კომპანიას ავსტრიაში. 1990-იანი წლების დასაწყისიდან კომპანია გლობალური ხდება და აქტიურ მუშაობას იწყებს როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ევროპაში. დღეს ამ ჯგუფის წევრი 17 კომპანიაა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. "ვენის სადაზღვევო ჯგუფი" ერთ-ერთი უმსხვილესია ევროპაში, რეიტინგით A+ (Standard&Poors). დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებგვერდზე: www.wienerstaedtische.at

*24 საათი*

## ბანკი "რესპუბლიკა" სტუდენტური სესხების გაცემას იწყებს

გუშინ, სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" ბანკ "რესპუბლიკის" ახალი საკრედიტო პროდუქტის - "სტუდენტური სესხების" პრეზენტაცია გაიმართა. ბანკ "რესპუბლიკის" ინიციატივით საქართველოში უპრეცედენტო პროგრამა - ქართველი სტუდენტების სწავლების დაფინანსება განხორციელდება.

სწავლებისათვის გამოყოფილი სესხები სამი მიმართულებით გაიცემა. სტუდენტები რეიტინგის მიხედვით დაფინანსდებიან.

- პირველ რეიტინგში მოხვედრილი სტუდენტებისთვის - 14%
- მეორე რეიტინგში მოხვედრილი სტუდენტებისათვის - 16%
- მესამე რეიტინგში მოხვედრილი სტუდენტებისათვის - 18%

აღსანიშნავია, რომ სწავლის პერიოდში სტუდენტები არაფერს იხდიან, ხოლო სესხის გაცემა სტუდენტებისთვის ხელსაყრელი პირობით ხდება.

"სტუდენტური სესხების" პროგრამა ხელს შეუწყობს განათლების სისტემის გაუმჯობესებასა და სტუდენტების პოტენციალის გამოვლენას.




## ამინდი

| | 13/07 | 14/07 | 15/07 |
|---|---|---|---|
| კიევი | 31 | 31 | 27 |
| რიგა | 28 | 23 | 16 |
| ვილნიუსი | 31 | 27 | 15 |
| მოსკოვი | 35 | 31 | 32 |
| მინსკი | 38 | 35 | 21 |
| პარიზი | 27 | 25 | 26 |
| რომი | 33 | 33 | 33 |
| ლონდონი | 23 | 23 | 24 |
| მადრიდი | 31 | 31 | 32 |
| ბონი | 29 | 25 | 27 |
| ვარშავა | 33 | 31 | 22 |
| ათენა | 28 | 31 | 30 |
| ბერნი | 30 | 27 | 27 |
| ამსტერდამი | 21 | 20 | 21 |
| ოსლო | 20 | 20 | 23 |
| ანკარა | 31 | 28 | 33 |
| ვარნა | 30 | 32 | 33 |
| დელი | 40 | 43 | 46 |
| ტოკიო | 39 | 38 | 36 |
| კოპენჰაგენი | 23 | 20 | 22 |
| ბაქო | 33 | 33 | 35 |
| ერევანი | 38 | 41 | 38 |
| ასტანა | 23 | 24 | 25 |
| ჰელსინკი | 23 | 17 | 20 |
| დუბლინი | 20 | 21 | 21 |
| ლისაბონი | 36 | 36 | 36 |
| პრაღა | 30 | 28 | 26 |
| სოფია | 26 | 23 | 27 |
| ბუდაპეშტი | 33 | 33 | 28 |
| ბუხარესტი | 30 | 33 | 35 |

# "დატყვევებული ტრაქტორები" და ფარულად ჩატარებული კონკურსი

პირველი გვერდიდან

**"დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ვრცელი პროგრამა დავიწყეთ. მინდა, საქართველოში ტრაქტორების რაოდენობა უახლოეს წლებში გაორმაგდეს. რამდენიმე კვირის წინ კი კახელებს დავპირდი, რომ მათ ტრაქტორებს გადავცემდი და დაპირებას ვასრულებ კიდეც,"** - ეს განცხადება აპრილის თვეში პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა წეროვანში, ბელორუსიდან შემოტანილი ტრაქტორების პრეზენტაციაზე გააკეთა.



*კახელი გლეხები ტენდერის შედეგებით უკმაყოფილოები არიან.*

პრეზიდენტი კახელებს ტრაქტორებით დახმარებას მაშინ დაჰპირდა, როდესაც წინანდლელმა ვაჟა ნიკოლეიშვილმა მიხეილ სააკაშვილს კახეთში სტუმრობისას შესჩივლა, რომ რეგიონი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმცირეს განიცდიდა. თუმცა ამჯერად ბატონი ვაჟა პრეზიდენტის დანაპირებით უკმაყოფილოა. ამის მიზეზი ისაა, რომ ტრაქტორები, რომელსაც სააკაშვილმა სოფლის მოსახლეობისთვის საჩუქარი უწოდა, ფასიანი აღმოჩნდა. თანაც, იმაზე მეტი ღირებულების, ვიდრე ეს, გლეხზე რომ არაფერი ვთქვათ, ფერმერებს წარმოედგინათ.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს "ნაციონალური პროგრამით" შემოყვანილი 150 ტრაქტორი, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, კახეთის რეგიონს უნდა გადასცემოდა, თუმცა სამინისტრომ რეგიონში მხოლოდ 53 ტრაქტორი გაგზავნა და მათი ბედი დღემდე გაურკვეველია (მანამდე ტრაქტორები პოლიციის ეზოში არიან დატყვევებული). პროექტი კი, რომელიც იაპონური გრანტის საშუალებით განხორციელდა, მიზნად კახეთში სერვისცენტრების გახსნას ითვალისწინებს. პირობები, როგორც ფერმერები ამბობენ, კაბალურია. მაგალითად, გამარჯვებული ვალდებულია, კონკურსის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში უზრუნველყოს "ბეს" გადახდა, რომელიც საქონლის ღირებულების 20 პროცენტს შეადგენს, ხოლო განვადება 4-წლიანია. დედოფლისწყაროელ ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის ზურაბ თეთვაძისთვის სწორედ ეს უკანასკნელი პირობაა მიუღებელი. **"მე ამერიკაში და გერმანიაში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი. განვითარებულ ქვეყნებში ფერმერული მეურნეობის განვითარებისთვის 20-50 წლიანი განვადებაა. ნუთუ ჩვენ უფრო ძლიერი ქვეყანა ვართ?"** - კითხულობს ზურაბ თეთვაძე.

კონკურსის თანახმად, კერძო ან იურიდიული პირი ტრაქტორს ვერ შეიძენს, თუ თან კომბაინს, გუთანს, დისკებიან ფარცხს, როტარულ ფრეზს და ლაფეტსაც არ გააყოლებს. ეს ყველაფერი კი ლოტებად არის დაყოფილი, რომლის საერთო ღირებულება 165 ათას 782 ლარიდან 224 ათას 975 ლარამდე მერყეობს.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ტექნიკაზე სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კონკურსი ჯერ კიდევ მაისის თვეში გამოაცხადა. გამარჯვებული ფერმერები და ფირმები კი 20 ივნისს უნდა გამოეცხადებინათ, მაგრამ საუკეთესო პროექტის ავტორები სამინისტრომ არაოფიციალურად გუშინ გამოავლინა. იმ კახელებს, რომლებიც ამ კონკურსში იღებდნენ მონაწილეობას, დოკუმენტები დაუწუნა, უპირატესობა კი ისეთ ფირმებს მიანიჭა, რომელთა არსებობაც თვით რაიონის გამგებლებისთვისაც უცნობია. კახელი ფერმერი რომ ამ ტექნიკას სიძვირის და პირობების გამო ვერ შეიძენდა, ამაზე რაიონის თავკაცები პირად საუბარში ამბობენ. ოფიციალური კომენტირებისგან კი თავს იკავებენ. გარდა ამისა, მათი საუბრიდან ისიც ირკვევა, რომ იმ ფირმებმა, რომლებიც ამ კონკურსში იღებდნენ მონაწილეობას და გამარჯვებულებადაც სცნეს, ამის შესახებ წინასწარ იცოდნენ.

ერთადერთი, ვინც კონკურსში გამარჯვებულების ვინაობა გუშინ გაიგო, დედოფლისწყაროელი ფერმერი ზაქრო გოგილაშვილია. იგი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ჩატარებულ კონკურსს ფარსს უწოდებს. **"მე ყველანაირი დოკუმენტაცია მქონდა, მაგრამ არაფრად ჩამაგდეს. ხოლო ისეთ უცნობ ადამიანებს, რომლებსაც ფერმერობასთან საერთო არაფერი ჰქონდათ, კონკურსში გაამარჯვებინეს. ეს ფორმალობაა და მეტი არაფერი,"** - ამბობს ზაქრო გოგილაშვილი. ლოტში გათვალისწინებული ტექნიკა, როგორც თავად ამბობს, დედოფლისწყაროსთვის "წამალია".

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იაპონური საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ტრაქტორები ვენახებისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ, როგორც გაირკვა, "ბელორუსის" მარკის მიწის დასამუშავებელი ტექნიკა იმდენად დიდია, რომ ვენახის დამუშავება შეუძლებელია. **"როცა ტექნიკა შემოიტანეს, მითხრეს, თუ სურვილი მექნებოდა, შემეძინა. მაგრამ მე ამ შემოთავაზებაზე უარი ვთქვი, რადგან ეს ტრაქტორი ვენახებში სამუშაოდ არ ივარგებდა, დიდია. ეს ტრაქტორები შეიძლება ნაკვეთების დასამუშავებლად გამოიყენონ,"** - მიაჩნია ბიზნესმენ გურამ ბერიკაშვილს.

"პრეზიდენტის საჩუქარი" რომ სოფლის მოსახლეობისთვის ძვირ სიამოვნებას წარმოადგენდა და ეს პროექტი კახეთში ვერ გაამართლებდა, ამაზე თავიანთი აზრი გამგებლებმა პრეზიდენტის რწმუნებულს კახეთში პეტრე ცისკარიშვილსაც გაანდეს. მიუხედავად ამისა, ცისკარიშვილი დარწმუნებულია, რომ იაპონური გრანტი გაამართლებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში გუშინ ჩატარებული კონკურსის შესახებ კომენტარებს ჯერ არ აკეთებენ. არადა, პრეზიდენტმა სააკაშვილმა წეროვანში გამართულ ტრაქტორების პრეზენტაციაზე განაცხადა, რომ ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს და იგი პრივილეგიას არავისთვის არ უნდა წარმოადგენდეს.

**"ვის ატყუებენ, ვერ ვიგებ. ნუთუ პრობლემა მხოლოდ ტრაქტორების ჩამოტანა იყო? იმხელა თანხის გადახდას, "ნაჩუქარ" ტრაქტორებს რომ დაადეს, ვინ შეძლებს, თუნდაც ოცნი გავერთიანდეთ!? ჩვენი პრეზიდენტი ყოველდღე გამოდის და აცხადებს: სოფლის მეურნეობის აღორძინება დაიწყოო.... თვალებში ნაცარს გვაყრიან. ქვეყანა იღუპება და ესენი კიდევ ვერ ხვდებიან, ან არ უნდათ, რომ მიხვდნენ. მთელი მიწები დაუმუშავებელია, რომელ აღორძინებაზე ლაპარაკობენ. მოსავალი, ჯერ იყო და, სეტყვამ გაანადგურა, ახლა სიცხისაგან იწვება. თუ რამე გადარჩა, ახლა მის რეალიზაციაზე გაგვიშრობენ სისხლს,"** - ამბობს სიღნაღელი ვალა ბატიაშვილი.

## ელექტროსისტემის ქსელში მასშტაბური სამუშაოები ჩატარდა

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ (სსე) ქსელების სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების შედეგები შეაჯამა.

საქართველოს ენერგოსისტემის 500 კვტ-იან ქვესადგურებში სსე-ს გერმანული განვითარების ბანკის (KfW) დახმარებით ტარდება მსხვილი სარეკონსტრუქციო პროგრამა, რომელიც მოიცავს სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ენერგოსისტემის სამ ძირითად 500 კვტ-იან ქვესადგურში: "დიდი ზესტაფონი," "ქსანი," "გარდაბანი," დღეისათვის შესრულებულია შემდეგი მოცულობის სარეაბილიტაციო სამუშაოები: ქ/ს "დიდ ზესტაფონში" დაყენებულია ახალი პორტალები, მიმდინარეობს ასალტვა და ახალი დამიწების კონტურის მოწყობა; 98%-ით დასრულებულია ახალი საკონტროლო მართვის ფარის შენობის სამშენებლო ნაწილი და დასრულების ფაზაშია მეორადი კომუტაციის ნაწილი.

რაც შეეხება ელექტროგადამცემ ხაზებს, თემურ შონიას თქმით, ენერგეტიკის სამინისტროს დაფინანსებით ჩატარდა სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ექვს 220 კვტ-იან ელექტრო-გადამცემ ხაზზე, მათ შორის: 220-კილოვოლტიან ხაზებზე: "ურბნისი", "ველი I", "არაგვი I", "ლიახვი", "სურამი" და "კოლხიდა I". ჩატარებული სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ 8,3 მილიონზე მეტი ლარი შეადგინა.

220-კილოვოლტიან გადამცემ ხაზებზე "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" დაამონტაჟა ახალი სადენი (154,5 კმ), ახალი იზოლატორები (43 548 ცალი), მეხამრიდი გვარლი (2,52 ტონა), დაამონტაჟა ახალი ვიბროჩამქრობები (215 ცალი), სახაზო არმატურა (410 კომპლექტი); შეაკეთა 12 გაძარცვული ანძა; დაამონტაჟა 19 ახალი ანძა თავისი ახალი საძირკვლებით.

ფორსმაჟორული ბიუჯეტით (ენერგეტიკის სამინისტროს დახმარებით), ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები ორ - 220 და ორ 110 კვტ-იან ხაზებზე: 220 კვ ე.გ.ხ. "ალგეთი", 20 კვ ე.გ.ხ. "ველი I", 110 კვ ე.გ.ხ. "დარიალი" და 110 კვ ე.გ.ხ. "ხუდონი". ჩატარებული სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1 931 907 ლარი.

რაც შეეხება მაღალი ძაბვის მოწყობილობებს, თემურ შონიას ინფორმაციით, მსოფლიო ბანკის, გერმანული განვითარების ბანკის (KfW) და ენერგეტიკის სამინისტროს დახმარებით სსე-მ შეიძინა: 23 ცალი მაღალი ძაბვის თანამედროვე ელეგაზური ამომრთველი პოლიმერული იზოლაციით; 42 ცალი მცლელი პოლიმერული იზოლაციით; 9 თანამედროვე ტიპის დახურული სააკუმულატორო ბატარეა (220 და 110 კვტ-იანი) და 9 მაღალი ძაბვის გამთიშველი. ქსელში მათი მონტაჟი ამჟამადაც მიმდინარეობს. **ინტერპრესნიუსი**

## Puma-მ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო

მაშინ, როცა ფინალურ შეხვედრაზე, იტალიამ საფრანგეთს მოუგო და შესაბამისად მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა, იტალიელებზე არანაკლებად კომპანია Puma AG.-მაც გაიხარა. გამარჯვებული გუნდის წევრების ჩაცმულობაზე სწორედ, რომ სპორტული ტანსაცმლის გერმანული მწარმოებელი ზრუნავდა. Adidas AG.-ისა და Nike Inc-ის შემდეგ კომპანია Puma AG. საფეხბურთო ინვენტარის წარმოებაში მესამე კომპანიაა. ჩემპიონატის მსვლელობისას, ერთი თვის განმავლობაში, გაცხარებული ბრძოლა არამარტო საფეხბურთო გუნდებს, არამედ ცნობილ ბრენდებს შორისაც მომდინარეობდა. თავიდან განსაკუთრებულ უპირატესობას კომპანია Adidas-ი ფლობდა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორი გახლდათ. Nike და Puma კი როგორც მთლიან გუნდების, ასევე ცალკეული მოთამაშეების ჩაცმულობაზე ზრუნავდა. ქულების რაოდენობით Puma-მ ყველა კონკურენტი ჩამოიტოვა. კომპანიამ 12 ქვეყნის საფეხბურთო გუნდების ჩაცმულობაზე იზრუნა, Nike-მა ოთხით ნაკლებზე, ხოლო Adidas-მა კიდევ უფრო ნაკლები გუნდი დაასპონსორა.

საბოლოო ჯამში, წაგებულ კომპანიებს შორის აღმოჩნდა Adidas. ის ფრანგული ნაკრების ჩაცმულობაზე ზრუნავდა. კომპანია Puma-ს აღმასრულებელი დირექტორი იოხენ ცაიტცს მიაჩნია, რომ მისმა ბრენდმა ძალიან ძლიერი იმპულსი მიიღო. "ნახევარი წლის მანძილზე ჩვენი საფეხბურთო ბიზნესი 40%-ით გაიზარდა. ჩემი აზრით ეს ცუდი დასაწყისი არ უნდა იყოს."- განაცხადა Puma-ს წარმომადგენელმა.

სავსებით შესაძლებელია, რომ კომპანია Puma-ს წარმატება პელემაც მოუტანა. ცნობილმა ფეხბურთელმა კომპანიის სატელევიზიო რეკლამაში წელსაც მიიღო მონაწილეობა. 1970 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე პელე სათამაშო მოედანზე Puma-ს ბოტასებით გამოჩნდა და მაშინ ბრაზილიამ ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა.

# უმუშევრობა 3 პროცენტით შემცირდება

მთავრობის მიერ შემუშავებულ განვითარების 2006-2010 წლების საშუალოვადიან გეგმაში უმუშევრობის დონის 3 პროცენტით შემცირებაა გათვალისწინებული. როგორც ექსპერტები აცხადებენ, ეს, ძირითადად, ეკონომიკური ზრდის ხარჯზე განხორციელდება. ოფიციალური სტატისტიკით, 2005 წელს (ცხრა თვის მონაცემების მიხედვით) ქვეყნის ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობამ 1737.7 ათასი კაცი შეადგინა. დასაქმებულთა 34.0 პროცენტი დაქირავებით იყო დასაქმებული, ხოლო 66.0 პროცენტი კი - თვითდასაქმებული.

2005 წელს უმუშევართა რაოდენობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასების მკაცრი კრიტერიუმის მიხედვით, 6.9 პროცენტით გაიზარდა და 277.8 ათასი კაცი შეადგინა. შერბილებული კრიტერიუმის მიხედვით კი უმუშევარი იყო 334.4 კაცი, რაც 3.7 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. სპეციალისტთა განმარტებით, უმუშევრობის დონე მკაცრი კრიტერიუმით 13.8 პროცენტს, ხოლო შერბილებული კრიტერიუმით 16.1 პროცენტს გაუტოლდა, რაც აიხსნება იმით, რომ შერბილებული კრიტერიუმით უმუშევრად ითვლება დაუსაქმებელ ადამიანთა უფრო ფართო წრე. აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ საჯარო მოხელეთა რიცხვი გასულ წელს შემცირდა დაახლოებით 40 ათასი კაცით, ხოლო უმუშევართა რიცხვმა დაახლოებით 20 ათასი კაცით მოიმატა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# საქართველოს საგადამხდელო ბალანსის ანგარიში უარყოფითია

საქართველოს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიში უარყოფითია და მან 2006 წლის პირველ კვარტალში 193,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს კვლავ განაპირობებს საქონელი, სადაც იმპორტი თითქმის ორჯერ ჭარბობს ექსპორტს. მისი დანარჩენი კომპონენტების (მომსახურება, შემოსავლები და მიმდინარე ტრანსფერები) სალდო დადებითია.

2006 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ექსპორტი 32,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო იმპორტი - 46,0%-ით, რის შედეგადაც საქონლით ვაჭრობის დეფიციტი გაიზარდა 64,1 პროცენტით და 349,4 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია.

პირველ კვარტალში ძირითად საიმპორტო საქონელს ნავთობპროდუქტები ნავთობის აირების ჩათვლით, მსუბუქი ავტომობილები და სამკურნალო საშუალებები წარმოადგენს. საექსპორტო საქონელია ყურძნის ნატურალური ღვინოები, ფეროშენადნობები, თხილი, კაკალი და შავი ლითონების ჯართი. ექსპორტში ასევე მნიშვნელოვანი წილი უჭირავს მინერალურ წყლებსა და ოქროს (ნახევრად დამუშავებული ან დაუმუშავებელი).

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოდან იმპორტირებული ყურძნის ნატურალური ღვინოებისა და მინერალური წყლების აკრძალვას, ეს ფაქტი მიმდინარე წლის მეორე კვარტლის საგადამხდელო ბალანსზე მოახდენს გავლენას.

*ინტერპრესნიუსი*

24 საათი C
© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:
ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

ინგლისელები ტრადიციას არ ღალატობენ



C2

„ტიფიანები“ თბილისში




C3

დაგვანგრიეთ და ეგაათ



C4

## 14 ნაბიჯით წინ

გუშინ ფიფამ ნაკრები გუნდების მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა. მართალია, ფიფას რეიტინგს ბევრი სერიოზულად არ აღიქვამს, მაგრამ მისი საშუალებით გარკვეულ კანონზომიერებაზე მაინც შეიძლება საუბარი.

საქართველოს ნაკრებმა 14 საფეხურთი წინ წაიწია. რა არის ამის მიზეზი, ძნელი სათქმელია. „ჯვაროსნები“ ბოლო ორ ამხანაგურ მატჩში დამარცხდნენ, მაგრამ მაინც სასიამოვნოა, რომ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ასეულში შეაბიჯა და ახლა რეიტინგში 87-ე ადგილს იკავებს.

ცხადია, საინტერესოა, თუ რა პოზიციაზე არიან საქართველოს ნაკრების მეტოქეები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. იტალიელებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგებით რეიტინგში მეორე საფეხურზე გადაინაცვლეს, საფრანგეთის ნაკრები მეოთხეა, უკრაინელები კი - მე-15. როგორც ხედავთ, კლაუს ტოპმიოლერის გუნდს მომავალ შესარჩევ ციკლში ოცეულის სამ გუნდთან მოუწევს დაპირისპირება.

**გთავაზობთ რეიტინგის პირველ ოც გუნდს და საქართველოს ნაკრების მეტოქეების პოზიციებს**

| | |
|---|---|
| 1. ბრაზილია | 1630 |
| **2. იტალია** | **1550** |
| 3. არგენტინა | 1472 |
| **4. საფრანგეთი** | **1462** |
| 5. ინგლისი | 1434 |
| 6. ჰოლანდია | 1322 |
| 7. ესპანეთი | 1309 |
| 8. პორტუგალია | 1301 |
| 9. გერმანია | 1229 |
| 10. ჩეხეთი | 1223 |
| 11. ნიგერია | 1149 |
| 12. კამერუნი | 1109 |
| 13. შვეიცარია | 1028 |
| 14. ურუგვაი | 985 |
| **15. უკრაინა** | **961** |
| 16. აშშ | 933 |
| 17. დანია | 927 |
| 18. მექსიკა | 924 |
| 19. პარაგვაი | 915 |
| 20. კოტ-დ'ივუარი | 909 |
| **41. შოტლანდია** | **677** |
| **69. ლიტვა** | **458** |
| **87. საქართველო** | **359** |
| **169. ფარერები** | **54** |

## კოკაის სამი გამარჯვება

რამდენიმე დღეა, რაც დაიწყო ივლისის ბაშო, რომელშიც ქართველი სუმოისტი ლევან ცაგურიაც მონაწილეობს. მაისის ბაშოს შემდეგ კოკაიმ რეიტინგი გაიუმჯობესა და ივლისის ტურნირს მეხუთე მაიგეშირას რანგში შეხვდა. თუ ქართველმა სუმოისტმა ივლისის ბაშოც დადებითი ბალანსით დაასრულა, რეიტინგში კიდევ უფრო წინ წაიწევს. ჯერჯერობით ამის ყველა წინაპირობა არსებობს. მართალია, კოკაისთვის პირველი ბრძოლა წარუმატებელი გამოდგა, მაგრამ ამის შემდეგ ქართველმა ზედიზედ სამი მეტოქე დაამარცხა და ახლა ლიდერთა ჯგუფშია. გუშინ ცაგურიას მეტოქე აღმოსავლეთის დივიზიონის მეშვიდე მაიგეშირა ჰოკუტორიკი იყო. კოკაიმ მეტოქეს ცუკიტოშის ილეთით მოუგო და ახლა მის აქტივში სამი გამარჯვებაა. ოთხივე ბრძოლა კი მხოლოდ 4 სუმოისტს აქვს მოგებული.

დღეს კოკაის მეტოქე იქნება მერვე მაიგეშირა ტოკიტენკუ, რომელსაც ივლისის ბაშოზე, კოკაის მსგავსად, სამი მოგება აქვს აქტივში.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში კოკაი მხოლოდ ერთხელ დაუპირისპირდა ტოკიტენკუს. ეს მოხდა 2005 წლის ნოემბრის ბაშოზე. მაშინ ქართველმა სუმოსიტმა გაიმარჯვა.

## საქართველოში ლიპის გარეშე

ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქე, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი იტალიის ნაკრები მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა.

გუშინ მარჩელო ლიპიმ ოფიციალურად განაცხადა, რომ ტოვებს თავის პოსტს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურთა თხოვნამ არ გაჭრა, მარჩელო ლიპიმ გადაწყვეტილება არ შეცვალა და ნაკრებიდან მაინც წავიდა.

„ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს ვაცნობე, რომ კონტრაქტის გაგრძელებას არ ვაპირებ. დარწმუნებული ვარ, ჩემს წინაშე დასახული მიზნები პირნათლად შევასრულე“, - აცხადებს მარჩელო ლიპი.

შეგახსენებთ: დონ მარჩელომ ჯერ კიდევ მუნდიალის დაწყებამდე განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში აღარ იმუშავებდა. მართალია, ტიტულის მოგების შემდეგ იტალიური ფეხბურთის მესვეურები გამარჯვებულ მწვრთნელს დარჩენას სთხოვდნენ და ერთხანს თითქოს ლიპიც გატყდა, მაგრამ გუშინ მწვრთნელმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო - დატოვა „სკუადრა აძურა“.

ამრიგად, საქართველოს ნაკრებს საკმაოდ სახეცვლილი იტალიის ნაკრების წინააღმდეგ მოუწევს თამაში. მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ლიპისთან ერთად ფრანჩესკო ტოტიც აპირებს გუნდის დატოვებას.

ჯერჯერობით უცნობია ვინ დაიკავებს მარჩელო ლიპის ადგილს. სავარაუდოდ, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ახალ მწვრთნელს უახლოეს ერთ კვირაში დანიშნავს.

# „ამერი“ ევროდებიუტისთვის მზადაა



საქართველოს ჩემპიონი უეფა-ს თასზე დებიუტს ელის.

მიხეილ აბაიშვილი

დღეს, საღამოს 8 საათზე, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შედგება თბილისის „ამერის“ დებიუტი ევროტურნირებში. მოგეხსენებათ, ამ გუნდმა გასულ სეზონში დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასი მოიგო, რისი წყალობითაც უეფას თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. დღევანდელ მატჩში „ამერის“ მეტოქე იქნება სომხეთის ჩემპიონატის პრიზიორი, ერევნის „ბანანცი“. ამ გუნდმა უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის „ლოკომოტივი“ გამოთიშა გათამაშებას. ასე რომ, „ამერს“, თავის კონკრეტულ ამოცანასთან ერთად, ქართული საკლუბო ფეხბურთის სახელით რევანში აღების მისიაც აკისრია. მით უმეტეს, თუ ქართულ-სომხურ სპორტულ (და არა მხოლოდ სპორტულ) მეტოქეობა-ქიშპობას გავითვალისწინებთ.

გუშინ „ამერის“ მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჩიხრაძემ, გუნდის კაპიტანმა გიორგი დავითნიძემ და მეკარეების მწვრთნელმა ლევან აბაშიძემ პრესკონფერენცია გამართეს.

„უეფას თასის საკვალიფიკაციო ტურნირისა და მოახლოებული სეზონისთვის კარგად მოვემზადეთ. გუნდმა ორი საწვრთნელი შეკრება გაიარა. ჯერ ბაკურიანში ვიყავით 10 დღით, შემდეგ კი ჩეხეთში გავემგზავრეთ. წინასწარ დაგეგმილი გვქონდა ოთხი 6 ტესტმატჩი, რომელთაგან ოთხი ძირითადი, ორი კი სათადარიგო შემადგენლობით უნდა გვეთამაშა. სამწუხაროდ, მხოლოდ სამი მატჩის ჩატარება მოვახერხეთ, - ორი ძირითადი შემადგენლობით და ერთიც - სათადარიგოთი. თუმცა, შევეცადეთ, დანაკლისი გაორმაგებული ვარჯიშებით აგვენაზღაურებინა. მართალია, ასეთი ტურნირის წინ სათამაშო პრაქტიკა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, ვფიქრობ, ბევრი არაფერი დაგვიკარგავს.

რაც შეეხება შემადგენლობას. კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ფეხბურთელები, რომლებმაც „ამერის“ ისტორიაში პირველი სერიოზული ჯილდო მოიპოვეს, კლუბს უეფას თასის ტურნირში წარადგენენ. დავიმატეთ მხოლოდ გამოცდილი იური გაბისკირია, რომელიც კლუბში მოთამაშე-მწვრთნელის სტატუსით იქნება. ბათუმის „დინამოდან“ დავიბრუნეთ წინა სეზონში განათხოვრებული გიზო ჯელაძე, საფეხბურთო კლუბ „თბილისის“ ფარმკლუბიდან კი დავიმატეთ ახალგაზრდა ნიჭიერი მეკარე ლევან ბუბუტეიშვილი. გუნდის მომზადების დონით, ფსიქოლოგიური ფონით და მზადყოფნით კამყოფილი ვარ. მართალია, სეზონის პირველი მატჩის ჩატარება საკმაოდ ძნელია და ხარისხიანი თამაშის ჩვენება ჭირს, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით, რომ ჩვენი გულშემატკივარი გავახაროთ. იმედი გვაქვს, ისეთი შედეგით დავასრულებთ მატჩს, რომ განმეორებითი შეხვედრის წინ სანერვიულო არ გვქონდეს“, - ოპტიმისტურადაა განწყობილი გიორგი ჩიხრაძე.

„გუნდში სრული საბრძოლო განწყობაა. ერთი სული გვაქვს, როდის გათენდება ხვალინდელი დღე და როდის დაიწყება შეხვედრა“, - ამბობს გიორგი დავითნიძე.

მეტოქე არ არის მაღალი კლასის, თუმცა, მეტოქის შეუფასებლობას ბევრი დიდი გუნდი დაუღუპავს. „ამერის“ მწვრთნელიც პატივისცემით არის განწყობილი „ბანანცის“ მიმართ.

„მაქსიმალურად შევეცადეთ მეტოქის შესწავლას. ამ გუნდის თამაშები თბილისის „ლოკომოტივთან“ მხედველობაში მისაღები ნამდვილად არ არის. მას შემდეგ სრულად გამოიცვალა „ბანანცის“ ძირითადი შემადგენლობა და ახალი მწვრთნელიც მიიწვიეს. მოვიპოვეთ „ბანანცის“ ბოლო ორი მატჩის ვიდეოჩანაწერი. გუნდი საკმაოდ ტექნიკურ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს, ჰყავს დაბალანსებული შემადგენლობა, ოთხი ლეგიონერი, ხოლო მისი ორი ფეხბურთელი სომხეთის ნაკრების წევრია. „ბანანცის“ თამაში „ამერის“ ფეხბურთელებთან უკვე განვიხილე, შევისწავლეთ მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ვეცდებით, ეს ინფორმაცია ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ“, - აღნიშნა „ამერის“ მთავარმა მწვრთნელმა.

„ბანანცი“ გუშინ, შუადღისას ჩამოვიდა საქართველოში და საღამოს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ივარჯიშა.

ხვალვე საქართველოს ვიცე-ჩემპიონი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ გამართავს თავის პირველ მატჩს უეფას თასის საკვალიფიკაციო ტურნირში. ვეტერინარები უკვე სლოვაკეთში არიან. მათი მეტოქეა გასული სეზონის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში გასული „არტმედია“. ამ გუნდმა ლიგის ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე თვით გლაზგოს „სელტიკი“ გამოთიშა ტურნირს, საკუთარ მოედანზე ეს შოტლანდიური გრანდი 5:0 დაამარცხა. მართალია, ამ სეზონში „არტმედია“ ძირითადი შემადგენლობის რვა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ რომ ურთულესი ორრაუნდიანი დაპირისპირება ელის, ნათელია.

## უიღბლო და იღბლიანი ჯენტლმენები

მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა. როგორც ყოველთვის, ცხადია, მუნდიალმა ამჯერადაც ზოგისთვის იღბლიანად, ზოგისთვის მეტ-ნაკლებად, ზოგისთვის კი სულაც უიღბლოდ ჩაიარა. წარმატება-წარუმატებლობა ნაკრებებთან ერთად მწვრთნელებმაც გაიზიარეს.

**არგენტინა** (მეოთხედფინალი)
**ხოსე პეკერმანი**
„ნაკრებიდან მივდივარ, რადგან მისია ვერ შევასრულე - მსოფლიო თასი არგენტინაში ვერ ჩავიტანე“, - ამ სიტყვებით დაემშვიდობა „ალბისელესტეს“ ხოსე პეკერმანი და, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია დარჩენას სთხოვდა, არგენტინელმა სპეციალისტმა თანამდებობა დატოვა. თუმცა, ვფიქრობთ, პეკერმანი იმ პროფესიონალთა რიცხვს მიეკუთვნება, ვისი ნაკრების სათავეში ხილვა მარტო სამხრეთ ამერიკაში კი არა, მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც ბევრს სწადია.

**ჰოლანდია** (მერვედფინალი)
**მარკო ვან ბასტენი**
ჩემპიონატის დაწყების წინ მარკო ვან ბასტენს მწვრთნელი-აღმოჩენის ტიტულს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა გერმანიაში ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ღირებულს ვერაფერს მიაღწია. ნიდერლანდებში კვლავინდებურად სჯერათ მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელის და ამიტომ ნაკრებიდან არ გაუშვეს. მარკომ პირადად სთხოვა თავის უფროს მეგობარს, ლეგენდარულ იოჰან კრუიფს ნაკრები ჩაებარებინა, თუმცა უარი მიიღო. ამიტომ ისევ თავად ამჯობინა ნარინჯისფერთა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატისთვის მომზადება. ცნობისთვის: ინგლისური გამოცემა „გარდიანის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, მარკო ვან ბასტენმა გულშემატკივართა ყველაზე მეტი სიმპათია დაიმსახურა.

**განა** (მერვედფინალი)
**რატომირ დუიკოვიჩი (სერბეთი)**
მერვედფინალში ბრაზილიასთან მარცხის შემდეგ რატომირ დუიკოვიჩმა მეორე დღესვე დატოვა თანამდებობა. „განაში კიდევ დავბრუნდები, მაგრამ ახლა ტაიმ-აუტის დროა“, - თქვა სერბმა. თუ პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას ვენდობით, განაში ხელმეორედ დაბრუნებამდე სერბი სპეციალისტი კვლავაც აფრიკაში დარჩება და სხვა რომელიმე აფრიკულ კლუბს ჩაუდგება სათავეში. ყოველ შემთხვევაში, სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს.

**სამხრეთ კორეა** (ჯგუფში მესამე ადგილი)
**დიკ ადვოკაატი (ჰოლანდია)**
ხმები იმის თაობაზე, რომ ადვოკაატი კორეის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებდა, თითქმის ნახევარი წელი დადიოდა. ივნისში ეს მითქმა-მოთქმა კიდევ უფრო გააქტიურდა. ჰოლანდიელს ხან ავსტრალიის ნაკრებს, ხანაც ინგლისურ კლუბებს უკავშირებდნენ. თუმცა, საბოლოოდ ადვოკაატმა რუსული „ზენიტი“ აირჩია. მართალია, ადვოკატიის შენარჩუნების წინააღმდეგი არც თავად კორეელები იყვნენ, მაგრამ ჰოლანდიელმა წასვლა ამჯობინა.

**ესპანეთი** (მერვედფინალი)
**ლუის არაგონესი**
გერმანიაში ესპანეთის ნაკრების გამოსვლას წარმატებულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ - პირენეელები მერვედფინალში გამოეთიშნენ ტურნირს. არაგონესმა იმავე საღამოს განაცხადა, რომ ესპანეთში ჩასვლისთანავე დატოვებდა ნაკრებს. ორი დღეც არ გასულა ამ განცხადებიდან და 68 წლის სპეციალისტმა ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან ახალი, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**აშშ** (ჯგუფში მეოთხე ადგილი)
**ბრიუს არენა**
ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან მრავალწლიანი და წარმატებული მუშაობის შემდეგ ბრიუს არენამ თანამდებობაზე უარი თქვა. გერმანიაში წარუმატებელი გამოსვლის მიუხედავად, მსოფლიო მასშტაბით არენაზე კვლავ დიდი მოთხოვნილებაა. ცოტა ხნის წინ თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო ჩრდილოამერიკელთან მუშაობის სურვილი რამდენიმე ევროპულმა კლუბმა გამოთქვა. ცნობისთვის: არენა აშშ-ის ნაკრებს 1998 წლიდან ედგა სათავეში.

**კოტ-დ'ივუარი** (ჯგუფში მესამე ადგილი)
**ანრი მიშელი (საფრანგეთი)**
ფილიპ ტრუსიესთან ერთად, ფრანგული სამწვრთნელო ქარხნის მთავარმა კოსმოპოლიტმა ანრი მიშელმა კოტ-დ'ივუარის ნაკრების მუნდიალიდან გამოვარდნის შემდეგ აფრიკელებთან დარჩენა იუარა. 58 წლის ფრანგმა სპეციალისტმა უკვე მიიღო შეთავაზება ყატარის „ალ არაბიდან“.

**მექსიკა** (მერვედფინალი)
**რიკარდო ლავოლპე (არგენტინა)**
ჩემპიონატის დაწყებამდეც და, მით უმეტეს, დამთავრების შემდეგ, მექსიკაში ლავოლპეს ნაკრებში მოღვაწეობით უკმაყოფილონი არიან. ნაკრების ლეგენდარულმა თავდამსხმელმა კვატემოკ ბლანკო კი, რომელიც არგენტინელმა მუნდიალს მიღმა დატოვა, საჯაროდ ითხოვს მწვრთნელის გათავისუფლებას. ჯერჯერობით ლავოლპეს მექსიკური მომავალი ბუნდოვანია. თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ბლანკოს მოთხოვნას ყურად არავინ იღებს.

**ხორვატია** (ჯგუფში მესამე ადგილი)
**ზლატკო კრანჩარი**
ზლატკო კრანჩარის ბედი მუნდიალამდე იყო გადაწყვეტილი. ჩემპიონატის სტარტამდე ერთი თვით ადრე ხორვატმა სპეციალისტმა ქვეყნის პირველ გუნდთან კონტრაქტი ორი წლით გაახანგრძლივა. გერმანიაში მისი სამწყსოს წარუმატებელი გამოსვლის მიუხედავად, ხორვატიაში კრანჩარი არავის გაუკრიტიკებია.

**იაპონია** (ჯგუფში მეოთხე ადგილი)
**ზიკო (ბრაზილია)**
იაპონიის ნაკრების გამოსვლამ მსოფლიო ჩემპიონატზე ამომავალი მზის ქვეყანაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია - ზიკოს გაწვრთნილმა ნაკრებმა ფრეს მიაღწია ხორვატებთან, ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია ბრაზილიასთან და ავსტრალიასთან მატჩებში, თუმცა ჯგუფში მეოთხე ადგილზე ჩარჩა. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ბრაზილიელ სპეციალისტს, მისდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, იაპონელებმა კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივეს. ზიკომ კი თურქეთს მიაშურა და სტამბულის „ფენერბახჩეს“ ჩაუდგა სათავეში.

**ტუნისი** (ჯგუფში მესამე ადგილი)
**როჟე ლემერი (საფრანგეთი)**
როჟე ლემერს აფრიკელებმა გერმანიაში წასვლამდე შესთავაზეს კონტრაქტის გაფორმება. ფრანგმაც, ისე რომ, დიდხანს არ უფიქრია, თანხმობა განაცხადა. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ტუნისში ქვეყნის პირველი გუნდისგან უფრო მეტს მოელოდნენ, ლემერის გათავისუფლების თემა წინა პლანზე არ წამოწეულა.

# ინგლისელები ტრადიციას არ ღალატობენ

ინგლისის ნაკრების 31 წლის სუპერვარსკვლავის ოცნება, რაიმე ტიტული მოიგოს ნაკრებთან ერთად, სულ ცოტა, ორი წლით გადაიდო. სვენ გორან ერიქსონის გუნდმა გერმანულ მუნდიალზე მეოთხედფინალის ბარიერი ვერ გადალახა. ნისლიან ალბიონზე დაბრუნებისთანავე დევიდ ბექჰემმა განაცხადა, რომ ტოვებს ნაკრების კაპიტნის პოსტს, რომელიც 2000 წლის 15 ნოემბრიდან მას ეკუთვნოდა.

**- დევიდ, ერიქსონს მაინც არ გამოუვიდა ინგლისის ნაკრებში კონტინენტური ფეხბურთის დანერგვა. მსოფლიო ჩემპიონატზე თქვენი გუნდი კვლავ წმინდა ბრიტანულ ფეხბურთს თამაშობდა ფლანგური გარღვევებით და ბურთის საჯარიმოში ჩაწოდებით...**

- ეს ტიპური ბრიტანული სტილია - ათლეტური ფეხბურთი, რომელშიც მრავლადაა ორთაბრძოლა. არ მესმის, რატომ თვლიან მას არქაულად. ბრაზილიელები ხომ სულ მოკლე პასებით თამაშობენ, გერმანელები - ძალისმიერ ფეხბურთს, იტალიელები - კატენაჩოს. მათ კონსერვატიზმში რატომღაც არავინ სდებს ბრალს.

**- ყველას მიაჩნია, რუნი რომ არ გაეძევებინათ, ინგლისის ნაკრები ნახევარფინალში ითამაშებდა...**

- როდესაც დაახლოებით ერთი დონის ორი გუნდი ნახევარფინალის საგზურისთვის იბრძვის, შესაძლოა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ეპიზოდმაც კი იმოქმედოს მატჩის საბოლოო ბედზე. რა თქმა უნდა, რუნის გაძევების შემდეგ ჩვენი შანსი საგრძნობლად შემცირდა. თუმცა, მსაჯს არ ვადანაშაულებ. მომენტი საკამათო იყო და მან საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღო გადაწყვეტილება.



ბექჰემი ტრადიციებს არ ღალატობს.

**- თქვენთვის უკვე რიგით მესამე მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა. რით იყო საინტერესო ეს ჩემპიონატი?**

- მთავარი და ყველაზე არასასიამოვნო სიურპრიზი ამინდმა შემოგვთავაზა. მატჩებში, რომლებიც ადგილობრივი დროით სამ საათზე იწყებოდა, მაღალი ტემპერატურის გამო ფაქტობრივად თამაში შეუძლებელი იყო. ორჯერ აღმოვჩნდით ასეთ ვითარებაში და პირველი ტაიმის შემდეგ სირბილი აღარ შეგვეძლო.

**- იქნებ ერიქსონმა ვერ შეძლო გუნდის მომზადება?**

- არა მგონია. ინგლისის ნაკრების სამწვრთნელო შტაბმა დიდი სამუშაო გასწია. პორტუგალიასთან მატჩმა ეს დაგვანახა კიდეც. თუ ვინმემ ვერ შეამჩნია, რომ რუნი გააძევეს, ვერც იმას მიხვდებოდა, რომ ინგლისის ნაკრები რიცხობრივ უმცირესობაში თამაშობდა.

**- გასაოცარია, მაგრამ რიცხობრივ უმცირესობაში თქვენმა გუნდმა კონტრშეტევების ტაქტიკა მაინც არ აირჩია...**

- ინგლისური ფეხბურთისთვის ეს მიუღებელია. გულშემატკივარი, უბრალოდ, ვერ გაგვიგებს. მინდორზე უკან დახევა ინგლისური ფეხბურთის ტრადიციაში არ ჯდება. უკან დახევა, შესაძლოა, მხოლოდ მეტოქემ გვაიძულოს.

**- ნუთუ არც ერიქსონს მოუთხოვია თქვენგან კონტრშეტევებზე თამაში?**

- ასეთი მოთხოვნა ვერ იქნებოდა. ერიქსონი კარგად გრძნობს ინგლისურ ფეხბურთს. ასე რომ არ იყოს, ამდენ ხანს ვერ შეინარჩუნებდა ნაკრების მწვრთნელის პოსტს.

**- პორტუგალიასთან მატჩში პირადად თქვენ რა მოგივიდათ?**

- პირველ ტაიმში რამდენჯერმე მტკივნეული დარტყმა მივიღე ფეხში. შემდეგ კი თავადაც ნახეთ, რომ თამაში ველარ გავაგრძელე. ამ კვირაში სამედიცინო შემოწმება უნდა გავიარო, თუმცა ისედაც ვიცი, რომ დაახლოებით თვენახევარი ვერ ვითამაშებ.

**- რატომ თქვით უარი ინგლისის ნაკრების კაპიტნის სამკლაურზე?**

- ეს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე მივიღე. ოჯახთან თათბირის შემდეგ. ასე რომ, მსოფლიო ჩემპიონატი და გერმანიაში ინგლისის ნაკრების წარუმატებელი თამაში აქ არაფერ შუაშია.

**- სანაკრებო კარიერის დასრულებას ხომ არ აპირებთ?**

- რატომ? უბრალოდ, კაპიტანი არ ვიქნები, ნაკრებში კი აუცილებლად ვითამაშებ, თუ, რა თქმა უნდა, ახალი მწვრთნელი ამას საჭიროდ ჩათვლის. ნებისმიერ როლზე თანახმა ვარ. როგორც მაკლარენი გადაწყვეტს, ისე იქნება. არც იმაზე მექნება პრეტენზია, თუ მაკლარენმა სათადარიგოთა სკამზე გამამწესა.

# რონალდინიო:
# „ფინალში ბრაზილიას და არგენტინას უნდა ეთამაშათ“

უკანასკნელი წლების ყველაზე ტიტულოვანმა ფეხბურთელმა, ადამიანმა, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატამდე მარადონასა და პელეს ადარებდნენ, გერმანიაში გამართული მუნდიალი თავისთვის ჩვეული ღიმილით ვერ დატოვა. საფრანგეთთან დამარცხების შემდეგ რონალდინიო ცრემლნარევი ტოვებდა მინდორს.

გერმანულმა კატასტროფამ რონალდინიოს მედიასთან ურთიერთობის სურვილი დააკარგვინა, თუმცა დრო ყველაფრის მკურნალია. და, აი, მარცხიდან ორი კვირის შემდეგ რონალდინიომ ჟურნალისტებს გული გადაუშალა.

**- რა დაგემართათ ფრანგებთან მატჩის შემდეგ?**

- როდესაც ზედიზედ იგებ მატჩებს და შემდეგ მარცხდები, საოცრად დიდ ტკივილს გრძნობ. თითქოს სიცოცხლე დასრულდა. მაგრამ მე დეპრესიული არ ვარ. გერმანიაში განცდილი წარუმატებლობის გამო ბრაზილიის ნაკრების სიძლიერე ეჭვქვეშ არ უნდა დავაყენოთ. ვფიქრობ, ოთხი წლის შემდეგ დავადასტურებთ, რომ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელები ვართ. დასამტკიცებელი კი არაფერი გვაქვს: ჩვენმა გუნდმა ბოლო ოთხი მსოფლიო ჩემპიონატის სამ ფინალში ითამაშა და ორჯერ ტიტული მოიგო. ზედიზედ ორჯერ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოგება კი თითქმის შეუძლებელია.

**- ბევრს არ ესმოდა, რატომ ათამაშებდა კარლოს ალბერტო პარეირა რონალდოს მუდმივად ძირითად შემადგენლობაში?**

- „კიჟა“ უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს ჩვენს გუნდში. როგორ ფორმაშიც არ უნდა იყოს რონალდო, ის მაინც რჩება ბრაზილიის ნაკრების ლიდერად. მეტოქეებს კი მისი ეშინიათ. ჩემი აზრით, გერმანიაში რონალდო ყოველ მატჩში უმატებდა თამაშს და რაც არ უნდა იწერებოდეს გაზეთებში, მან მაინც შეძლო თავისი პირადი ამოცანის გადაჭრა - გაიტანა სამი გოლი და მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

**- თქვენ კი იმაში დაგადანაშაულეს, რომ ნაკრებში ინიციატივას საკუთარ თაზე არ იღებდით...**

- მცდარი შეხედულებაა. ნაკრებში უფრო სიღრმიდან ვთამაშობ, „ბარსელონაში“ კი წინ ვარ წაწეული. ამიტომ ნაკრებში თამაშისას უფრო მიჭირს მეტოქის კარზე შეტევის მიტანა. კლუბში ისეთ პოზიციაზე ვთამაშობ, რომ საკმარისია ერთი მეტოქე მოვატყუო და უკვე დასარტყმელ პოზიციაზე გავდივარ, ნაკრებში კი ჩემს წინ მუდმივად სამი ან ოთხი მცველია.

**- ხომ არ გგონიათ, რომ პარეირას გადაწყვეტილებამ, თქვენთვის სათამაშო პოზიცია შეეცვალა, დაასუსტა ნაკრები?**

- მწვრთნელმა გადაწყვიტა, რომ თავდასხმაში ადრიანო და რონალდო ითამაშებდნენ, მე კი მწვრთნელის გადაწყვეტილებებს არ ვეწინააღმდეგები. მეტიც: ამ პოზიციაზე თამაში უფრო საპატიოა. სწორედ მე მევალებოდა გუნდის შეტევების წარმართვა.

**- არ გაგჩენიათ სურვილი, გულახდილად დალაპარაკებოდით პარეირას და შეტევაში გეთამაშათ?**

- მე ხომ ნაკრების ერთადერთი ფეხბურთელი არ ვარ, რომელსაც პოზიცია შეუცვალეს. ბოლოს და ბოლოს, მთავარია გუნდი და არა ჩვენი ინდივიდუალური მიღწევები.

**- მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ნაკრებთან მატჩში ფაქტობრივად ფორვარდის პოზიციაზე თამაშობდით, თუმცა თავი მაინც ვერ გამოიჩინეთ...**

- მხედველობაში უნდა მივიღოთ საფრანგეთის ნაკრების მცველების უმაღლესი კლასი. ტურამი, მაკელელე, ვიეირა, გალასი მსოფლიო დონის ვარსკვლავები არიან და მათ წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან ძნელია.

**- ტურნირის საწყის ეტაპზე ბრაზილიის ნაკრები ზარმაცი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელიც მხოლოდ კრიტიკულ მომენტში იწყებდა მთელი ძალით თამაშს...**

- ჩვენს წინაშე არ იდგა ამოცანა, რომ ყველა მატჩი დიდი ანგარიშით მოგვეგო. გუნდი აღმავლობით უნდა წასულიყო. მიმაჩნია, რომ სტრატეგია სწორად იყო შერჩეული. სწორედ ასე მოვიგეთ 2002 წლის ჩემპიონატი. ფაქტობრივაც ახლაც ძალიან ცოტა დაგვაკლდა. გუნდი გეგმაზომიერად მიიწევდა წინ და ნახევარფინალებისთვის საუკეთესო ფორმაში იქნებოდა. სამწუხაროდ, საკუთარი პოტენციალი ბოლომდე ვერ გამოვავლინეთ. მარტო ჩვენზე ხომ არ არის ყველაფერი დამოკიდებული, მეტოქემ შეგვიშალა ხელი. ყველაზე იოლად კი იაპონელებთან მოვიგეთ. გუნდმა მაშინ ფეხბურთით სიამოვნება მიიღო.

**- სხვა ფავორიტების მატჩები თუ ნახეთ?**

- იმ მატჩებიდან, რომლების ნახვაც მე მოვახერხე, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება არგენტინა-სერბეთის მატჩმა დატოვა. პეკერმანმა ჩემპიონატზე ძალიან ძლიერი გუნდი ჩაიყვანა. მიმაჩნია, რომ სამართლიანი იქნებოდა ფინალში არგენტინასა და ბრაზილიას ეთამაშათ.

**- ასეთ ფინალში ვინ გაიმარჯვებდა?**

- რა თქმა უნდა, ბრაზილია. ობიექტურად ბრაზილიის ნაკრებში უფრო მეტი ვარსკვლავია, ვიდრე არგენტინის.



რონალდინიო - მუნდიალის მთავარი იმედგაცრუება.

## ინფოთეკა

### ლიოვი კლინსმანის ნაცვლად

გუშინ ფრანკფურტში გაიმართა პრსკონფერენცია, რომელზეც ოფიციალურად გაცხადდა, რომ იურგენ კლინსმანი ტოვებს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს. გერმანული ფეხბურთის მესვეურებმა ვერაფრით შეძლეს კლინსმანის დატოვება და მასთან კონტრაქტის გაგრძელება. მწვრთნელმა თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ოჯახთან ახლოს ყოფნა სურს. შეგახსენებთ, რომ კლინსმანის ოჯახი კალიფორნიაში ცხოვრობს.

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ სწრაფად იპოვა იურგენ კლინსმანის შემცვლელი. ამიერიდან ბუნდესნაკრებს უხელმძღვანელებს იოახიმ ლიოვი, რომელიც აქამდე კლინსმანის თანაშემწედ მუშაობდა ნაკრებში და მუდმივად მის გვერდით იყო.

### ფიფას მუქარა

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა არაორაზროვნად განაცხადა, რომ ფიფამ შესაძლოა ჩამოართვას ზინედინ ზიდანს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული. შეგახსენებთ, რომ ფიფას დისციპლინარული კომიტეტი იძიებს ფინალში მომხდარ ინციდენტს.

„სანამ შესაძლო სანქციებზე ვისაუბრებდე, უნდა დაველოდოთ გამოძიების შედეგებს. „ოქროს ბურთის“ მფლობელს ჟურნალისტები ასახელებენ და არა ფიფა. მიუხედავად ამისა, დისციპლინარულ კომიტეტს აქვს ჩარევის უფლება, მით უმეტეს, თუ სპორტული ეთიკის ნორმებია დარღვეული,“ - აცხადებს ბლატერი.

თავად ზიდანი გუშინ ფრანგული ტელევიზიით აპირებდა გამოსვლას. ტელეკომპანია „კანალ პლუსს“ დაგეგმილი ჰქონდა ზიდანთან ინტერვიუ, რომელიც პირდაპირ ეთერში გუშინ გვიან ღამით უნდა გასულიყო. მოსალოდნელი იყო, რომ მომხდარის თაობაზე ზიდანი სწორედ ამ ინტერვიუში იტყოდა სრულ სიმართლეს.

ეს რაც შეეხება ზიდანს. ახლა კი მეორე მხარეზეც ვთქვათ. ფიფა მხოლოდ ზიდანს როდი დაემუქრა. თუ ზიდანი „ოქროს ბურთის“ დაკარგვის საშიშროების წინაშე დგას, მატერაცის გამო შესაძლოა იტალიის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვან. საქმე ისაა, რომ ამა წლის მარტში ფიფას კონფერენციაზე დააწესეს ახალი სასჯელი რასიზმისთვის. ფიფას დისციპლინარული კოდექსის 55-ე მუხლის მე-4 ქვეპუნქტში ნათქვამია, რომ ფეხბურთელი ან გუნდი, რომელიც შემჩნეულია რასიზმში, უმკაცრესად ისჯება. საუბარია არა მხოლოდ ფულად ჯარიმებზე. შესაძლებელია გუნდისთვის ტიტულის ჩამორთმევაც კი.

მოკლედ, თუ დამტკიცდა, რომ მატერაციმ ზიდანს რასისტული სახის შეურაცხოფა მიაყენა, მას აუცილებლად დასჯიან და შესაძლოა ეს სასჯელი იტალიის ნაკრებზეც გავრცელდეს. მართალია, ძნელი წარმოსადგენია, რომ ამის გამო „სკუადრა აძურას“ ტიტული ჩამოართვან, მაგრამ ფიფას დისციპლინარული კოდექსი ამასაც კი ითვალისწინებს.

### იტალიელებს 25 ივლისამდე აქვთ ვადა

იტალიური საფეხბურთო სკანდალი 25 ივლისამდე უნდა დასრულდეს. უეფამ იტალიელებს სწორედ ამ დრომდე მისცა ვადა. იტალიურმა მართლმსაჯულებამ საბოლოოდ უნდა გაარკვიოს მტყუან-მართალი და უეფას შეატყობინოს, თუ რომელი კლუბები მიიღებენ მონაწილეობას ჩემპიოთნა ლიგისა და უეფას თასის გათამაშებაში.

### „მილანის“ დანაკლისი

იტალიურ „მილანს“ დატოვებენ დიდა, ნესტა და პირლო. ბრაზილიელი კიპერის შეძენა „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს. ნესტას 30 მილიონ ევროდ „ჩელსი“ ყიდულობს. რაც შეეხება პირლოს, მილანელთა ნახევარმცველის შეძენაზე არც ერთი გრანდი არ ამბობს უარს.

ეს კი იმ შემთხვევაში გახდება რეალური, თუ იტალიურმა საფეხბურთო ტრიბუნალმა „მილანი“ იტალიური ფეხბურთის ელიტური დივიზიონიდან დააქვეითა.

### იბრაჰიმოვიჩი „ინტერში“

გუშინ შვედურმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ზლატან იბრაჰიმოვიჩი თანახმაა მილანურ „ინტერში“ გააგრძელოს კარიერა.

შვედი ფორვარდი დატოვებს „იუვენტუსს“, თუ კლუბს სერია A დაატოვებინეს. აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელის შეძენა „მილანს“ და „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ სურთ.

# ინგლისელთა რისხვა

მარი ჭავახიშვილი

გერმანიაში, ინგლისელებთან მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ პორტუგალიელთა მეკარე რიკარდუ, ორი წლის წინანდელის დარად, კიდევ ერთხელ აღიარეს ეროვნულ გმირად. და ეს მაშინ, როდესაც სამშობლოში ლისაბონის „სპორტინგის" კარის დარაჯი ვერაფრით ახერხებს ვარსკვლავობაში კონკურენცია გაუწიოს ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან ლუიშ ფიგუ, კრიშტიანუ რონალდო და პაულეტა.



თუმცა, როცა თერთმეტმეტრიანებს ეხება საქმე, რიკარდუ არა მარტო პორტუგალიაში, ალბათ მსოფლიოში უკონკურენტო ხდება. იმ წუთებში 30 წლის მეკარეზე მთელი ერი ლოცულობს.

ასე იყო ორი წლის წინ, ევროპის ჩემპიონატზე, როცა ინგლისელთათვის ასე დაწყევლილ მეოთხედფინალში პორტუგალიელებმა მეტოქე დაჯაბნეს. ის მატჩი, ახლანდელის დარად, ფრედ დასრულდა და ნახევარფინალში გასული გუნდის ვინაობა საფეხბურთო ლატარიით გაირკვა. ანგარიში პენალტების სერიაში 5:5 იყო, როცა უხელთათმანო რიკარდუმ ჯერ დარიუშ ვასელის დარტყმული მოგერია, მერე კი მისივე დარტყმულმა სვენ-გორან ერიქსონის გუნდი „დაასამარა". მატჩის შემდეგ მეკარე-თავდამსხმელი იხსენებდა, რომ პენალტების შემსრულებელთა ხუთეულში უნდოდა მოხვედრა, თუმცა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ უარი უთხრა. მაგრამ მერე მწვრთნელმა გადაწყვეტილება შეცვალა და „სპორტინგის" კიპერმა დარტყმის უფლება მოიპოვა. რიკარდუმ დამრიგებლის იმედი გაამართლა.

არადა, 30 წლის პორტუგალიელი მეკარე ევრო 2004-მდე ფართო საზოგადოებისთვის თითქმის უცნობი იყო.

რიკარდუ ალეშანდრე მარტინეს სუარეშ პარეირა, საფეხბურთო სამყაროში უბრალოდ რიკარდუდ წოდებული, 1976 წლის 11 თებერვალს პატარა ქალაქ მონტიჟუში მოევლინა ქვეყნიერებას. მისი საფეხბურთო კარიერა იმავე ქალაქის სამოყვარულო კლუბში დაიწყო. 1996 წელს რიკარდუ „ბოავიშტას" თვალთახედვის არეში მოექცა და მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში ახალგაზრდა მეკარე სწორედ ამ კლუბის ღირსებას იცავდა. მიუხედავად იმისა, რომ 2001 წელს ამ კლუბთან ერთად პორტუგალიის ჩემპიონობა იზეიმა, რიკარდუ მაინც რომელიმე გრანდში გადასვლაზე ოცნებობდა, თუმცა ოცნება ოცნებად რჩებოდა.

ყველაფერი 2002-03 წლების სეზონში შეიცვალა, როცა „ბოავიშტამ", ყველასთვის მოულოდნელად, უეფას თასის ნახევარფინალში გააღწია, გუნდის კარის დარაჯმა კი ბრწყინვალედ წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები. ცხადია, მისით უმალვე დაინტერესდნენ „ბენფიკასა" და „სპორტინგის" ხელმძღვანელები. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობაში „ბენფიკას" თავგადაკლული ქომაგი იყო, რიკარდუმ „სპორტინგის" 76-ნომრიანი მაისურა მოირგო და 2003 წლიდან ღირსეულად იცავს კლუბის კარს.

უკანასკნელ წლებში პორტუგალიელი მეკარის კარიერაში იყო აღმასვლაცა და დაღმასვლაც. იყო შემთხვევები, როცა ქვეყნის ჩემპიონატის მატჩებში უხეშ შეცდომებს უშვებდა და ამის გამო სათადარიგოთა სკამზე უწევდა ჯდომა, თუმცა ნაკრების კარს მაინც მას ანდობდნენ. ლუიშ ფელიპე სკოლარი მუდმივად ენდობოდა „სპორტინგის" გოლკიპერს, რომელმაც თავის დროზე ლეგენდარულ ვიტორ ბაია ამოაგდო შემადგენლობიდან. სკეპტიკოსები ვარაუდობდნენ, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე სკოლარი მაინც ბაიას გამოიძახებდა ნომერ პირველ მეკარედ. მანამდე ხომ ბაია 10 წლის განმავლობაში იცავდა ნაკრების კარს. თუმცა, 2003 წელს პორტუგალიის ნაკრებში მისულმა ბრაზილიელმა სპეციალისტმა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. ამის გამო მას ხშირად აკრიტიკებდნენ, მით უმეტეს, რომ 2004 წლის მაისში ბაიას „პორტუმ" სენსაციურ წარმატებას მიაღწია - ჩემპიონთა ლიგის თასი მოიგო.

სკოლარიზე არც ამან გაჭრა - რიკარდუ ძირითად მეკარედ დასახელდა. ეს ორი წლის წინ იყო. მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ კი უკვე აღარავინ კამათობდა, ვინ უნდა დამდგარიყო პორტუგალიის ნაკრების კარში.

რიკარდუს დებიუტი ნაკრებში 2001 წლის ივნისში, ირლანდიის ნაკრებთან მატჩში შედგა. დღემდე „სპორტინგის" მეკარის ანგარიშზე 52 სანაკრებო შეხვედრა დაგროვდა.

# „ტიფიანები" თბილისში

*თავიდანვე გაიხარეს და ცრემლი ღვარეს. ჯგუფური ეტაპის შემდეგ გრძნობები გაუმძაფრდათ, მერე კი იყო მერვედფინალი, მეოთხედფინალი, ნახევარფინალი და კულმინაცია. ის, რასაც ფეხბურთის გულშემატკივარი ოთხი წლის განმავლობაში ელოდა, დღეს ისტორიის საკუთრებაა. 64 მატჩი, ამდენივე საფეხბურთო სპექტაკლი თუ, უბრალოდ, სტატისტიკა. მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა. 11-მეტრიან ნიშნულთან მიდის ფაბიო გროსო, ფეხბურთელი, რომელმაც „სკუადრა აძურა" პლეი-ოფში გაიყვანა. გამორბენი, დარტყმა და 5:3! იტალია მეოთხედ დაეუფლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ITALIA - Campione del Mondo!!! იხუვლა უნისონში მილიონობით აპენინელმა. აპენინელთა გამარჯვებას აღნიშნავდნენ როგორ იტალიაში, ისე საქართველოში. 9 ივლისს თბილისი ტიფიანებმა (სწორედ ასე უწოდებენ იტალიის გულშემატკივრებს, იგივე ტიფოზებს, რომლებიც შეუდარებლად გამოხატავენ საკუთარი გუნდის წარმატებას) დაიპყრეს.*

გიგა გურასაშვილი

96 წელიწადი, ორი თვე და ექვსი დღე აშორებდა მილანურ და ბერლინურ ორთაბრძოლებს. 1910 წელს სწორედ მილანში გაიმართა ორი საფეხბურთო გიგანტის პირველი მატჩი. მართალია, ამხანაგური, მაგრამ მაინც. შორეულ წარსულში კი გამარჯვებულებმა (6:2) იტალიელებმა დატოვეს მინდორი. მას შემდეგ კიდევ 31-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. მთლიანობაში უპირატესობა (17 გამარჯვება) იტალიელებს დარჩათ. ფრანგებმა მხოლოდ 7-ჯერ იყოჩაღეს.

9 ივლისს იტალიის ქართველ გულშემატკივარს არ ეძინა. ქართველი იტალიელები „სკუადრა აძურას" ჩემპიონობას აღნიშნავდნენ. კარგია იტალია, კარგია საფრანგეთი, ბრზილია, გერმანია, პორტუგალია, არგენტინა, ინგლისი... მაგრამ ჩვენ რა? „ჩვენ ერთი გუნდი ვართ!" დღედაღამ გაისმოდა ქართულ ტელესივრცეში. ესაა მთავარი და არა ის, რომ იტალიაა ჩემპიონი. ფეხბურთი ფეხბურთია და მას თავისი გიჟები ჰყავს. უკეთესი იქნება, თუ იტალიის დროშების ნაცვლად საქართველოს დროშების ფრიალი მოგვიწევს. არადა, რა ჯგუფში ვართ?! იტალია, საფრანგეთი და უკრაინა. უკეთეს ვერც ინატრებ. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე 32 გუნდიდან სამი თბილისში ჩამოდის. დროშები, დროშები ჩქარა! ბიჭოს, ეს რა დღეები გველის?! ვნახავთ ფეხბურთს, მართლა ფეხბურთს და არა ინტერტოტოს მაზოხიზმს, რომელსაც „დინამო" აგებს.

ერთი სიტყვით, მსოფლიო ჩემპიონატი კვირას დასრულდა, მაგრამ ნოსტალგია კიდევ არსებობს და იქამდე იარსებებს, ვიდრე ოთხი წელიწადი არ ჩაივლის. თუმცა, მანამდე ნუგბარად გვაქვს ევროპის ჩემპიონატი, რომლის საგზურისთვისაც ვიბრძოლებთ-მეთქი ვერ ვიტყვი, მაგრამ თამაშით კი ვითამაშებთ. როგორ? ეს სხვა საკითხია. ტოპმიოლერი დარდიმანდულ ქართულ ხასიათს, იმედია, გერმანულ მარწუხებში მოაქცევს. და თუ ასე მოხდა, ალბათ მართლა ვითამაშებთ კიდეც. უბრალოდ, ფეხბურთს ვითამაშებთ. მორჩა და გათავდა!

და, საერთოდ, მგონია, რომ ჭეშმარიტი ფეხბურთის გულშემატკივარი გარკვეულწილად კოსმოპოლიტია, რომლისთვისაც მნიშვნელობა არა აქვს კანისა თუ დროშის ფერს. საქართველოში, ხელისუფალთა მეცადინეობით, ლამის ყველა საფეხბურთო ნაკრების ფანკლუბი შეიქმნა. არა, კოსმოპოლიტიზმი ჩვენს შემთხვევაში არაფერ შუაშია. ეს უფრო ქულათა ჩაწერის ახლებური ტრიუკი იყო და იმ პრობლემათა ერთი თვით მაინც დავიწყება, რომელიც დღეს სუფევს საქართველოში.

...ეს კი გერმანულ მინდვრებზე მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატისას გადაღებული ფოტოების კოლაჟი.



თავო ჩემო...



იტალიის ჩემპიონობამ ტიფოზები გადარია.




ავსტრალიელმა იტალიელებმა საფრანგეთი დაასამარეს.

**საუდის არაბეთი** (მეოთხე ადგილი ჯგუფში)
**მარკუშ პაკეტა (ბრაზილია)**
პაკეტას სანერვიულო არაფერი აქვს - არაბებთან გაფორმებული ორწლიანი კონტრაქტი უჭირავს ხელში. მით უმეტეს, რომ ბრაზილიელი სპეციალისტის ნაკრებში მოღვაწეობით არაბეთის ფეხბურთის ფედერაციაც კმაყოფილია და ყველაფერს აკეთებს, რათა მწვრთნელს კარგი სამუშაო პირობები შეუქმნას. მარკუშ პაკეტამ საუდის არაბეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე შვიდი თვით ადრე - 2005 წლის დეკემბერში ჩაიბარა.

**ჩეხეთი** (მესამე ადგილი ჯგუფში)
**კარელ ბრიუკნერი**
სამშობლოში ამ ასაკოვანი მწვრთნელის რეპუტაცია, გერმანიაში განცდილი ფიასკოს მიუხედავად, კვლავინდებურად შეურყეველია. ბრიუკნერის ღვაწლი იმდენად დიდია, რომ ჩეხეთში ერთი ადამიანიც კი არ მოიძებნება, რომელიც მას გააკრიტიკებს. ახლა 67 წლის კარელ ბრიუკნერს ბებერი კონტინენტის პირველობისთვის ახალი ნაკრების მომზადება ლიდერების: პაველ ნედვედის, ვლადიმირ შმიცერისა და კარელ პობრსკის გარეშე მოუწევს.

**წარმატებულნი**

**იტალია** (ჩემპიონი)
**მარჩელო ლიპი**
მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფატორი მწვრთნელი ჯერაც ჩემპიონობას ზეიმობს. ამიტომ მისი სამსახურებრივი ბედიც გაურკვეველია. თავად ლიპი ამბობს, რომ სიამოვნებით დარჩება „სკუადრა აძურაში", რაზეც, ცხადია, იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ყაბულსაა. მაგრამ ჭორები მაინც ვრცელდება. ამბობენ, ლიპი „მანჩესტერ იუნაიტედში" სერ ალექს ფერგიუსონის შეცვლას აპირებსო.

**საფრანგეთი** (ვიცე-ჩემპიონი)
**რაიმონ დომენეკი**
ბრაზილიელთა მეოთხედფინალში ძლევის შემდეგ საბოლოოდ ჩაცხრა კრიტიკის ის ქარცეცხლი, რომელიც რაიმონ დომენეკის თავს კარგა ხანს ტრიალებდა. იტალიასთან ფინალში მარცხის შემდეგ სამფეროვანთა ნაკრები ქვეყანაში ზარ-ზეიმით მიიღეს, თუმცა, მაინც გამოჩნდნენ ისეთები, ვინც დომენეკის გათავისუფლებას ითხოვდა. ორიოდე დღის წინ ფრანგმა სპეციალისტმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი ყველაფერს - „მამლებთან" კონტრაქტი, რომელსაც 31 ივლისს ეწურება ვადა, კიდევ ორი წლით გაახანგრძლივა.

**გერმანია** (მესამე ადგილი)
**იურგენ კლინსმანი**
იურგენ კლინსმანს ბუნდესნაკრების სათავეში დარჩენას გერმანული ფეხბურთის უდიდეს ავტორიტეტ ფრანც ბეკენბაუერთან ერთად მთელი ერი ევედრება. თავად კლინსი პასუხის გაცემას არ ჩქარობს და მოსაფიქრებელ დროს ითხოვს. გავრცელებული ხმები კი ჯიუტად უკავშირებენ მას აშშ-ის ნაკრებს: იურგენ კლინსმანი კარგა ხანია კალიფორნიაში ცხოვრობს და სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს. ასე რომ, ყველაფერს ნათელს მოჰფენს კლინსმანის საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც ის, სავარაუდოდ, ამერიკელ მეუღლესთან ერთად მიიღებს.

**პორტუგალია** (მეოთხე ადგილი)
**ლუიშ ფელიპე სკოლარი (ბრაზილია)**
ბრაზილიელმა სპეციალისტმა კიდევ ერთხელ და, ვინ მოთვლის, მერამდენედ, დაამტკიცა თავისი უმაღლესი კლასი და პროფესიონალიზმი: ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გახდა მსოფლიო ჩემპიონი მწვრთნელი კორეა-იაპონიაში, გავიდა ევრო 2000-ის ფინალში და მსოფლიოს 2006 წლის ნახევარფინალში. სკოლარის კონტრაქტი პორტუგალიის ნაკრებთან ოფიციალურად ვადაგასულია, თუმცა, დიდ ფილს ჯერ არ გადაუწყვეტია, გაახანგრძლივებს თუ არა პორტუგალიელებთან ხელშეკრულებას. „ფული ჩემთვის ბევრს არაფერს წყვეტს. უფრო მნიშვნელოვანია ის, რაც მჭირდება. მინდა მზე, მინდა, რომ შორტით დავდიოდე და სანაპიროზე ვსეირნობდე. ეს ყველაფერი კი პორუგალიაში მაქვს", - თუ სკოლარის ამ სიტყვებს გავითვალისწინებით, ადვილი მისახვედრია მისი საბოლოო გადაწყვეტილებაც.

**უკრაინა** (მეოთხედფინალი)
**ოლეგ ბლოხინი**
მუნდიალზე უკრაინის ნაკრების სენსაციური გამოსვლის შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელის ოლეგ ბლოხინის პოსტი რამდენიმე წლით ხელშეუხებელი იქნება. არც გერმანიამდე და არც გერმანიის შემდეგ ბლოხინის დარჩენა-არდარჩენის საკითხი უკრაინაში არ დამდგარა.

**ეკვადორი** (მერვედფინალი)
**ლუის სუარესი (კოლუმბია)**
კოლუმბიელი ლუის სუარესი მსოფლიო ჩემპიონატის აღმოჩენად შერაცხეს და არცთუ უსაფუძვლოდ - პირველად ეკვადორის ნაკრების ისტორიაში მან გუნდი პლეი-ოფში გაიყვანა. ეკვადორელები მართლაც გამორჩეულები იყვნენ როგორც დაცვაში, ისე შეტევაში კარგი თამაშით. ამიტომ იყო, რომ ეკვადორში ჩასულ სუარესს მეფური დახვედრა მოუწყვეს. ქვეყნის პრეზიდენტმა სპეციალური ჯილდო გადასცა, ეკვადორის ფეხბურთის ფედერაციამ კი ნაკრებში დარჩენა შესთავაზა.

**შვეიცარია** (მერვედფინალი)
**კობი კუნი**
შვეიცარიის ეროვნულ ნაკრებში მთავარი მწვრთნელის პოსტი, ალბათ, კარგა ხანს არ იქნება ვაკანტური. გუნდი მერვედფინალში უკრაინასთან პენალტების სერიაში დამარცხდა. მიუხედავად იმისა, რომ კობი კუნის შეგირდებისგან სამშობლოში მეტს მოელოდნენ, მწვრთნელი არავის გაუკრიტიკებია. ალბათ, იმიტომ, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე შვეიცარიამ ერთგვარი რეკორდი დაამყარა: ტურნირიდან გუნდი პირველად გავარდა ისე, რომ ძირითად დროში საკუთარ კარში არც ერთი ბურთი არ გაუშვია.

**ავსტრალია** (მერვედფინალი)
**გუს ჰიდინკი (ჰოლანდია)**
ჯერ კიდევ გაზაფხულზე გაცხადდა, რომ ავსტრალიის ნაკრებს ჰოლანდიელი თავკაცი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებდა. მრავალთვიანი მოლაპარაკების შემდეგ ჰიდინკმა თანხმობა განაცხადა, რუსეთის ნაკრებს ჩასდგომოდა სათავეში. ავსტრალიაში კი, რომლის პირველი გუნდი ჰიდინკმა მუნდიალის მერვედფინალში გაიყვანა, ის ეროვნულ გმირად აღიარეს.

**ტრინიდადი და ტობაგო** (მეოთხე ადგილი ჯგუფში)
**ლეო ბეენჰაკერი (ჰოლანდია)**
ტრინიდადი და ტობაგოში ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე გამოსვლას აღფრთოვანებით შეხვდნენ. გუნდის თავკაცს ჰოლანდიელ ლეო ბეენჰაკერს კი კონტრაქტის გახანგრძლივება შესთავაზეს, თუმცა საეჭვოა დათანხმდეს. მუნდიალის შემდეგ სხვადასხვა ნაკრებებში ვაკანტური ადგილი გამოჩნდა და ჰოლანდიელმა უკვე ორი ქვეყნიდან - პოლონეთიდან და ავსტრალიიდან მიიღო მიწვევა. ბოლო ინფორმაციით, ლეო ბეენჰაკერი პოლონელებთან მუშაობას დათანხმდა.

**ანგოლა** (ჯგუფში მესამე ადგილი)
**ლუის გონსალვეში**

გონსალვეში, რომელიც ანგოლაში ეროვნულ გმირად აღიარეს, თანამდებობაზე დარჩა. „შავი ანტილოპების" გერმანიაში თამაში სამშობლოში ხუთიანზე შეაფასეს იმის გათვალისწინებით, რომ არსებობის ისტორიაში ანგოლას მანამდე ერთხელაც არ უთამაშია მსოფლიო პირველობაზე. გონსალვეშს კი ახალი მისია დაეკისრა - ანგოლასთან ერთად მიღწეულ წარმატებაზე არ უნდა გაჩერდეს.

### უიღბლონი

**ბრაზილია** (მეოთხედფინალი)
**კარლოს ალბერტო პარეირა**

პენტაკამპეონეთა მეოთხედფინალიდან გამოვარდნამ პარეირა კრიტიკოსთა ყბაში ჩააგდო. თავად ბრაზილიელმა სპეციალისტმა კი განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას ნაკრებიდან წასვლის თაობაზე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან შევხედრის შემდეგ მიიღებდა. ჯერჯერობით პაემანი არ შემდგარა. ბრაზილიიდან წასვლის შემდეგ პარეირა, სავარაუდოდ, იამაიკას გაეშურება.

**ინგლისი** (მეოთხედფინალი)
**სვენ-გორან ერიქსონი (შვედეთი)**

შვედი სპეციალისტის ინგლისში დარჩენის საკითხი კარგა ხნით ადრე, თებერვალში გადაწყდა. გაზეთ „სანის" ჟურნალისტის პროვოკაციაზე წამოგებული ერიქსონი ალბიონზე აიძულეს, ქვეყნის პირველი გუნდი მუნდიალის დამთავრებისთანავე დაეტოვებინა. ამიტომ უკვე გერმანიაში მას ინგლისელთა ახალი თავკაცი სტივენ მაკლარენი ახლდა მრჩევლის რანგში. რაც შეეხება თავად ერიქსონს, ის, სავარაუდოდ, სამშობლოში, ან უკან, იტალიაში დაბრუნდება.

**შვედეთი** (მერვედფინალი)
**ლარს ლაგერბეკი**

ძალიან მალე ლარს ლაგერბეკი ოფიციალურად გამოეთხოვება დაკავებულ თანამდებობს. ვაკანტურ ადგილზე კი ერთბაშად რამდენიმე სპეციალისტი სახელდება, მათ შორის სვენ-გორან ერიქსონი, მიქაელ ლაუდრუპი და როი ჰაჯსონი. თავად ლაგერბეკი, გავრცელებული ინფორმაციით, რომელიმე შვედურ კლუბს ჩაუდგება სათავეში.

**პოლონეთი** (ჯგუფში მესამე ადგილი)
**პაველ იანისი**

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ უარი თქვა პაველ იანისთან თანამშრომლობაზე. მუნდიალს მიღმა ნაკრების ორი ლიდერის იერჟი დუდეკისა და მარეკ ფრანკოვსკის დატოვება პოლონეთს ჯგუფში ჩარჩენად დაუჯდა. სანამ ქვეყანაში დიდი სკანდალი ატყდებოდა, იანისმა ყველას დაასწრო და საკუთარი ნებით გადადგა. მას უკვე მიმართა წინადადებით რამდენიმე პოლონურმა კლუბმა.

**კოსტა-რიკა** (ჯგუფში მეოთხე ადგილი)
**ალესანდრე გიმარაეში**

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გიმარაეში ლამის „ხალხის მტრად" მონათლეს. კოსტა-რიკის აეროპორტში ნაკრების თავკაცს გაავებული გულშემატკივარი წყლით სავსე ჭურჭლითა და საპნებით შეიარაღებული დახვდა. „საპონი და წყალი იმიტომ მოვიმარაგეთ, რომ ნაკრებს სირცხვილი ჩამოვრეცხოთ", - გაბრაზებას არ მალავდა ერთ-ერთ ფანატი. ყველაფერ ამის შემდეგ გიმარაეში საკუთარი სურვილით წავიდა და საერთოდ უარი თქვა სამწვრთნელო კარიერაზე. ახლა ალბათ მემუარების წერას შეუდგება და მკითხველს იმაზე მოუთხრობს, თუ როგორ გამოჭედა 90-იანი წლების კოსტა-რიკის ნაკრების წარმატება, როცა გუნდი, პირველად არსებობის ისტორიაში, მსოფლიო ჩემპიონატის მერვედფინალში გავიდა.

**პარაგვაი** (ჯგუფში მესამე ადგილი)
**ანიბალ რუისი (ურუგვაი)**

პარაგვაის ნაკრების ჯგუფში ჩარჩენის მეორე დღესვე ანიბალ რუისი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. სამხრეთ ამერიკის 2005 წლის საუკეთესო მწვრთნელის შემდეგი გაჩერება, სავარაუდოდ, ამავე ქვეყნის რომელიმე ნაკრები გახდება.

**სერბეთი** (ჯგუფში მეოთხე ადგილი)
**ილია პეტკოვიჩი**

ილია პეტკოვიჩმა გუნდის წამყვანი ფეხბურთელები ვერც სათანადო დონეზე აათამაშა და ვერც გუნდური ერთსულოვნება გააღვიძა მათში. სერბეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ჩავარდნის შემდეგ მოშლილია, თავად პეტკოვიჩი კი ერთ-ერთ ადგილობრივ კლუბში განაგრძობს მოღვაწეობას.

**ტოგო** (ჯგუფში მეოთხე ადგილი)
**ოტო ფისტერი (გერმანია)**

ფისტერმა ჯერ კიდევ ტურნირის მიმდინარეობისას სცადა წასვლა. მუნდიალზე ჩატარებული პირველი მატჩის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვანმა - 69 წლის სპეციალისტმა ფეხბურთელებსა და ტოგოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შორის მომხდარი უთანხმოების გამო დატოვა ნაკრები. თუმცა, მერე ისევ უკან დაბრუნდა. და ჯერაც გაურკვეველია, დარჩება თუ არა გერმანელი ტოგოში მომდევნო სეზონში.

**ირანი** (ჯგუფში მეოთხე ადგილი)
**ბრანკო ივანკოვიჩი (ხორვატია)**

გერმანიაში ირანის ნაკრები ისე არ წარდგა, როგორც მისგან ელოდნენ. „კარიერაში ახალი გამოწვევა მჭირდება", - განაცხადა ანგოლასთან ფრედ (1:1) დასრულებული მატჩის შემდეგ ივანკოვიჩმა. ახალ გამოწვევას ხორვატი სპეციალისტი, სავარუდოდ, ისევ აზიაში დაელოდება.

ჩვენ ერთი გუნდი ვართ
საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გასაწევრიანებელი აპლიკაცია
სარბიელი
სარეკლამო მაღაზია ოლიმპი
24 საათი

# დაგვანგრიეთ და ეგააო

სხვა დიდ რკენათა დარად, რაგბის „სამი ერის" სტარტზე ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსისგან" ავსტრალიის „ვოლაბიზის" 20 ქულით ძლევასაც ცხოველი გამოხმაურება მოჰყვა. ექსპერტები კივ ფორვარდთა გაწაფულობას აღნიშნავენ, ზელანდიის რაგბის კავშირი ახალი „ჰაკას" ფინალის სხვაგვარ ახსნას ამკვიდრებს, ყვითელი მედია ჯერი კოლინზის მიერ მოედანზე მოშარდვის გამო ქირქილებს, ოზური რაგბის თემისგან შერისხულ აფრიკელ ჯონათან კაპლანს კი „პლანეტ რაგბის" წესთა მენცარი, პოლ დობსონი თავდებად უდგება და მუხლ-მუხლ ამტკიცებს, რომ გამოცდილ რეფს არაფერი შეშლია.

ავსტრალიამ მარცხი აღიარა. ვოლაბიზის ძველმა კაპიტანმა ნიკ ფარ-ჯოუნზმა კივებს თავი მოუქონა, დაგვანგრიეთ და ეგააო, და დაამატა, სამხრეთი აფრიკა ჩვენი შერკინების სიძაბუნეში კიდევ დარწმუნდებოდა და თავადაც თქვენებურად გვეთამაშებაო. ნაკრებში ოთხი წლის შემდეგ ხმობილმა ბენ თიუნმა შენიშნა, ოლ ბლექსის დასამარცხებლად მაგარი გეგმა დავსახეთ, მაგრამ მეტოქემ უკლებლივ ყველა კომპონენტში გვაჯობა, სტატისტიკა კი ტყუის, რადგან ბურთი მას მერეღა გვქონდა ხშირად, რაც ბრძოლა წავაგეთო.

ვოლაბიზის ახალი გურუ ჯონ ქონოლი იმ აზრზე დგას, რომ თამაში ზელანდიამ კი არ მოიგო, არამედ მისმა გუნდმა წააგო, რადგან მეტოქეს ერთბაშად ოთხი ლელო უძღვნა. ამ შეფასებას, რა თქმა უნდა, არ ეთანხმება ზელანდიის მოძღვარი გრემ ჰენრი, ვინც ბრძანებს, ფორვარდებმა ჩქარი ბურთი რომ გაუხერხეს ბეკებს, ამათ თავიანთი უნარი სრულად გამოავლინეს და მთელმა გუნდმაც შეხმატკბილებულად იბურთავაო. ოზური მედია კი ვოლაბიზის მიერ ივნისში მოგებულ სამ ტესტს ცრუ განთიადად მიიჩნევს და ასკვნის, შერკინების მოლონიერებასა და დაოსტატებას დიდი დრო დაჭირდებაო.

ზელანდია მეორე რაუნდში უქმობს, ავსტრალია კი დასვენებულ, მაგრამ ტრავმებით დასუსტებულ აფრიკას მასპინძლობს. ქონოლის აზრით, აფრიკის შერკინება ზელანდიურთან ახლოსაც ვერ მივა, რადგან ტექნიკა ძალიან აკლია, მისი შეგირდები კი უკვე სწორ გზაზე დაუყენებია ყოვლისმცოდნე გადიას ალეკ ევანსს. ბიჭები თამაშიდან თამაშამდე მოუმატებენ, ბოკესთან დასაჭიდებლად კი უფროსობა 8 ნომრად ნაღდად დააწინაურებს აქამდე საკადრისად დაუფასებელ სკოტ ფეივას, 3 ნომრად კი 130-კილოიან „როძილას", ფეხმორჩენილ როდნი ბლეიქს აღადგენს.

### ჭეელმა ბებერს აჯობა

ოზთაგან პირველი ლელო გასინბინებულმა 8 ნომერმა როკი ელსომმა, მოუქნელმა ბურჯმა გაი შეპარდსონმა და მღლეტელმა ჯორჯ სმითმა აჩუქეს კივებს, ბოლო ორი კი 32 წლის ათმა ნომერმა სტივენ ლარქემმა შეაწიათ. თამაშამდე მეტოქე ბანაკებმა შაირობა გამართეს იმაზე, თუ ვისი 10 ნომერი ჯობს. ოზებმა ირლანდიის მწურთნელის ედი ოსალივანის ნათქვამი გაიხსენეს, კივ დენ კარტერს აქამდე ტანა უმანგა კარნახობდა და ამიერიდან რაღა ეშველებაო. ზელანდიელებმა ეს იწყინეს და პასუხად მიუგეს, განა ჯეელი ლარქემიც მხოლოდ თავისი ჭკუით წარმართავდა თამაშსო.

ოლ ბლექსის გურუმ ბოლოს დაასკვნა, ორივე დიდი მორაგბეა: ლარქემმა კარგა ხანი ითამაშა ფრიად დონეზე, კარტერი კი კიდევ გაიზრდება და წელიწად-ნახევარში (გრემს თვლა აერია, რაკი ნაღდად 2007 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დანიშნული მსოფლიო თასი იგულისხმა) ვნახოთ, ვინ აჯობებსო. სთივენი და დენიელი სანაკრებო დონეზე პირველად იდგნენ პირისპირ და ჯეელმა კივმა აშკარად უფრო იყოჩაღა, რაზეც „სიდნი მორნინგ ჰეროლდის" მხცოვანმა მესვეტემ სპირო ზავოსმა შენიშნა, ჩვენი რაქიდან ბურთი ნელა რომ გამოდის, ლარქემი სიღრმეში დგება, კარტერი კი ჩქარი ბურთით ზედ ხეირის ხაზიდან უტევს და მას უმალ კვეთსო.

ოლ ბლექსი ვოლაბიზს ახალი ჰაკათი „კაპა ოპანგოთი" (შაოსანი გუნდი) მიესალმა. დამწყებად გარემარბი რიკო გიარი იყო. მეტოქე ისე შეზარა სანახაობამ, რომ პიჟამოები უხალისოდ გაიძრო. ახალი ჰაკა თავად მოთამაშეთა თხოვნით შარშან, პირვანდელი რიტუალის, „კამატე კაორას" საუკუნოვან (!) იუბილეზე შეითხზა. კივებმა „კაპა ოპანგო" მხოლოდ მესამედ შეასრულეს და მესამედვე გაიმარჯვეს. მეტიც, კვაჭმა კევენ მეალამუმ სამივე ამ მატჩში (აფრიკა, ინგლისი, ავსტრალია) გაიტანა ლელო.


როკი ელსომმა ავსტრალიელთაგან პირველი ლელო გაიტანა.

### სასიცოცხლო ენერგიის მისაღებად

„კაპა ოპანგოს" პრემიერიდან მოყოლებული კრიტიკოსი არ მოჰკლებია. ლიანგს არ მოსწონს მისი ზეაგრესიული ფინალი, სახელდობრ, ყელის გამოჭრის ქადილი. არადა, როგორც ახლაღა განმარტა კომპოზიტორმა დერიკ ლარდელმა, დანარჩენი სამყაროს მიერ ათვალწუნებული ჟესტი მაორულ (მკვიდრ ზელანდიელთა) კულტურაში სულ სხვა რამეს ნიშნავს. ჰოდა, ამით შეგულიანებულმა რაგბის კავშირის მამამ კრის მოლერმა ბრძანა, დიდი ახსნა-განმარტებითი მუშაობა და აქტიური პრომოცია გვჭირდებაო.

ლარდელის მტკიცებით, ის, რაც სხვებს ყელის გამოჭრა ჰგონიათ, სინამდვილეში გულსა და ფილტვებში სასიცოცხლო ენერგიის მიზიდვაა, რასაც თურმე უტყუარად მოწმობს „კაპა ოპანგოს" დამაგვირგვინებელი შეძახილი „ჰა". მოჰაკე მარჯვენა მკლავით თურმე სხეულის მარცხენა ნახევართან დაეძებს მაგ ენერგიას და თავსაც ამიტომ აბრუნებს მარჯვნივ. მერე ეს ენერგია პუ-ფაკაორაში (სასუნთქი გზა) რომ შემოდის, მობრიალე თვალები და გამოყოფილი ენა მისი მიღების დასტურია და როკვაც ამიტომ სრულდება „ჰა"-თი.

მაორთა რაგბის საბჭოს თავკაცი პოლ ქვინი კმაყოფილია, რომ „კაპა ოპანგომ" ჰაკებისა და ზელანდიისადმი ინტერესი მთელ მსოფლიოში გააღვივა. ახალი ჰაკას გამოისობით, მაორული ტომის, ტიკანგას განუმეორებელ მსოფლმხედველობას თურმე დანარჩენი ზელანდიაც ეზიარა. ჰოდა, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით დადგინდა, რომ კივთა 90 პროცენტი „ოლ ბლექსის" მიერ ჰაკათი მისალმების მომხრეა, 62 პროცენტი კი თვლის, რომ „კაპა ოპანგო" „კამატე კაორას" თანაბრად უნდა სრულდებოდეს.

### მალვითა და დარცხვენით

„კაპა ოპანგომ" ოზები კი დაზაფრა, მაგრამ კივებსაც კინაღამ შეემთხვათ პატარა მარცხი. ანჩისხატთან, ირლანდიელ ქალბატონ რებეკას „ანგარ ბარში" ქართველთაგან ეგებ არავისაც არ შეუნიშნავს, საინფორმაციო სააგენტოები კი დაბეჯითებით გვიმტკიცებენ, რომ ჰაკას ბოლო აქტში 6 ნომერ ჯერი კოლინზს ჩამუხლულს, მალვითა და დარცხვენით, იქვე, მოედანზე მოუშარდავს და ეს საჩოთირო მომენტი „სქაი თი-ვის" ოპერატორებს მთელი მსოფლიოსთვის ანაზდად (და არამც და არამც განზრახ) უჩვენებიათ.

მატჩის შემდეგ კოლინზის ფათერაკის გამო ჟურნალისტებმა კომენტარი შერკინების მწვრთნელს სთივ ჰანსენს სთხოვეს. ამან დაიცვა შეგირდი: აბა, რა უნდა ექნა, ბუნებამ უდროოდ შეახსენა თავი, გასახდელში ხომ არ გავარდებოდა, რამდენიმე წუთით კაც-ნაკლულს ხომ არ დატოვებდა გუნდს; ისე, სადაც წესია, ოპერატორებს გაჭირვებული ვაჟკაცი საჯაროდ არ უნდა გამოეჭენებინათ და კამერა მოერიდებინათ, მით უფრო, თუ ჯერი აშკარად ნირწამხდარი ჩანდაო.

ჰანსენმა ნათქვამს დაამატა, ჩემს შეგირდს მსუბუქად დავტუქსავ და ვურჩევ, ამიერიდან გასახდელშივე მოისაქმოს. თქვენ კი, ჟურნალისტებო, ამ ეპიზოდს ნუ გაბუქავთ. ოლ ბლექსმა ბარაქიანად გაიმარჯვა და მიდით, თამაში გააშუქეთო. სხვაფრივ, მაინცდამაინც თურმე არც ოზები გამწყრალან კივი მეტოქის ოინზე. სათადარიგო კვაჭ ჯერემი პოლს ეგეც უბრძანებია: მოედანზე მოშვარდვას და ჰაკას დროს ხელების ქნევას რას დავეძებდი; მთავარია, ჯერის მკლავი ბოჭვისას მწარედ არ მომხვედროდაო.

### ომეტა ირღვევა

დასასრულ, მსაჯობის გამოც. უცოლ-უგელფრენდო კაპლანი ოზებს კარგა ხანია გულზე არ ეხატებათ, მაგრამ რაღაც ჭირად, ირბ-ის მსაჯთა მნემ, კივმა პედი ობრაიენმა ისევ შეჩვენებულ ჯონათანს დააკისრა თვისტომთა და ოზთა თამაშის განსჯა. ჰოდა, თავად რომ ბევრჯერ შეცდნენ და მეტოქემაც აშკარად აჯობათ, ავსტრალიელებმა ზოგი რამ რეფს გადააბრალეს, რათა ეს მომავალში უფრო ჭკუით მოიქცეს და ვისი ჯერიც არს, იმან მსაჯად იშვიათად დაუნიშნოთ.

კაპლანს ვოლაბიზის ძველმა მოძღვარმა, ბებერმა ბობ დვაიერმა შეუტია და თქვა, თუ ეგ კარგი მსაჯია, მაშ მე მწვრთნელი საერთოდ არ ვყოფილვარო, ხოლო ყოფილმა ვოლაბმა ბეკმა, აწ კი ტელეკომენტატორმა როდ კეიფერმა ბრძანა, კრიტიკულ მომენტებში ოთხი წლის ბავშვი უფრო სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებდაო. ჯონათანის მიმართ წაყენებული ბრალდებები შეკრიბა და სათითაოდ განიხილა ბობოლა ვებსაითის აფრიკელმავე ექსპერტმა, შვიდიდან ექვს შემთხვევაში რეფი გაამართლა და მოსწრებულადაც შენიშნა: ოზებს რომ დავუჯეროთ, კივთა ოთხივე ლელო ტყუილი იყო, თავად კი სამი უნდა გაეტანათ და, ამდენად, თამაშიც უსიტყვოდ მოეგოთო.

ერთი რამ უდავოა: ავსტრალიას კაპლანის გამო არ წაუგია თამაში. რეფერი მოვლენათა შუაგულში ტრიალებს და რაგბის ერთობ რთულ წესებს მომხდარს საკუთარი მარიფათის მიხედვით უთანადებს. ამდენად, ხშირად ხდება, რომ გარეშე კრიტიკოსები თამაშს მსაჯისგან განსხვავებულად ალიქვამენ. ისიც სათქმელია, რომ ყოველმა რეფმა (მით უფრო, კაპლანის დონისამ) მოთამაშეებზე, მწვრთნელებსა და კომენტატორებზე ბევრად უკეთ იცის წესები. ეგეც კარგია, რომ, ბოლოს და ბოლოს, დაირღვა ირბ-ული ომეტა და მედიას მსაჯთა შეცდომებზე მსჯელობის უფლება მიეცა. ამით რაგბი მხოლოდ მოიგებს, რადგან რეფები განუკითხაობით ვეღარ იპარპაშებენ.

*მასალა მომზადებულია ვებგვერდზე www.rugby.ge*

# ბუფონმა თასთან ერთად ცოლიც მოიგო

მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ დასახელებული ჯანლუიჯი ბუფონი უახლოეს დღეებში კარიერაში მიღწეული წარმატების გარდა, პირად ცხოვრებაშიც იზეიმებს წარმატებას.

საქმე ის გახლავთ, რომ იტალიელი მეკარე ცოლს ირთავს. მისი რჩეული ცნობილი ფოტომოდელი ალიონა სერედოვა გახლავთ. როგორც იტალიური პრესა წერს, მუნდიალის ფინალის წინ ბუფონმა სადილობისას ოფიციალურად სთხოვა გული და ხელი ულამაზეს ალიონას.

თვითმხილველთა თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ბუფონის წინადადება მოულოდნელი იყო ფოტომოდელისთვის, ამ უკანასკნელმა მაშინვე თანხმობა განაცხადა.

9 ივლისს ჯანლუიჯი ბუფონი და იტალიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. ჯიჯი სიტყვის კაცი გამოდგა და, როგორც პატიოსან სინიორს შეშვენის, მისი წინადადება ძალაშია. სავარაუდოდ, აგვისტოში პირენეებზე ალიონასა და ჯანლუიჯის გრანდიოზული ქორწილი გაიმართება.



წელიწადზე მეტია, რაც ტურინის „იუვენტუსის" კიპერი ცნობილ ფოტომოდელთან მეგობრობს. ყვითელი პრესისა და ჭორების მოყვარულთა სამწუხაროდ, მათმა რომანმა ყველანაირ გამოცდას გაუძლო და მალე თავიანთ ურთიერთობას ოფიციალურად გააფორმებენ.

ერთი სიტყვით, 2006 წელი ჯანლუიჯი ბუფონისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე დარჩება ტკბილ მოგონებად. იტალიელმა მეკარემ მსოფლიო ჩემპიონობის გარდა, ულამაზესი მეორე ნახევარიც მოიგო.

# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

**I ობიექტი –ხაშურის რაიონში, სოფ. კისხევის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 4 566 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>913 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 30 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |

**II ობიექტი – ზუგდიდის რაიონში, სოფ. კოკის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ენგურის ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 7 026 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 405 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 70 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |

**III ობიექტი – სენაკის რაიონში, სოფ. ნოსირის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ტეხურის ჭალის ტერასაზე ქვიშა-ხრეშის მოპოვება**

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 3 756 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>751 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა | 60 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

**IV ობიექტი –წყალტუბოს რაიონში, სოფ. გუმათის მიმდებარე ტერიტორიაზე მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე ტეშენიტის მოპოვება**

| | |
|---|---|
| აუქციონზე გამოტანილი ობიექტის საწყისი ფასი | 6 259 ლარი<br>„ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20 პროცენტს<br>1 252 ლარი |
| ლიცენზიით გათვალისწინებული მოსაპოვებელი ტეშენიტის ჯამური მოცულობა | 20 000 მ³ |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |

| | |
|---|---|
| **სალიცენზიო მოსაკრებელი I ობიექტიდან IV ობიექტის ჩათვლით შეადგენს 900 ლარს** | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.<br>სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი),ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 300033022 |

| | |
|---|---|
| აუქციონის ჩატარების ადგილი | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გულუას ქ.№6 ტელ. 275760 აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 13 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 11 აგვისტოს 11 საათიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **„ ბე"-ს** შემოტანის ქვითარი | **„ ბე"-ს** გადახდის ანგარიში-მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიში ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე.<br>ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი;<br>ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>გ)საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.<br>ე),,ბე''-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი. |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის მაქსიმალური ვადაა ოქმის გაფორმებიდან 10 დღე. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის ,,გარემოს დაცვის შესახებ'', ,,წიაღის შესახებ'' და ,,წყლის შესახებ'' საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| **აუქციონზე ,,ბიჯის'' სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს** | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# განცხადება

## შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს ტენდერს საოფისე ავეჯის შესყიდვის მიზნით

**დაფინანსების წყარო:** საწარმოს სახსრები.
**შესყიდვის ობიექტი.**

| | საქონლის დასახელება | რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|
| 1 | ერთტუმბოიანი (ე.წ. კომპიუტერის) მაგიდა (140X70) | 20 |
| 2 | საოფისე სკამი | 30 |

შესასყიდი საქონელი მოწოდებული უნდა იქნეს ტენდერში გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის განმავლობაში.

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

სამუშაოთა ღირებულება უნდა შეიცავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს.

სატენდერო დოკუმენტაცია **ქართულ ენაზე** პრეტენდენტებს გადაეცემათ მოთხოვნისთანავე, მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის (200 ლარი) გადახდის შემდგომ, მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N64. შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა", III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი, 1 აგვისტოს 18 საათამდე.

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**
მიმღები ხაზინის ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო, ვაკე-საბურთალოს რაიონი) ანგ.DN200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300044040. ბანკის შემოსავლის ორდერში აუცილებლად უნდა მიეთითოს შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფის" სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი)

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთად ერთ დალუქულ პაკეტში ხელმძღვანელის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები მიიღება 1 აგვისტოდან 6 აგვისტოს 16.00 საათამდე:

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პრეტენდენტის შესახებ, ანგარიშსწორების ანგარიშს, საკონტაქტო ტელეფონებს.

პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ. ხელმოუწერელი სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ზემოაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 6 აგვისტოს 16.30 საათზე. პრეტენდენტებს უფლება აქვთ დაესწრონ გახსნის პროცესს.

**საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**იურიდიული პირებისათვის**:
1. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. სატენდერო დოკუმენტაციის წარმომდგენი უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლი.

**ფიზიკური პირებისათვის**:
1. ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
3. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა. (ცნობა საგადასახადოდან რეგისტრაციის შესახებ);
4. ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა;

მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია Bბაზარზე მუშაობის გამოცდილების შესახებ.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დალუქული კონვერტით. ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

**დამატებითი ინფორმაცია**
სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, მისამართზე ქ.Dთბილისი, ი.Dჭავჭავაძის გამზ. N64, შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა" III სართული, ოთახი N328.

საკონტაქტო პირი გიორგი შარკოვი. ტელ: 91-60-79, 899 35-55-35

*სატენდერო კომისია*

# ცვლილება 30.06.2006 წელს შ.ს.ს. სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში საკვები პროდუქტების შესასყიდად ტენდერის ჩატარების შესახებ

| ლოტი № | შესყიდვის ობიექტის დასახელება დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 2500 | მოთხოვნილებების შესაბამისად | ქ. ბათუმი |
| 2 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 8000 | | ქ. ახალციხე |
| 3 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 6000 | | ბოლნისის რაიონი |
| 4 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 4000 | | გარდაბნის რაიონი |
| 5 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 4000 | | დედოფლისწყაროს რაიონი |
| 6 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 13000 | | ქ. ლაგოდეხი |
| 7 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 2000 | | ყაზბეგი |
| 8 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 2000 | | ბარისახო |
| 9 | საქონლის ხორცის კონსერვი | კგ. | 7000 | | ქ. თბილისი |
| 10 | შაქარი | კგ. | 700 | | ქ. ბათუმი |
| 11 | შაქარი | კგ. | 3000 | | ქ. ახალციხე |
| 12 | შაქარი | კგ. | 2000 | | ბოლნისის რაიონი |
| 13 | შაქარი | კგ. | 1500 | | გარდაბნის რაიონი |
| 14 | შაქარი | კგ. | 1500 | | დედოფლისწყაროს რაიონი |
| 15 | შაქარი | კგ. | 4000 | | ქ. ლაგოდეხი |
| 16 | შაქარი | კგ. | 600 | | ყაზბეგი |
| 17 | შაქარი | კგ. | 500 | | ბარისახო |
| 18 | შაქარი | კგ. | 3500 | | ქ. თბილისი |

პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ალტერნატიული სატენდერო წინადადება%
1V ლოტებიც განსაზღვრული პროდუქციის მიწოდება რეგიონების ნაცვლად შეითლება განხორციელდეს ქV ყბილისში

**საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების შესყიდვის მიზნით ა. წ. 12 ივლისის გაზეთ "24 საათში" (N154) გამოქვეყნებული განცხადების მე-4 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგნაირად:**

"4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 1 აგვისტოს 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608."

"7. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;
ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;
გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;
დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
ი) შევსების თარიღი და ხელმოწერა."

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი**
**ტექნიკური დავალება**
საქართველოს დაცული ტერიტორიებიზე სასკოლო ტურების მოწყობა
**მიმოხილვა**
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი, რომელიც ხორციელდება გარემოს გლობალური ფონდისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და რომლის მიზანია, საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვა და კონსერვაციის პოტენციალის ამაღლება, აცხადებს კონკურსს კომპანიის შესარჩევად, რათა მან უზრუნველყოს სკოლის მოსწავლეებისთვის ექსკურსიის მოწყობა პროექტის ფარგლებში არსებულ დაცულ ტერიტორიებიზე.

**შესასრულებელი სამუშაო**
უნდა განხორციელდეს სკოლის მოსწავლეებისათვის ორ/სამ დღიანი ექსკურსიები (გამოყებენულ იქნება კარვები და სხვა სათანადო აღჭურვილობა). თბილისიდან და დაცული ტერიტორიების მიმდებარე რაიონული ცენტრებიდან, სოფლებიდან უნდა მოხდეს მოსწავლეთა შერჩევა. აქცენტი გაკეთდება მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებსა და სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებზე. თითო დაცულ ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს სამი ვიზიტი. თითო ვიზიტზე 20-25 მოსწავლე. სავარაუდოდ უნდა შეირჩეს მე-8, მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეები. აღნიშნულ ექსკურსიებზე მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 300 მოსწავლე-ახალგაზრდა. ექსკურსიები განხორცილდება:
- ვაშლოვნის დაცულ ტერიტორიებზე;
- ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე;
- თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე;
- ბაწარა-ბაბანეულის სახელმწიფო ნაკრძალსა და ილტოს აღკვეთილში დაცულ ტერიტორიებზე;

ექსკურსიებზე მოსწავლებს უნდა მიეცეთ საშუალება მოინახულონ და დაათვალიერონ საქართველოს დაცული ტერიტორიების უმშვენიერესი გარემო და ამავდროულად მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიების, ჩვენი ქვეყნის უნიკალური ფლორისა და ფაუნის შესახებ. ასევე მოინახულონ და შეიმეცნონ დაცულ ტერიტორიებზე არსებული მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლები. მოსწავლეებს უნდა მიეწოდოთ სათანადო ინფორმაცია ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მოვლისა და შენარჩუნების გზებსა და მათი ადეკვატური გამოყენების შესახებ. მათ შეძლებისდაგვარად უნდა გადაეცეთ ინფორმაცია დაცული ტერიტორიების არსსა და მნიშვნელობაზე. მოსწავლეებს დაურიგდებათ საგანმანათლებლო, საინფორმაციო ბროშურები, ლიფლეტები ილუსტრირებული საველე მეგზურები და სხვა. მოსწავლეებს წახალისების მიზნით დაურიგდებათ ფერადი მაისურები და /ან ჩანთები წარწერით "დაცული ტერიტორიების დეპარტამენტი" და /ან სლოგანი "გაუფრთხილდი ბუნებას".

განსახორციელებელი სამუშაოს ნაწილი უნდა მოიცავდეს საველე პირობებისთვის მოსწავლეთა მომზადებას (ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში ზოგად და სპეციფიურ ქცევის წესებს, უსაფრთხოება/გადარჩენის პირველად ჩვევებს, ორიენტაციას და ა.შ.)

გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა ითანამშრომლოს დაცული ტერიტორიების დეპარტამენტთან, ადგილობრივ ადმინისტრაციებთან, პროექტის პერსონალთან.

კომპანიამ დამკვეთთან ერთად უნდა შეარჩიოს სკოლები (თბილისსა და რაიონებში) და დააკონკრეტოს მოსწავლეთა შემადგენლობა. შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი იქნება მაღალი აკადემიური მოსწრება.

**კვალიფიკაცია:**
1. კომპანიას უნდა გააჩნდეს სასკოლო ასაკის მოსწავლეების მსგავსი ტურების ორგანიზების სათანადო გამოცდილება (ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულგარემოში ქცევის წესების, აგრეთვე უსაფრთხოება/გადარჩენის პირველადი ჩვევების, ორიენტაციის სწავლების და სამაშველო საქმის კარგი გამოცდილება);
2. დავალების განსახორციელებლად საჭირო კვალიფიცირებული პერსონალი;
3. დავალების შესასრულებლად საჭირო საველე აღჭურვილობა (კარვები, საძილე ტომრები, პირველადი დახმარების პაკეტები და სხვა).

**კონტრაქტის ხანგრძლივობა:**
კონტრაქტის ხანგრძლივობა მოიცავს: 3 თვეს. 2006 წლის აგვისტო-ოქტმობრის ჩათვლით. შესაძლებელია პროექტის გაგრძელება მომდევნო წელსაც.

განაცხადის ჩაბარების ბოლო ვადაა: 27 ივლისი, 2006. 18:00.

ინტერესის გამოხატვის დოკუმენტაცია კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარადგინონ საქართველოს მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტოს აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელის - რატი ჯაფარიძის სახელზე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, გულუას 6, მე-6 სართული.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის - g და ტელეფონის 752416 / 752417 საშუალებით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, 0160 გაგარინის ქ. N29ა), აცხადებს ტენდერს ქვემოთ ჩამოთვლილ, ლოტებად დაყოფილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს.

ლოტი-1: თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ.333(0.87)-კმ.339(0.73) მონაკვეთის რეაბილიტაცია;

ლოტი-2: ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ.19-კმ.23 მონაკვეთის რეაბილიტაცია:

**2.** ხელშეკრულების მოქმედების ვადა - პირველ, მეორე და მესამე ლოტებზე 2006-2007 წწ. მეოთხე ლოტზე - 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

სამუშაოების შესრულების ვადა - თითოეულ ლოტზე მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

**3.** დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის N200122900, მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302003000), პირველ და მეორე ლოტზე 15 ივლისიდან, მესამე და მეოთხე ლოტზე - 17 ივლისიდან მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის შეძენა შეუძლიათ, როგორც ერთ ასევე ორთხივე ლოტზე. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ლოტების მიხედვით.

**4.** დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა ოთხივე ლოტზე საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 2 აგვისტოს 9.00 საათიდან 18.00 საათამდე და 2006 წლის 3 აგვისტოს 9.00 საათიდან 12.00 საათამდე, ორ ეგზემპლიარად (ერთი დედანი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-13 სართული, საერთო განყოფილება.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

**5.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1** ცნობები:

**5.1.1.** იურიდიული პირისათვის:

**ა)** ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

**ბ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ იურიდიული პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.1 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**გ)** ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

**5.1.2.** ფიზიკური პირისათვის:

**ა)** ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

**ბ)** ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**გ)** ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

შენიშვნა: იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც 2006 წელს უკვე მონაწილეობდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში და 5.1.2 პუნქტის "ა", "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში მითითებული ცნობები 2006 წელს უკვე აქვთ წარმოდგენილი, მათი ხელმეორედ წარმოდგენა ამ ტენდერისათვის არ არის აუცილებელი.

**5.1.3** როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. მონაწილეს ლოტების მიხედვით, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) სატენდერო დოკუმენტაციაშია მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

**a.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და ა.შ. | | | | | |

**ბ.** იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა. შ.). ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, და იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგელზე მობილიზაციისათვის.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

**ა.** ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუშაოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალიტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

**ბ.** ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

**გ.** ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

